


652/2
1987

ISSN 0134 3459

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ԴԵՄՈԿՐԱՏԻԿԱՆ
ՀԱՅԴԱՆՈՒԹՅԱՆ
ԳԵՂԱՐՄԱՆԱԿԱՆ
ՊԱՐԹԵՆԻՍԻՆ

ՀԱՅԴԱՆՈՒԹՅԱՆ ԳԵՂԱՐՄԱՆԱԿԱՆ ՊԱՐԹԵՆԻՍԻՆ

356



4

1987

ქოროსი

გამოცემის
გამოცემის

29-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი
საქართველოს მფინალთა კავშირისა და აზარის განყოფილების ორგანო

რა მშენიერი ზღვა გეაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
დმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

4

1987

ივნისი
ივლისი



ბათუმი

მ ი ნ ა ბ რ ს ი

კოეზია, კროზა

ნიკოლა ვაპცაროვი — ლექსები (ბუ- ლგარულიდან თარგმნა ვახტანგ ახვლედიანმა)	3
ვოლტერ ჭანტურია — შეხვედრა ვენეციაში (მოთხრობა)	7
ნანა ღვინეფაძე — ლექსები	14
ლალი თოთაძე — ლექსები	17
ბორის მეტრეველი — ლექსები	20
იაშარ ქეშალი — ჩაქირჯალი ახმედ ეფე (რომანის ფრაგმენტები, თუ- რქულიდან თარგმნა იბრაიმ გო- რამემ)	22

ჯეჯილი

ვაჟა. კინწურაშვილი — ლექსები	28
------------------------------	----

რეცენზიის მაგიერ

ალექსანდრე სამსონია — „მონანიე- ბა“ ბათუმში გადაიღეს	29
---	----

რის შურნალ-გაზეთების გამოცემა

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

- მაღლაზ სიორიძე — „დიდ წარ-
სულს დიდი მომავალი ექნება“ 36
- შოთა ზაქარიაძე — საქართველოს
ყველა კუთხესთან 42

კვალი ნათელი

- რამაზ სურმანიძე — წერილები შა-
ვშეთიდან (გაგრძელება) 44
- იოსებ ბეჭირიშვილი — ხალხის სა-
ქმისათვის მებრძოლი 54
- ზურაბ კომახიძე — ყველაზე დიდი
ჯილდო 56
- აბელ სურგულაძე — პირველი სკო-
ლა ზუგუდბანში 58

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

- შოთა ქურიძე — შეიცან თავი შენი,
ანუ დათა თუთაშხია როგორც
ხასიათი 63

ფერილები

- მიხეილ მახარაძე — ქართული რე-
ნესანსის საკითხები უახლეს გა-
მოკვლევებში 71
- ჯემალ ჯაყელი — სულიერი კულ-
ტურის სათავე (წერილი II) 80
- გუგული დიასამიძე — მარტივი ტო-
პონიმები 90
- გასულ ორ თვეში 94

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონიძე

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩიჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარზანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),

შოთა ჯორიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუშვაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხანიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 12.6.87, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 2.7.87, საგამომ-
ცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 1715,
ემ 02058, ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆,
ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
ბოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ ბოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ნიკოლა ვაცაროვი

პოეზი

ხრისტო ბოტევი — ბულგარეთის ეროვნული გმირი, პოეტი და პუბლიცისტი, 1875 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი — გმირულად დაეცა თურქებთან ბრძოლაში ვოლის მთაზე 1876 წლის 17 მაისს. ეს დღე გამოცხადებულია ბულგარეთის ეროვნული გლოვის დღედ

ერთხელ ოთახში დაღლილი სახით,
ხელებზე კოჟრებით, იერით მკაცრით,
(რომ იფიქრებდით, მყავსო ნანახი),
მეწვია ერთი მშრომელი კაცი.
შემოვიდა და კარებთან გაჩერდა,
ბერეტი მოიდრო მერე,
— პოეტო, — მომმართა, ხმა უკანკალებდა, —
პოეტო, ბოტევზე წერეთ!
— ბოტევზე? — ვკითხე და გავოცდი ძალიან,
სხვა სათქმელს ველოდი მისგან, —
დღეს და ზვალ, კეთილო, სულ არა მცალიან,
ზეგ მოდით, თუნდ დილით სისხამ...
თუმც არა, დილიდან ნუ მოხვალთ, ძამია,
ეს საქმე, ის საქმე, იცით...
(რა არი ცხოვრება, სულ ერთი ჩქამია),
ორშაბათს შემოდით, დღისით.
...ადარც ძილია და ადარც ღვიძილია,
რას ვეტყვი? ანკი რა მეტყმის?!
დრო ვარბის, დრო მიჰქრის, კვირაც მიილია,
არ მოდის წყეული ლექსი!

პეტ. სსრ კ. პარტიის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

„არ მოდის წვეული!“ — ზედ „მარილიანად“
დავურთე ჩვეული ეშხით.
გარეთ აგვისტოა, სდულს დარი მზიანი,
ლექსი კი... არ მოდის ლექსი!
ლოგინზე გულაღმა ვაგდივარ დაღლილი,
თვალები — უაზროდ ჭერში.
„პოეტი არა ხარ ნაღდი და ნამდვილი!“ —
შორიდან ხითხითი მესმის...
კიდეც, ჰა, საათიც, და კარი იღება,
შემოდის ის ჯმუხი მუშა.
— რა ჰქენით, დაწერეთ? — ჯიქურ მეკითხება,
ჯიქურად, შემტევად, კუშტად.
— თქვენ ისა... — ვიბნევი, — ბოტევეზე მითხარით?
ვმუშაობ, გამოვა, ალბათ...
ეს შესავალია, აგერ მაქვს კითხვარიც, —
ვპასუხობ ურცხვად და ყალბად... —
რაო, წაგიკითხოთ? ბატონი ბრძანდებით.
იწყება პოემა ასე:
„აპრილი, ვარსკვლავთა კაშკაშა გუნდები
დაჰქრიან პირინის თავზე.
ამოდის ნელ-ნელა მთვარე გალუული,
ამოდის იდუმალ კრძაღვით,
დაბურულ უღრანში ნადირი ეული...“
— გეყოფათ, პოეტო, კარგით!
ეს არის ბოტევეზე? სად არის ბოტევი! —
მოსულს ექუფრება მზერა,—
შე კაცო, ჩვენს ბედკრულ წარსულზე მოყევი,
მტერმა რომ გვუუუა და გვჟვერა.
მოყევი, კეთილო, სისხლიან პურზე,
ქარხნების მჭვარტლზე და კვამლზე,
მოყევი ბრძოლაზე, ღალატზე, შურზე,
დიდ წინაპართა კვალზე...
მამულის მონობის სიმღერაც ჩაურთე,
სიმღერა — ხალხის კვნესა,
და ერთი მემკვიდრეც დევგმირად აკურთხე,
თავისუფლების ღმერთად.
სად გაგონილა ძიება დევგმირის
ხეობებში და მთაში,
სად რა ხანია ტურაც არ ჰყვირის
და არ ფრთხიალებს შაშვიც!

ნუთუ ვერ ხედავ, ნუთუ შენ გძინავს,
რა უფლება გაქვს ძილის!
ბოტევი, პოეტო, ჩემს სისხლში ბრწყინავს.
ბოტევი ჩემში ჰყვირის?
მე ეს მინდოდა, შენ სხვა მოყვევი,
თხზავ შორეულ მთის ზღაპრებს.
ერის სიცოცხლის ძარღვია ბოტევი,
ძალა — ბნელეთს რომ ამსხვრევს.
ვხედავ, პოეტო, მე შენში ვხედავ,
ბოტევი აღსდგა ისევ,
და დროშით ხელში ხალხს უძღვის მხნედა,
ახალ ბრძოლებში გვიწვევს!...

მტერი ტყეში შეფარულა.
გასროლა და... „ვაიმე!“
იმ დაწყევლილ თოფის ლულას
გაეგება რაიმე?
მზეჭაბუკი ნელა კედება,
სისხლი მისდის თქრიალით,
ტკივილი და ფიქრი ერთად
საწყალს სულს უტრიალებს:
„დედა... თავს მოიკლავს დედა,
გულისწორი ცრემლს დაღვრის,
მერე სხვაზე გათხოვდება...
მეგობრები... არც კი ღირს!..
არა, განა სიკვდილს ვნაღვლობ,
რალა დროსი მაგია.
უკუნია სულმთლად ახლო,
შორს კი... ბარიკადია...
მე მეგონა ბარიკაღზე
დროშას ვაფრიალებდი...
აი, მოდის მტერზე მტერი
სისხლიანი ბრჭყალებით...

ეჰ, ოცნება არ ამიზდა,
რა მოკლე დღე მქონია.
ერთი ყლუბი წყალი მინდა,
შევსვა, მოვრჩე... მგონია...
ეს რა ბგერებს მოვჰკარ ყური,
ხმები მესმის წკრიალა...
სულ ახლო ჰქუხს ნაკადული!
ქალიშვილო, ფიალა!
გოგოვ, ღმერთმა ავაშენა,
ტკივილები გამიქრა.
რომ მოვრჩები, გიშრისთმებავ,
დედაჩემთან წაგიყ...ვან...“
გაყინულნი ღვანან მთანი,
ტყე ირწყევა, ცაბცახებს,
დედასავით მოსთქვამს ქარი,
ეხეთქება წარაფებს...
მტერი ტყეში შეფარულა,
გასროლა და.. „ვაიმე!“
იმ დაწყევლილ თოფის ლულას
გაეგება რაიმე?..

პირინის თავზე,
 ტყის კატრებზე
 შლივინობს ქარი,
 ქარი აშარი...
 წყეული ომი!..
 შვიდნი წავედით
 მოუსვლელ გზებით,
 დარჩა პირინი
 ძალიან შორით...
 აქ ღმუის ომი,
 აქ ღმუის ომი..
 ვფიქრობთ ყოველი
 გვერდიგვერდ მდგომი:
 „ვერ დავბრუნდებით,
 ვერ დავბრუნდებით,
 ვერ დავბრუნდებით,
 მგონი...“
 და გვაგონდება
 ჩვენი სოფელი,
 წყნარი საღამო,
 ტუჩები მწველი,
 ტუჩები სველი...
 ტყის უღრანებში
 ვიმალებოდით,
 ზოგჯერ ნადირის
 გვეძინა გვერდით,
 რომ არ გველოდნენ,

იქა ვჩნდებოდით,
 მიწას ღუშმანის
 გვამებით ვფენდით.
 წინაპართა სისხლს
 ბალახზე ვცნობდით,
 წინაპართა სისხლს
 ფოთლებზე ვცნობდით,
 წინაპართა სისხლს
 ვცნობდით ბუჩქებზე,
 ტყის ბილიკებზე
 წვეტიან ქვებზე,
 მშობელი მიწის
 იდუმალ ხმებზე.

თვალცრემლიანი
 ფოთლები წნორის,
 თვალცრემლიანი
 ღრუბლები შორი,
 ქარი, წვიმა თუ
 ნამქერის თქორი,
 ჩემი მამულის
 ჭმუნვა და სევდა
 წინაპართ სისხლის
 სიმღერას მღერდა.

წავედით ომში
 სექტემბრის ღამით,
 უკან დავბრუნდით
 შვიდიდან სამნი...

ბულგარულიდან თარგმნა **ვასტანო ახვლედიანმა**



შესწავრა პენეციაში

მეზღვაურებს ოდითგან არ უყვარდათ თარსი რიცხვი — ცამეტი და კვირის პირველი დღე — ორშაბათი, ორივეს უიღბლოდ თვლიდნენ და ამ დღეს ზღვაში გასვლას გაუბრუნდნენ, ხოლო თუ მაინც მოუწევდათ გამგზავრება, სერიოზულ სამუშაოს ხელს არ ჰკიდებდნენ.

პირადად ჩემთვის ცამეტი რაცხვიც და ორშაბათიც თითქმის ყოველთვის სიკეთისა და სიხარულის მომტანი იყო. ამჯერადაც გამიმართლა და მერე როგორ!

ცამეტ დეკემბერს გადმოცემული რადიოგრამით ტვირთის მიმღები სააგენტო იუწყებოდა, ვენეცია-მარგერას ნავსადგურში უნდა შეხვდიეთო. ასე რომ, ეკიპაჟის უმრავლესობა კვლავ მოინახულებდა ზღვაზე მოტივტივე მზეთუნახავ ვენეციას..

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარულიც. იმ ორმოცი წლის განმავლობაში, რაც მე ზღვა-ზღვა დავეხეტები, ორმოცი ქვეყნის ოთხმოცზე მეტი უცხო ნავსადგური მოვინახულე, მაგრამ წყალზე გაშენებული ქალაქის ნახვას ვერ ვეღირსე. და აი, ეს დღეც მოვიდა. ჩემს მეხსიერებაში უცებ გაცოცხლდა გაგონილი თუ წაკითხული ამ ძველთაძველ ქალაქზე. მე ვიქნები სტუმარი ქალაქისა, სადაც არ არის არავითარი ბორბლებიანი ტრანსპორტი, სადაც ცისფერ გზებზე ხალხი მგზავრობს არა მარტო უძველესი დროიდან შემონახული გონდოლებით, არამედ, უფრო მეტად, თანამედროვე და იაფფასიანი სწრაფმავალი გლისერებითა და პატარა კატარლებით, წყლის ტრამვაის რომ ეძახიან..

დეკემბრის ნესტიანი ამინდით შემოგვეგება ადრიატიკა. ჩრდილოეთით ორიათასხუთასწლიანი ქალაქი თვლემდა. ტანკერი „პოხედა ოქტიაბრია“ სრული სვლით მიდიოდა და ანაოჭებდა ზღვის მოსარკულ ზედაპირს, რომლის სიღრმეში უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა. ღამის სიბნელეში დროგამოშვებით დელფინების ნახტომის ნამგლისებური ნაკვალევი ვერცხლისფრად გაიელვებდა ხოლმე. შტურმანების მთელი შემადგენლობა კაპიტან როსტომ ბერიძის მეთაურობით სანაოსნოს ხიდურზე გამოსულიყო. გემი სულ მალე მალაკო-მარგერას არხში შეცურდებოდა. გამოხდა ხანი და ჰორიზონტს მიღმა ათასობით ელექტრონათურის მოოქროვილ-მოცისფრო ნათება მოულოდნელად აიჭრა ცისკენ. კიდევ რამოდენიმე წუთიც და

ჩვენს თვალწინ ზღვიდან ამოტივტივდა ცეცხლის ნაკადებით, აბრიალებული უზარმაზარი ხომალდი — ქალაქი ვენეცია.

— მე არაერთხელ მინახავს ეს ზღაპრული ქალაქი, რომელსაც „ადრიატიკის მარგალიტს“ ეძახიან, — თქვა კაპიტანმა ბერიძემ, — მაგრამ, იცით, იგი ყოველთვის ამოუცნობი სიახლით წარმომიდგება ზოლმე. ოღონდ, დასანანია, რომ ეს მშვენიერი ქმნილება, ჩვენი დიოსკურიის დარად, უახლოეს მომავალში შეიძლება წყლით დაიფაროს...

მესაჭემ კაპიტნის ბრძანებას დაუმორჩილა გემი. ვენეცია მარჯვნივ დარჩა. ჩვენ კი მალაკო-მარგერას არხით რაფინარიის აუზისაკენ განვაგრძეთ სვლა და მალე მივაღწიეთ გემთმისადგომ ირომოს, რომელიც ვიტორიო-ემანუელეს არხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მარგერას ჭაობიან ადგილზეა აშენებული.

დილის ნათებასთან ერთად რძისფერი ნისლით გაიჟღინთა მიდამო. ჩვენ დრო არ გვქონდა გვეცადა, როდის გაიფანტებოდა ნისლი. გემიდან ავტობუსების გაჩერებისაკენ ავიღეთ გეზი. წინ მიგვიძლოდნენ აქ უკვე მრავალჯერ ნამყოფი მეზღვაურები. მათგან გავიგეთ, რომ ვენეციაშიღა ერთიმეორეს მიყოლებით სწრაფმავალი კომფორტული ავტობუსები დადიან და რამდენიმე წუთში მიგიყვანს ვენეციაშიო... ვის არ ნახავთ აქ, ყველა ჯურისა და ხნოვანების ქალებსა და კაცებს, უბრალოდ, ცნობისმოყვარეთ, დამსვენებლებს, ტურისტებს, ფერწერის შედეგებისა თუ მისის უნიკალური ნაწარმის, მხატვრული ჭურჭლებისა თუ ჭალების, ვრავირებული სარკეების, მინანქრიანი თასების, სასმელებისა და ლარნაკების ქორვაჭრებს, შეხვდებით ჩვენსაირ მეზღვაურებსაც, რომლებსაც არასდროს არ ჰყოფნით არც დრო და არც ფული, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ რაღაცა საინტერესო შეიძინონ. ამავე დროს ცდილობენ ცქერით მაინც მიეაღერსონ უძველესი დროის ღირსშესანიშნავ ძეგლებს, რომლებიც ჩვენთან ისეა რეკლამირებული, რომ ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია დაგისვას, მაგალითად, ასეთი შეკითხვა: „თქვენ პირადად თუ გაიარეთ მოხატული „ოხვრის ხიდი“ და რითაა იგი სახელგანთქმული?“ შორეული ნაოსნობის მეზღვაურებისაგან კი მოელიან არა უბრალო, არამედ ამომწურავ პასუხს...

დღეს ბედი გვწყალობდა ნამდვილად: ნისლი თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა, ჩვენც ავტობუსის გაჩერებასთან აღმოვჩნდით და მალე ლიბერთას ჯვბირის დაბეტონებულ გზატკეცილზე მივქროდით. ოთხკილომეტრიანი გზა თვალის დახამხამებაში აკვეცეთ და რომის მოედანზე ამოვყავით თავი. მივიხედ-მოვიხედეთ, გავშინაურდით. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ვენეციის ნავის მსურველები. ყოველ ჯგუფს თან ახლდა პროფესიონალი მეგზური. შევეხმიანეთ იქვე მყოფ ჯგუფებს:

— აქ რომელიმე „რაშენ“ ჯგუფი არ არის?

იმწამსვე გვიპასუხეს რუსულად.

— გამარჯობათ, მეგობრებო! აქეთ მობრძანდით, შემოგვიერთდით. —

გამოვეცნაურა გიდი — ახალგაზრდა ქალი, ბრწყინვალე რუსულით მოლაპარაკე, დაუყოვნებლივ შევეუერთდი „ჩვენებს“. გამოვეცნაურეთ.

— საბჭოთა მეზღვაურები ვართ — თეიმურაზი, ივანე და მე, ვიქტორი — გავაცანი ჩვენი ჯგუფი.

— მე ჟანა მქვია. ეს მეგობრები კი კიეველი ტურისტები არიან... აბა, მეგობრებო, ჩვენ უკვე შვიდნი ვართ, ანუ „შესანიშნავი შვიდეული“. ასე რომ, უფლება გვაქვს დავიწყით დათვალიერება. — თქვა ჟანამ და მარჯვენა ხელის მსუბუქი მოძრაობით მხრებამდე ჩამოფენილი ოქროსფერი თმები ზურგზე გადაიყარა.

ჟანას რომ შევხედე, მომეჩვენა, თითქოს იგი სადღაც მენახა. და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამის შესახებ, მით უფრო ვრწმუნდებოდი ვარაუდის სისწორეში. ნამდვილად მინახავს, მაგრამ როდის და სად? რატომღაც ძალიან ნაცნობად მომესმა მისი ხმის ხავერდისებრი ტემბრი. თუმცა, ხომ შეიძლება, მართლაც მომეჩვენა? ასეც ვფიქრობდი, მაგრამ აჩქებულ აზრს, რომ მე იგი მინახავს, თავი ვერ დავაღწიე. მაშ, კარგი, ვნახოთ, შემდეგ რა მოხდება. თუკი ჩვენ მართლაც შევხვედრივართ ერთმანეთს, იგი პირველი მოიგონებს და ალაპარაკდება, ვერ მოითმენს. რაც უნდა იყოს, ქალია... როგორ მინდოდა, ასე მომხდარიყო! მაგრამ თუკი ვერ მოიგონა და ეს ყველაფერი ილუზიაა? მაშინ რა? — ვუსაყვედურე ჩემს თავს. სჯობს, მოვესმინო ჟანას საუბარს, გადავწყვიტე მე და სძენად ვიქცეო.

— ამრიგად, ვენეცია, როგორც დასახლება, არსებობს მეხუთე საუკუნიდან, რა თქმა უნდა, ჩვენს ერაჲდე, როგორც ქალაქი კი — ჩვენი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნიდან. ჩვენ მალე 2500 წლისთავი უნდა ვიზიომოთ, მაგრამ ამაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს, — სინანულით თქვა ჟანამ, მერე კი გაბრაზებული კილოთი განაგრძო, — ამჯერად მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობს ყველა. წარმოიდგინეთ, ზოგიერთმა ეაჭარმა მარმარილოს ფილებით მოგებული პროსპექტი ალუბლისფერი ნივთებით მოაფარდა, მაღაზიაში რომ შეიტყუოს მყიდველი, თუმცა მე სათქმელს გადავუხვიე. რუსებისა არ იყოს, ეშმაკს წაუღია მაგათი თავი! მაპატიეთ, განვაგრძოთ... ჩვენი ქალაქი განფენილია 122 ბუნებრივ და ხელოვნურ კუნძულზე, რომლებიც ადრიატიკის ზღვის ლურჯ წყლებში მიმოფანტულა...

კვლავ ფიქრებმა გამიტაცეს. სათვალე მოვიხსენი და წვერში თითებ-გაჩრილმა ხელახლა დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ სად და როდის მენახა ჟანა. იგი კი აღვზნებულად და დიდი პათოსით ლაპარაკობდა, ამავე დროს თითქოს ყოველ ჩვენთაგანს თვალეებში შესცქეროდა. როცა ჯერი ჩემზე დადგა და ჩვენი თვალეები ერთმანეთს გაუსწორდნენ, მომეჩვენა, რომ ჟანამ თითქოს რაღაცას ფეხი წამოსდო და წაიფორხილა, მან წამით შეწყვიტა საუბარი, თვალეები დაუპატარავდა, დიმილი თითქოს ტუჩებზე შეაშრა და მისი სახის იერი რაღაც მიმაღულ გაკვრევას გამოხატავდა. მა-

გრამ ეს ყოველივე ჩემი წარმოდგენა იყო, ჟანა კვლავ იოლად უტანებლად განაგრძობდა თხოვრებას.

— ქალაქში ოთხასზე მეტი დიდი და პატარა ხიდია. ახლა ჩვენ გადავალთ კუზიან პატარა ხიდს, რომელიც კუს ბაკანს მოჰყავს და არხ გრანდეს იმ სანაპიროზე აღმოვჩნდებით, სადაც დღესაც სუფევს გასულ საუკუნეთა მღუმარება. ჩვენი მიზანია ქალაქის უმთავრეს ღირსშესანიშნავ ადგილზე გასვლა, რომელსაც დი სან-მარკოს მოედანი ჰქვია. ვიდრე იქ მივალთ, მოგიყვებით ისეთ ამბებს, რომელთაც ვერც ერთ გზამკვლევაში კერ წაიკითხავთ. წავიდეთ, მეგობრებო! — თქვა ჟანამ. მერე სხარტად მოტრიალდა. „კუს ბაკანის“ ქვას საფეხურებს ჩიტივით გადაეწყო და გრანდეს არხის სამხრეთ სანაპიროზე გაიჭრა.

ჟანას თვალს არ ვაცილებდი. მას მუქი ცისფერი კაბა ეცვა, ღია ცისფერი კოფტა მხრებზე მოეგდო. მომხიზვლელი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ თავი უბრალოდ ეჭირა. ლაპარაკობდა გასაგებად და დამაჯერებლად. ხელახლა ამეკვიატა აზრი, რომ მას ვიცნობ, მეცნობა მისი ჩაცმულობა, ტანადობა, მისი მანერა სიტყვებისა და ფრაზების ზუსტად გამოთქმისა. დროდადრო, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებოდნენ, შეგონა, რომ ჩვენ თითქოს ვგრძნობდით, თითქოს თვალებით ვეუბნებოდით ერთმანეთს, რა საჭიროა რუბიკონის გადალახვა და სინამდვილის გამოაშკარავებაო... მაგრამ ეჭვი მაინც არ მეშვებოდა. ხომ შეიძლება ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყოს, რადგან მინდა ძალიან დავიჯერო, თითქოს მე და ჟანა ოდესღაც და სადღაც შევხვედრივართ, რომ ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ვეკითხებოდი ჩემს თავს: ბოლოს და ბოლოს, რისთვის მჭირდება ყოველივე ეს? რაღაც სულ ორი-სამი საათის შემდეგ აქ აღარ ვიქნები: ჩემი მეზღვაურობის ორმოცი წლის მანძილზე ამ ქალაქში პირველად ვარ და შესაძლებელია უკანასკნელადაც. ჰოდა, გონებაში აკვიატებული აზრი, რომ მე ჟანას ვიცნობ, გაქრება და დავიწყებას მიეცემა... იმ წამსვე სხვა ხმაც ჩამჩურჩულებდა ყურში, საჭიროა რაიმე ვიღონოთ და ეჭვი გავფანტოთ... გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი ჟანას, მაგრამ ვინ მომცა ამის საშუალება. იგი არავითარ საბაბს არ იძლეოდა მის ლაპარაკში სიტყვა ჩამერთო, ან სხვანაირი საუბარი წამომეწყო. იგი ხომ ჩვენი გიდი იყო და ბრწყინვალედ ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას, ყურები გამოგვიჭედა ვენეციური საიდუმლო ამბებით, რომელთაგან ზოგი საუკუნეების მიღმა მომხდარიყო და ზოგიც სულ ახლახან...

— მე თქვენ გიჩვენებთ ფრანცისკო პეტრარკას ბინას, დაგანახვებთ დღეისათვის თითქმის მივიწყებულ გარიბალდის ძეგლს. დოჟების სასახლის მუზეუმში თქვენ ნახავთ ვენეციის რესპუბლიკის აყვავებისდროინდელ საბრძოლო თუ ადამიანის საწამებელ იარაღებს. ნახავთ „ერთგულების სარტყლებს“, რომლებსაც ზღვისპირა ქვეყნების დასარბევად მიმავალი ქმრები ცოლებს უკეთებდნენ. ამ ქალაქში არის სახლები, სადაც ცხოვრო-

ბდნენ ბაირონი და ჰემინგუეი, გიჟვანებით სასახლეებს ოტელისა და ღებდემონასი... — თქვა თუ არა ეს, ჟანამ უცებ შეწყვიტა თხოვნა და ჯიქურ გამისწორა თვალი. და აი, მომაგონდა, როდის და სად გავიცანი იგი. კინალამ ავეყირდი! მაგრამ ჟანას არაფრის ამოკითხვა არ შეეძლო შავი სათვალეების მიღმა მიმალულ ჩემს აცრემლებულ თვალებში. დიახ, ეს ქალი იყო სწორედ ის ჟანა, რომელსაც მე შევხვდი ზუსტად ცამეტი წლის უკან მარსელში. დიახ, დიახ, ზუსტად ცამეტი წლის უკან! ჟანა ჩქარა მოეგო გონს და კვლავ განაგრძო თხრობა.

— სამოციან წლებში დაიწყო ადრიატიკის ზღვის შემოტევა. 1966 წელს ზღვა ისე გადაიარია, რომ სან-მარკოს მოედანიც დაფარა წყალმა. ადრიატიკამ ჩვენ გვშობა და იგივე ადრიატიკა გვიჩაადებს სამუდამო ადგილსამყოფელს თავის ჯურღმულებშიო“, ლაპარაკობენ ვენეციელები...

მოგზაურობა გრძელდება. უკვე გავიარეთ რიალტოს მარმარილოს ხიდი. ჩავუარეთ ცენტრალურ ფოსტასა და ქალაქის ბანკს. ჩვენს თვალწინ წარსდგა ხუროთმოძღვრების თვალწარმტაცი ანსამბლი — ვენეციის უკვდავების გვირგვინი: გოთიური და ბიზანტიური სტილით მოჩუქურთმებული ხუთგუმბათიანი ეკლესია — მდიდარი მრზაიკით მოპირკეთებული კედლებითა და საუკეთესო მარმარილოსაგან გამოთლილი რვაასი ბოძით. წითელი აგურის შენობაში მომწყვდეული კამპანილე — სამრეკლო, ამხანად მუზეუმად გადაქცეული დოჟების სასახლე, რომლის აგებას შეიდასი წელი მოანდომეს ქვის ოსტატებმა. ცამდე აღმართული საათის კოშკი, რომლის სახურავზე ყოველ საათს, დაწყებული მეხუთე საუკუნიდან დღემდე, ორი ბრინჯაოს ღმერთი უროებს სცემს უზარმაზარ ზარს.

— მიგობრებო, შეხედეთ აი, იმ მომხიზვლელ სანახაობას, — თქვა ჟანამ და სიხარულით აღსავსე ცისფერი თვალები მოედნის ცენტრისაკენ დააპყრო.

ჩვენგან არც ისე შორს, მტრედების გუნდის შუაგულში, გოგონას მკლავები გაეშალა და ოდნავ წახრილიყო, თითქოს აფრენას ლამობდა ქათქათა მტრედებთან ერთად, რომლებიც მიჯრით დაფრენილიყვნენ ორივე მკლავზე და ერთიკი გოგონას თავზე წამოსკუპებულიყო. სწორედ ამ დროს, საიდანაც, ყვირილი გაისმა რუსულად:

— დედა, მიყურე, სად ავედი!

ყველანი გაკრზმდით და მაღლა ავიხედეთ. ბრინჯაოს ღმერთების გვერდით ბიჭუნა იდგა და სახემდიმარი გვიქნევდა ხელებს.

— პოსეიდონ, შენ ხომ არ გადაირიე, შვილო, ახლავე ჩამოდი! — შეკიკვლა ჟანამ და ამავე დროს ზარის გუგუნი გადმოველო მიდამოს. ზარის ხმასთან ერთად ბიჭუნაც გაუჩინარდა კოშკურის სახურავიდან. ჟანა იდგა მდუმარე, სახეზე ხელებაფარებული. მოედანი სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. მტრედებმაც შეწყვიტეს ღუღუნი, ღმერთები კი უროებს სცემდნენ,

განავრთობდნენ ჟამთა სვლის აღრიცხვას, რომლის შეჩერებაც არავის არ
ძალუძს ამქვეყნად.

როგორც იქნა, დაბლა ჩამოსულ ბიჭუნას მოეკარით თვალი და შეეხოთ
ამოვისუნთქეთ. იმწამსვე გამოცოცხლდა მოედანი, ბავშვებმა ტანის ცემა
და ყვირილი მორთეს, მტრედების გუნდი ჰაერში აიჭრა და ბიჭუნას
ირგვლივ შეკრა კამარა. ჟანა პირველი მიიჭრა შეილთან.

— პოსეიდონ, როგორ შემაშინე, შეილო, ასე შეიძლება? — სიყვარუ-
ლით საყვედურობდა დედა.

ზმაგაკმენდილი ვიდექით და ვუსმენდით ჟანას აღსარებას. მან ძალიან
ძუნწად, სულ რამდენიმე სიტყვით გვამცნო, რომ დაიბადა საფრანგეთში,
მარსელის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტე-
ტის დამთავრების შემდეგ ვენეციელ მეთევზესთან ერთად დაიღო ბინა.
მერე ბედმა უმუხთლა, ქმარი მალე დაელუპა აზვირთებულ აღრიცხვაში.
დაებადა ვაჟი.... დიდხანს ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ამაოდ. რეცხავდა, ქუ-
ჩებს ზვეტავდა, სადილი დაჰქონდა სახლებში... ბოლოს და ბოლოს, რო-
გორც იქნა, მოეწყო ვიდად.

— რატომ ელაპარაკებით შეილს რუსულად? — ჰკითხა ვიდაცამ.

— რუსული ენა, არ ვიცი, რატომ, ბავშვობიდან შემეყვარდა, ბიჭმა
კა მშობლიური იტალიურის გარდა, ფრანგულიც იცის.

— რატომ ეძახით შეილს პოსეიდონს? — დაინტერესდა თეიმურაზი.

— უნივერსიტეტში სწავლის დროს ჰოსპიტალში მიმიწვიეს თარჯიმ-
ნად. იქ ერთ თქვენებურ მეზღვაურს ჰკურნავდნენ, რომელსაც თვალები
დაეშავებინა გემზე. მოხდენილი ვაჟკაცი იყო, შავი წვერ-ულვაშით, და
ჩვენი გოგონებმა მაშინვე პოსეიდონად მონათლეს. იგი კარგად ლაპარაკო-
ბდა რუსულად, თუმცა ქართველი იყო. იცით, ის პოსეიდონი ძალიან
მოჰგავდა აი, ამ პატივცემულ მეზღვაურს, ვიქტორს, — ჟანამ ჩემსკენ გა-
მოიხედა მორიდებული ღმილით და განაგრძო, — ისიც მინდა ვაღიარო,
რომ ის პოსეიდონი ლამის შემეყვარდა. მას თვალთახედვა დაუბრუნეს,
მაგრამ სახვევი არ მოუხსნიათ. ნანობდა, რომ ვერ მხედავდა. კარგი ხმა
გაქვსო, მე შენს ხმას სამუდამოდ დავიმახსოვრებო, მეუბნებოდა. როცა
რომელიმე სიტყვას არასწორად წარმოვთქვამდი, გულიანად ხარხარებდა.
მერე იგი მოულოდნელად გაწერეს და იმავე დღეს გაამგზავრეს სამშობ-
ლოში. მე მაშინ გამოცდას ვაბარებდი. აეროპორტში რომ მივვარდი, მისი
თვითმფრინავი უკვე ჰაერში იყო. დამავკიანდა. — ჟანამ შეწყვიტა
თხრობა, რაღაცამ დააფიქრა. მერე ამოიოხრა და განაგრძო. — მაშინ გა-
დავწყვიტე, თუკი ვაჟი მეყოლებოდა, პოსეიდონს დავარქმევ-მეთქი. მგონი,
საკმარისია, არა? მე ხომ ყველაფერი გულახდილად გითხარი... ახლა
კავაგრძელოთ ჩვენი ექსკურსია...

ჟანას აღსარებამ სასტიკად შემატბუნა, ძლივს ვაკავებდი თავს, რო-
გორ მინდოდა მეყვირა: „ჟანა, ეს მე ვარ ის პოსეიდონი!“, მაგრამ ვერ

შეეძელი, რაღაც უცნობა ძალამ შემაჩერა. ჟანა კვლავ განაგრძობდა საუბარს, ვითომ ყურს ვუგდებდი და ვითომ მივეყვებოდი. თავში ტრიალებდა კითხვები: „ვთქვა თუ არა სიმაღლედ? თუკი ვაღიარებ, რომ ის პოსეიდონი ვარ, რომელიც ჟანას ლამის შეუყვარდა და რომლის გულიცათვის შეიღოს პოსეიდონი დაარქვა, როგორი იქნება მისი რეაქცია? ღირს კი გაიხსნას უკვე შეზორცებული სულიერი ჭრილობები?“ საბოლოოდ, როცა ავწონ-დავწონე, გადავწყვიტე არაფერი მეთქვა...

ქალაქის თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობას გავეცანი. ჟანა ისევ ყურადღებიანი იყო და საქმიან საუბარს განაგრძობდა.

— თქვენ ნახეთ, რას ჰგავს ჩვენი ბინები და სასახლეები, მათი კედლები გაშავებულია, ბათქაში ჩამოცვენილია. ვენეციის ცაში კი სმოგი ჰკიდია. ჭუჭყიანი ჰაერი და ტენიანობა — ორივეს ერთად ვენეციელებმა „მარმარილოს უბედურება“ რომ შეარქვეს, — უმოწყალოდ ღრღნის და აფუჭებს სკულპტურულ ნაგებობებს, ფრესკებსა და სურათებს — არქიტექტურისა და ხელოვნების განუმეორებელ ძეგლებს... ზღვა კი ისევ უტყვეს ვენეციას...

დადგა დრო გამოთხოვებისა, განშორება კი არ გვინდოდა. ჟანა სათითაოდ ხელს გვართმევდა და კეთილი სურვილებით გვემშვიდობებოდა.

— ნახვამდის!

— კვლავ გვესტუმრეთ!

— კეთილი მგზავრობა!

— თქვენ კი, ჩემო პოსეიდონ, უნდა გაკოცოთ, თქვენმა იერმა ხომ ჩემი ახალგაზრდობა გამიცოცხლა. — მითხრა ჟანამ, ორივე ხელი კისერზე მომხვია. ლოყა დამიკოცნა და სწრაფად გამშორდა.

დიდხანს ვიდექი ჩაფიქრებული და, ვინ იცის, მერამდენედ ვეკითხებოდი თავს:

— ნუთუ მიცნო?

აგვისტო, 1986, ინდოეთის ოკეანე.



ჩამონგრეულა კლარჯეთში ოშკი...

ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას

საქართველოში ბოლო 6 წელიწადში აღდგენილია
600-ზე მეტი ხუროთმოძღვრული ნაგებობა, მაგრამ რა
ბედი უწერიათ შორეულ ქართულ მიწებზე მიტოვებულ
ძეგლებს?

უკუღმართული სიზმარი

ვნახე,

რა მეწყინება

მზეო, გულმნათო?

თითქოსდა მთვარე

ჩამოვარდაო, —

ჩამონგრეულხარ,

ოშკის გუმბათო...

თითქოსდა მკერდი

შემომინგრიეს...

ველარ მოგწვდება

მარჯვენა ჩვენი.

ოღონდ ესაა,

რომ ჩვენს ფიქრებში

იმ ძეგლებური მშვენებით

რჩები...

მაგრამ ხვალ და ზევ?

მაგრამ ხვალ და ზევ?

როცა სულ წავშლის

ვერაგი ჟამი?

..ქართველი კაცის

ცრემლად მიიღე

წვიმად მოსული

ციური ნამი...

გატაცებული ძესავით

გტირი,

დამუნჯებულო,

უმრევლ-უმნათო...

ქართულ გალობას

გადაჩვეულო,

ჩამონგრეულხარ,

ოშკის გუმბათო...

უკუღმართული სიზმარი

ვნახე,

თვალიც თამაშობს,

მზეო, გულმნათო...

თითქოსდა მთვარე

ჩამოვარდნილა,

ჩამოქცეულხარ,

ოშკის გუმბათო!..

ლაზურ კილოზე

მთვარესავით გალუულა
სიყვარულის ზანა, —
გავაცილოთ სიმღერებით,
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა ნანა,

ვისთვის უკვე ზამთარია,
ვისთვის თრობის ზანა,
ოჰოიდა, ოჰოიდა,
ოჰოიდა ნანა!

ეთერივით უბით დამაქვს
ნაჩუქარი დანა, —
მომიოხეთ, მომიმღერეთ
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა ნანა!

შემობრუნდა გაზაფხული,
სიყვარულიც თანა, —
ძველებურად შემოვძახეთ,
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა ნანა!

მთვარესავით ავსებულა
გოგო აღვისტანა,
მივეგებოთ, მოვულზინოთ, —
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა ნანა!

ვისთვის მუდამ ზამთარია,
ვისთვის ტრფობის ზანა,
ოჰოიდა, ოჰოიდა,
ოჰოიდა ნანა!

ეთერივით გულში ჩამრჩა,
ნაჩუქარი დანა, —
მომიოხეთ, მომიმღერეთ,
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა ნანა!

როცა მოვკვდე, ცრემლის
ნაცვლად
მარგეთ იავენანა,

თქვენებური, ძველებური
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა ნანა!

მოგონებამ მეწყერივით
გული დაიტანა, —
მომიოხეთ, მომიმღერეთ,
ოჰოიდა ნანა,
ოჰოიდა, ნანა!

ველვას მოთქმა

დედულო და მამულო,
წუხელ სიზმრად გნახეთო, —
კოლხეთო და მწუხრეთო,
ტურფა საზამბახეთო...

რა პნელია ნუგეში
გარიყული ქალისთვის,
მიჩუქნია სიცოცხლე
მშობლიური ქარისთვის.

დამაბრუნოს ფაზისთან
სადაც იყო საწმისი,
სიყვარულის თილისმა,
სიყვარულის საწყისი...

ვერსად ვპოვე წამალი
ამერო და იმერო,
მშობლიურ კოლხეთო,
დაკარგულ იმედო..

დაკარგულ მთა-ველო,
სიზმარეთში გნახეთო,
საჩინოვ და სავანევ
ჩემო საზამბახეთო...

„ვეფხისტყაოსნის“ არაბული
თარგმანის გამომცემელს, სირია-
ში მცხოვრებ ბატონ ლევან სალა-
რადეს შევეკითხე — როგორ შეი-
ნარჩუნეთ-მეთქი ასეთი უზადო
ქართული, მიპასუხა:—ყველა ქარ-
თულ ჟურნალ-გაზეთს და წიგნს
ხმამაღლა ვკითხულობო...

საქართველოში გამოფრენამდე
თქვენ ალბათ წუთებს და წამებს ითვლით;
და სამშობლოზე ტკივილს იფურცობთ
„ვეფხისტყაოსნის“ ხმამაღლა კითხვით!..
ვარსკვლავზე თურმე ასე გეწერათ. —
იყოთ არაბეთს და იყოთ ქართლშიც —
როგორც ვაშლივით გაჭრილი დარდი...
წამოგწოდეთ ყოველ ნატვრაზე
წამლად —

მშობლიურ მიწა-წყლის მადლი!
აქეთ გაქვთ გული, აქეთ გაქვთ თვალი,
გაქვთ აქეთ ნერვიც და ლიბო ძველი,
რა მშვენიერი სანახავია
გაზაფხულობით კოლხეთის ველი!..
კავკასიონის ქათქათა ქიმებს
ალბათ სიზმარშიც ხმამაღლა ითვლით
და სამშობლოზე ტკივილებს მაღავთ
„ვეფხისტყაოსნის“ გაბმული კითხვით!..





კვლავ მენატრები, მწიფდება უკვე
გვიანი ხილი პატარა ბაღში,
ზმანებასავით დამთავრდა უქმე,
ვხვდები ორშაბათს, ცხადსა და საშინს.

ცვივა მიწაზე ყვითელი პანტა,
გული აწყდება მთვლემარ საგულეს
და ორშაბათი, ტკივილის გარდა,
ალბათ, შენს ღიმილს ისევ მარგუნებს.

მზადა ვარ, აქაც ბოლომდე დავყო,
შენთან ყოფნით თუ ვერაფერს გარგებ,
შინდის მკვრივსა და შეთვალულ ნაყოფს
დავცქერი, როგორც რაფიფის ბაგეს.



ღელავს ზაფხული. დიდი ნუგეში
ამღერებს მინდვრებს და ზოღაბუნებს,
სიტყვა ტკბილი თუ სიტყვა უხეში,
ალარც კი ვიცი, რა მომაბრუნებს.

ახმაურდება ფოთლებში შაშვი,
აუყვავდება პატარა ფრთები,
როცა შენ კვდები, ვცოცხლდები მაშინ,
როცა ცოცხლდები, მე მაშინ ვქრები.

მიყრი კალთაში შეთვალულ მტევნებს
და სიზმრის ყველა ციხე-კოშკს მირყევ,
მაყრია უხვად ქვესკნელის მტვერი
და მწოვს ფუტკარი ტანიდან სიტყვებს.

ნეტავ, ბოლომდე მიგრძნოს და შემსვას,
ჩამკეტოს სკაში ტკბილი და მწველი,
ფრთხილებს სულში პატარა ლექსი,
როგორც სათიბში შემკრთალი მწყერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ვეჯიბრები ქალებს გაძლებით,
არც უსახელო ხმით და ფესვებით,
როგორც მთიელი ბასრი ხანჯლებით,
შენს მკერდზე ვცეკვავ ჩემი ლექსებით.

თევზია ჩემი ზოდიაქო, შენი რა არის,
ვერდი თუ ლომი, რა შეგიკრთობს ღამის ზმანებას,
ნიშანი რა გაქვს, ზურმუხტი თუ ბედნავსი ლალი,
იქნებ გიშერი, თვალს რომ იკრავს და იბზარება.

სადაა შენი შორეული ბედის ვარსკვლავი,
იქნება ღმერთში დაიკარგა, ცა როცა იშვა,
დაგვხმარება ზოდიაქო, მთვარის აკვანზე
დაჰკიდებს თორმეტს უღამაზეს საოცარ ნიშანს.

გაჩუქებს იმედს — შენს თბილ ძვლებზე თავდაზრილ
მისანს,

რომ მუდამ ერთად ზეიმობდეთ, ერთად ომობდეთ,
რადგანაც უკვე ერთმანეთი ისე ვერ გვიყვარს,
როგორც გვიყვარდა და გვხიბლავდა წარღვნის
ბოლო დღეს.

ვინ არის ნეტავ, ძველებურად რომ არ ვეთმობით,
იქნებ ახლოა, ჩუმად გვეტრფის, იქნებ შორს არის,
დაგვეხმარება ზოდიაქო და გავერთობით
ვერდით, კირჩხიბით, სიყვარულით და მშვილდოსანით.

თევზია ჩემი ზოდიაქო, შენი რა არის,
ვერდი თუ ლომი, რა შეგიკრთობს ღამის ზმანებას,
ნიშანი რა გაქვს: ამეთვისტო, ქარვა თუ ლალი,
იქნებ გიშერი, თვალს რომ იკრავს და იბზარება.

არა მაქვს ბრალი, რომ არ ვარ მარტო,
სხვასთან ზიარი ძალით რომ ვიბრძვი
და გველი, უკვე რომ ვეღარ მართობს,
ბოროტით მჯობნის და არა სიბრძნით.

ვერ შევხვდი მზეში მოვლემარე სულების,
სადაც არასდროს არ არის ბინდი,
არა მაქვს ბრალი, რომ ვერ ვისტუმრე,
ვერ მოგვერდენ და ვერ ავქვითინდი.

რა ვუყოთ, თუკი ვერ გავხდი ღირსი
მქონდეს ცრემლისთვის ერთი კუნჭული,
რომ ჭორზე — ბეწვის უჩინარ ხიდზე,
ჩუმად გავდივარ თვალდასუჭული.

არა მაქვს ბრალი, თუ გრძნობა შემშლის
და იმედები ხანდახან მოვლენ,
რადგან სიკვდილის შუალედებში
მე სიცოცხლესაც ვუყურებ ხოლმე.



ე ზ რ

აჲ არის ჩემი ედემი,
კართან ღიღინით ვჩერდები,
მაგრამ არ მხვდება არავინ.
ეზოში არ ჩანს ურემი,
აღარ მცემს ქინძის სურნელი,
დადუმებული მარანი.
აჲ მამა აღარ ფუსფუსებს,
ეზოს შრამელს და კუნჭულებს
ლოდივით აწევს ღუმილი.
დედა არ მორბის კიბეზე,
მაინც ვიგონებ მიზეზებს,
რომ ჩაკლა მოსვლის სურვილი.
ყრია უტარო თოხები,
არ მესმის — როდის მოხვედნი?
ისმის ჭრიჭინი მწერების.

ქარი თარეშობს ავეია,
ეზოს და კედლებს აყრია
ჯანგის და ხავსის ფერები.
თავმონგრეული ბუხარო,
თითქოს ომს გადემქუხაროს
და დაენგრიოს ბანები.
ვაიმე, ჩემო სოფელო,
გულზე ნაღვერდლის მომფენო,
საითქენ მიექანები!
და სევდა ლოდადქეული
გულში ფათურობს წყეული.
აჲ გაჩნდა ჩვენი სახება,
მშობლები აჲ იმარხება,
სადღა გავრბივართ შვილები?

უფროსი ძმა

მაგონდება — ძმებს პატარებს
სოფლად ბევრი საქმე გვექონდა
და შრომაში შინ და გარეთ
უფროსი ძმა მიგვიძღოდა.
მას სკოლაში ყმაწვილები
ეძახოდნენ პირქუშ მეფეს.
აფასებდა რაჭა მთელი
იმ ღირსეულ მასწავლებელს.
ის სიშმაგით ფოცხვერს ჰგავდა,
ვერ იტანდა ჯდომას მშვიდად,
ხან ბარავდა, ხან თიბავდა,

ხან საფიცრე ხეებს ჭრიდა.
და მატებდა სოფელს ელფერს,
სახლშიც გავდა პირქუშ მეფეს —
აკეთებდა უღლებს, ურმებს,
კარადებს და ყურძნის წნეხებს.
განცხრომისთვის დრო არ
ჰქონდა,
არ ნატრობდა რბილ სკამ-ლოგინს
და ერთ კაცში ბობოქრობდა
ღურგალიც და პედაგოგიც.
გზარმაცობდით — გვიყვიროდა,

ვეოჩალობდით — გვილიმოდა,
ტყე-ღრუში და ჭირში, ლხინში
უფროსი ძმა მიგვიძლოდა.
ააშენა დიდი სახლი —
მაღალი და მიმზიდველი,
თეთროს იყო კალატოზი,
დურგალიც და ინჟინერიც.
თვალს რომ მოჰკრავ ლამაზ
სახლ-კარს,

სკებით დამშვენებულ ბაღნარს,
იგრძნობ, უყვარს პატრონს
ვაჟაკს
მაღლიანი შრომით დაღლა.
სამოცდათორმეტი წლის ხდება,
ძმებს შორიდან გვაკვირდება,
როცა საქმე გართულდება,
ისევე იგი მიგვიძლება.

მიდიოდა

გახსოვს? — მზე რომ ჩაიწურა ტყიან მოეხში,
დღის ფერები ფოთლებივით ძირს ცვიოდა
და ყუბანი, გათქვეფილი ბინდის ფერში
დუდუნებდა, მძიმედ სადღაც მიდიოდა.
ეუცქეროდით პარკს, მუსიკით განალაღებს,
ერთი გოგო რა ლამაზად გვილიმოდა,
სავსე მთვარემ გადახედა ლამაზ ბაღებს,
იჩქაროდა, ისიც სადღაც მიდიოდა.
უცქეროდი ბაღნარებში ჩაფლულ სახლებს,
მოგაგონდა ალბათ შენი თბილი ოდა
და ჩერქეზულ ღამეს წარმტაცს,

თავბრუდამხვევს,

ცეცხლი წვადა და კვამლივით მიდიოდა.
მოგყვებოდა ორი მგზავრი თანატოლი,
ლამის ტეხას, დროის ფლანგვას ვინ ჩიოდა.
სიჭაბუკე, სიყვარულით ანათროლი,
მაჭარივით დუღდა, სადღაც მიდიოდა.
ვხედავდით ცას ნაკვერჩხლებით მოფენილსა,
ტოფობის ცეცხლი ბიჭებს გულში

გვიღვიოდა.

ვით დინება ჩანისლული მდინარისა,
გალურსული ჟამი მდორედ მიდიოდა.



ჩაქირჯალი ახმედ ეფე

რომანის პრაგმატები

ხასან ჩაუში ძალადი და ჯანიაი კაცი იყო, შავგრემანი, გრძელი უღ-
ვაშები შვენიდა. ხუთი ცხენოსანი ჟანდარმით სწრაფად შეიჭრა სოფელ
აიასურათში. ცხენები ოფლის ქაფში ცურავდნენ, ოფლისაგან კისერზე
მოშავო ფერი დასდებოდათ. ფეხები ტალახში დასვროდათ. ხასან ჩაუში
თავის ცხენოსნებთან ერთად ახმედ ეფეს ეზოში შეიჭრა. ცხენების ფეხის
ხმა რომ გაიგონა, ახმედ ეფე გარეთ გამოვიდა. ხასან ჩაუშის დანახვისთა-
ნავე სახეზე ღიმილმა გადაჰკრა. მას დიდი ხანია იცნობდა და თანაც ძალი-
ან უყვარდა. გაბედული კაცი იყო ხასანი. ახმედის ყაჩაღობის დროს ყო-
ველ ძალას ხმარობდა მის დასაჭერად. ხასან ჩაუშისაგან ახმედს ბევრი
ხიფათი გადახდა, მაგრამ მთიდან ბარში ჩამოსვლის შემდეგ ერთგული მე-
გობრები გახდნენ. მართალია, ხალხი ამბობდა, „ოსმალების ნდობა არ
შეიძლება“. ახმედ ეფემაც იცოდა ეს, მაგრამ მაინც ძმებზეთ იყვნენ.
რაც ახმედ ეფე მთიდან ჩამოვიდა, მის მერე რამდენჯერ ყაჩაღების საძებ-
ნელად ერთად წასულან. ბევრი გაჭირვება გადაეტანათ, მეგობრები იყვნენ
და ერთმანეთს ხელს უწყობდნენ.

ახლა კი ჟანდარმები ახმედის ეზოში შემოჭრილიყვნენ.

— ასეთი რა შეგემთხვა, ხასან ჩაუშ? — ჰკითხა მასპინძელმა, — ჩა-
მოქვეითდი, ერთი, ჩამოქვეითდი!

— გაჭირვებაში ვარ, ეფე, — უთხრა ნაყაჩაღარს და სწრაფად ჩამოქ-
ვეითდა ცხენიდან.

— გაჭირვებაში ვართ! — გაიმეორეს ჟანდარმებმა.

— რა მოხდა? შენ ასე აღელვებული არასოდეს მინახიხარ.

ჩაუშს სახეზე ყვირთელი ფერი დასდებოდა. ხელებიც უკანკალებდა.
მთვრალივით დადიოდა. სახლში შევიდნენ და დასხდნენ. ხასან ჩაუშს
მხრებიც გაოფლიანებოდა. ოთახში ბავშვის ხმა მოისმა. ხასან ჩაუშს
სახე გაუნათდა. ოთახში შემოსული ბავშვი ჩაუშს ხელზე ეამბორა. ხასან-
მა ჯიბიდან ერთი მეჯიდიე ამოიღო და ხელში ჩაუდო. ბავშვმა არ აიღო.

— ჩაუშ, — უთხრა ახმედმა, — ვხედავ, მემედის დანახვაზე სახე გა-
გიბრწყინდა. ჩემი მემედი კარგი ვაჟკაცი უნდა დადგეს.

— ფული არ გამომართვა, მაგრამ მაინც მიყვარს.

— მემედ, — უთხრა შვილს ახმედმა, — გამოართვი ფული. შენი ბი-
ბაა, უცხო არ არის!

ბავშვმა ფული მაინც არ აიღო. ჩაუშმა გვერდით მოისვა, თავზე ხე-
ლი გადაუსვა. ყოველთვის ასე ექცეოდა.

ცხენები თავლაში რომ დააბეს, ჟანდარმებიც მათთან შევიდნენ. მკლა-
ვებზე ხურჯინები ჰქონდათ წამოკიდებული. ერთმა ჟანდარმმა ჩაუშის
ხურჯინი მოიტანა და დადო. ჩაუშმა ხურჯინი ნელ-ნელა გახსნა და ბავ-
შვის ერთი ფოთინი და ერთიც კრაველის ხუჭუჭა ბოხოხი ამოიღო. ბო-
ხოხი ბავშვს თავზე მოარგო, ფოთინიც ჩააცვა, გამოაწყო და მერე სიცი-
ლით შეათვალიერა.

— ფაშა უნდა გამოვიდეს მემედი, როგორ მოუხდა!.. დიახ, ფაშა უნდა
გამოვიდეს, ღმერთი იყოს მისი მფარველი!

მემედს ყოველთვის რაღაცას მოუტანდა, ჩაუში მემედის თვალში გუ-
ლაღზე გულადი ვაჟკაცი იყო.

ხურჯინის მეორე თვალიდანაც საჩუქრები ამოალაგა. ერთ მხარეს
დადო. ამ დროს გოგონა შემოვიდა, საჩუქრები აიღო და წავიდა.

ჩაუში რომ ესტუმრებოდა მამამისს, მემედი ყოველთვის გვერდით
მიუჯდებოდა და დიდი ინტერესით ისმენდა მათსაუბარს. მარტო ჩაუშთან
კი არა, ვინც უნდა მოსულიყო მათ სახლში, მემედი ასმენდა საუბარს და
შუალამემდე არ დაწევბოდა.

— თქვი ბარელამ, ძმაო, რა გადაგხდენია თავს? ძალიან დამადარდია-
ნე, — თქვა ახმედ ეფემ.

ჩაუში ისევ მოუსვენრად იყო, ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

— ჩემო ეფევ... — დაიწყო და გაჩერდა.

ახმედი თვალეში შესციცინებდა.

— ასეთი რამ ჯერ თავს არ გადამხდენია. მე რაც ჩაუშობა მიბოძეს
და ამ საქმეს ჩავუდექი, ასეთი რამ არ მომსვლია ჩემდა სამარცხვინოდ.

— მაინც რა მოხდა ასეთი?

— დილით ღავადექი გზას. ჩემი მიზანი იყო, თქვენთან მოვსულიყავი
და ჩემი ძმა ახმედი მენახა. ერთი საათის გზა რომ გამოვიარეთ, წინიდან
დიდი სროლა აგვიტყვეს. მაღლობა ღმერთს, მიზანში ვერ ამოგვიდეს.
უკან გამოვბრუნდით უვნებლად და გამოვიქცეთ. მგონია, ბერძენ ყაჩაღთა
რაზმი უნდა იყოს. იმათ ვერ გავეკიდეთ. შენთან იმიტომ მოვედით, ვიფიქ-
რე, ეფეს თანხლებით იმ ყაჩაღებს რაღაცას მოუხერხებ-მეთქი. ასე კი
გადაწყვიტე, მაგრამ გაქცევამ მაინც ცუდად იმოქმედა ჩემზე. საკუთარი
თავის შემერცხვა, ხასან, ესაა შენი ვაჟკაცობა, ესაა შენი გამბედაობა-მეთ-
ქი? გულზე ლოდივით დამაწვა ეს დარდი. ახლა უკანვე დავბრუნდები,
ვიფიქრობ, შორს არ იქნებიან წასული და ჩემს ვაჟკაცობასაც ვანახებ.
მათ!

ეფემ გაიცინა.

— ამდენს ნუ იღარდებ, ახლავე საქმეს მიუხედავთ, ჯერ დაისვენე, საჭმელი მიირთვი.

— არა, საჭმელი ყელში არ ჩამივა, ჩემო ეფევ. გული დარდით მიკვდება!

— ერთი ლუკმა, ერთი ლუკმა... ბავშვებო, ჩაუშს საჩქაროდ საჭმელი გაუშვადეთ!

საჭმელი შემოიტანეს, ჩაუშმა ხელი არ ახლო. ეფეს თხოვნაზე სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, გული დარდით მიკვდებაო.

ჯანდარმებმა ორიოდ ლუკმა მიატყეს და ეფეც წამოდგა.

— მართალი ხარ, ძმაო, ახლავე დავედევნოთ, — თქვა და იარაღი შეი-სხა. იმ წუთშივე გზას დაადგნენ, ეფე და ხასან ჩაუში წინ, ჯანდარმები

— უკან. ქარივით გაქროლდნენ სოფლიდან, ცხენებს არ ინდობდნენ, სწრაფად მიაჭენებდნენ. ოფლში იწურებოდნენ ცხენები, საბერველივით ისუნთქავდნენ ჰაერს.

მზე ხელ-ნელა ჩადიოდა. ჩრდილები გაგრძელებულიყო... ერთ ღელეს მიაღგნენ. შეჩერდნენ თუ არა, ექვსი თოფი ერთდროულად გავარდა. ახმედ ეფე ცხენიდან ჩამოვარდა. ახლოდან ნასროლი სამი ტყვია მოხვედროდა თავში. წყლის პირას, საკუთარ სისხლში მოთხვრილი, უსულოდ გაშლართულიყო.

ხასან ჩაუშს ახმედის გვამისათვის არც კი მიუხედავს, ცხენის ჭკნებით ოდემისისაკენ გასწია...

ახმედ ეფეს სიკვდილის ამბავი მუორე დღესვე, სადილობისას, შეიტყვეს სოფელში. მისი ცოლი ხატიჯე ტირილითა და თმების გლეჯით ფეხშიშველი გზას დაადგა და სისხლში ამოსვრილ გვამს მივარდა:

— არ გითხარი, ჩემო ეფევ! არ გითხარი, ოსმალთზე არ ინდობა-მეთქი, არ გითხარი?!

ეფეს გვამი ასწიეს და სოფელში წაიღეს.

ამის შემდეგ ხატიჯეს არ გაუხარია. ყოველდღე თმებს იწეწდა და მეუღლის ვერაგულად სიკვდილს დასტიროდა. მემედა თანდათან იზრდებოდა. რაც მამამისი ღალატით მოკლეს, შურისძიების გრძნობით იზრდებოდა. ყურში მუდამ დედის ნაღვლიანი ზმა ესმოდა — „არ გითხარი, ჩემო ეფევ? არ გითხარი ოსმალთს მეგობრობა არ შეიძლება? რა ხრიკებით გიგდეს ხელთ, ჩემო ეფევ? ვერაგის ხელით მოკლულ, ჩემო ეფევ!“

მემედს დაწყებითი სკოლა დაემთავრებინა, ორი წელიც ქალაქ ოდემისში მედრესეში იყო და შემდეგ სწავლას თავი დაანება.

* * *

ჰაჯი-ყაჩაღი ერთი პატარა, შავტუხა, შეუხედავი ბებერი კაცი იყო, — ახმედ ეფეს ახლო მეგობარი, მისი ხელშემწყობი. ხასან ჩაუშისაგან ახმედ ეფეს ღალატით სიკვდილის შემდეგ მემედს უპატრონა, უმამობა არ აგრ-

მსობინა. ისინი, ვინც ახმედ ეფეს გულადობასა და ვაჟკაცობას არ იცნებდნენ და პირზე ეკერათ მისი სახელი, ხატიჯე და ჰაჯი-ყაჩალი იყვნენ... ჰაჯი სულ ახმედ ეფეს სიკვდილზე მღეროდა ლექსებს.

მემედმა სასწავლებელი რომ მიატოვა, ჰაჯიმ იგი თავისთან იხმო და მუხლებზე დააჩოქა.

— შვილო, — უთხრა, — არ დაგავიწყდეს, რომ შენ ჩაქირჯალი ახმედ ეფეს შვილი ხარ. მისი გული თუკი გამოგვყა, ყველა ჩაქირჯალს სჯობინხარ. სადაც ტბა არის, იქ წყალს რა გამოიღევს, გულად ვაჟკაცს საქმეს რა გამოუღევს... ხომ ხედავ, შენი დროც დადგა...

მერე ერთი ცხენი და ერთი მაუზერი აჩუქა. მემედმა ხელები დაუკოცნა.

— იცოცხლე, ბიძია, იცოცხლე. რამდენიმე წელია უმამოა არ მაგრძნობინე. ...მამაჩემი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ ასევე მომრთავდა.

— კი, შვილო, ასე იზამდა, ნათქვამია, მგლის ლეკვი მგელი დადგებაო.

მემედი ცხენს მოახტა, მაუზერი მხარზე მოიგდო. ცხენიც ლამაზი იყო, თეთრი, მაუზერიც სულ ახალი. მემედმა ცხენი ოდემისის მთებისაკენ გააჭენა. სადამომდე აჭენა. ახლო ველზე ერთადერთი ნაძვის ხე იდგა და იმ ხეს ხუთი ტყვია დაახალა ზედიზედ. თოფს მოეფერა, მოესიყვარულა, მერე დაფიქრდა:

— მამაჩემი ნემსის ყუნწში აძვრენდა თურმე ტყვიას. მე ამხელა ხეს ძლივს მოვარტყი. როგორ ისვრიან ასე ზუსტად, ნეტავი?

თოფს მოიდარჯვებდა და მიზანში აიღებდა ჩიტს, ტელეფონის ბოძზე რომ იჯდა, ასე ვარჯიშობდა. აქედან კიდევ ცხენის ჭენებით სახლში დაბრუნდა. ეზოში რომ მივიდა, დედა გარეთ დახვდა. გაეღიმა შვილს, ყელზე მოკივია, მერე დედამ ცხენს შემოუარა და უთხრა — კეთილად მოგეხმაროს შვილო. ფეხჩქარია?

— ქარივით სწრაფია, დედა!

ხატიჯემ თოფი გამოართვა და შეათვალიერა.

— შეეჩვიე? ისროლე?

— ვისროლე, დედა. ერთ ხეს ვესროლე. ხუთივე მოვარტყი. ძალიან კარგი თოფია. უკეთესი რომ არ იქნება!..

ხატიჯეს გაეღიმა. მერე თვალები აემღვრა და მოწყენილი სახე მიიღო.

— მამაშენი ჰაერში ჩიტს, მიწაზე კი ჭიანჭველას მოარტყამდა ტყვიას. მამაშენის სადაფით მოჭედილი თოფი იმ ურჯულო ხასან ჩაუშთანაა... გაფრენილ ჩიტს თვალში მოარტყამდა იმ თოფით-მეთქი, შვილო, მამაშენი ისეთი კაცი იყო. მამაშენის თოფი, მისი სისხლი და ჯიგარი, ხუთი წურუთი რომ არ ღირს, ისეთი კაცის ხელშია...

მემედმა ცხენი თავლაში დააბა და სახლში შევიდნენ. დედა თავისი განაგრძობდა.

— მამაშენი იმ მთების არწივი იყო, ჟანდარმთა რაზმი თუ გაივლიდა და მის სახელს, პირს უკუიქცევდა და გაბრუნდებოდა, ოსმალები ცახცახებდნენ მისი შიშით, ასეა, შვილო, მემედ... მამაშენი არაბულ ცხენზე იჯდა... უნაგირი და მისი მოწყობილობა ვერცხლით იყო მოკაზმული. მზიან დღეში მამაშენი სადმე რომ გაივლიდა, მისი ცხენის მორთულობა ელავდა მთელს მინდორში. როცა ასე მორთული ცხენი გამოჩნდებოდა, სოფლელები ჩვენთან ჩამოირბენდნენ და შემატყობინებდნენ, ხატიჯე, ეფე მოდიხო! ოღემიშის ველი გაბრწყინდებოდა იმის მოსვლით, მამაშენი მთიდან სახლში რომ ჩამოდიოდა, სოფლელები ზეიმსა და ქორწილებს მართავდნენ, ეფე მოვიდაო! ღარიბ ქალიშვილს მზითვს გაუწყობდა, ჭაბუკებს ბაშლიდის ფულს გადაუხდიდა. ავადმყოფებს ექიმისა და წამლის ფულს მისცემდა, გაჭირვებულს — პურის ფულს. მამაშენი აი ასეთი ეფე იყო, ჩემო მემედ. ჩემო ეფევ, კეტყოდი, ოსმალო კაცს ნუ ენდობი-მეთქი, მაგრამ ის ყველას ენდობოდა. სუფთა გულის კაცი იყო. ოსმალომ როგორი არაკაცობა გამოიყენა ბოლოს, ხომ ნახეთ, უპიროა ოსმალო!

მერე ატირდა, კიდევ ატირდა. დიდხანს გულმოჯერებით ტიროდა. — მკაცრია ოსმალო, — თქვა.

მეორე დღეს ხუთი ცხენოსანი მოვიდა. ხუთივე ცხენს თამბაქო ეკიდებდა. ყაჩაღებიდან ერთ-ერთმა თქვა:

— მემედ, ყაჩაღმა ჰაჯიმ შენთან გამოგვაგზავნა, ეს თამბაქო ერთად უნდა წავიღოთ აიდანამდე.

მემედი მათ ელოდებოდა. მზად იყო და ცხენს მოახტა.

დედამ მიაძახა:

— ბედნიერი მგზავრობა გქონდეს, შვილო, ღმერთმა ყისმათი გიმრავლოს და მტრებს თვალები დაეხოსო. მამაშენიც ასეთი იყო!..

სიბნელეში თვალს მათფარნენ.

გზები მცველებით იყო სავსე, ამ ბოლო ხანებში ისე იცავდნენ ყველა გასავალს, ჩიტსაც გაუჭირდებოდა გაფრენა.

თამბაქო მთავრობას უნდა ჩაებარებინა, ხელზე გაყიდვა აკრძალული იყო.

გადამციდელებიდან ერთი დელი ოსმანი იყო.

— გზები ძალიან სახიფათოა, სულ მთებში უნდა ვიაროთ, ძნელაა, ნაგრამ მთებში მაინც უშიშარია. — თქვა მან.

მემედი არ დაეთანხმა.

— მინდვრებიდან, მთავარი გზით წასვლა უფრო უშიშარი უნდა იყოს. დელი ოსმანს ძალიან გაუკვირდა.

— მთავარი გზა დაკავებულია, ჩიტიც ვერ გაფრინდება...

— არა, — თქვა მემედმა, — ყაჩაღები ყოველთვის მთებში დადიან,

ამიტომ მთავარ გზებს აღარ იცავენ. თავისუფალია. ერთი-ორი, მცველი რომც იყოს, იმათ მოუუვლით.

— არ შეიძლება იმ გზით წასვლა, — გაჯიუტდა დელი ოსმანი. სხვა ყჩაღებიც ალაპარაკდნენ.

— ოსმან-აღა, ბავშვი მართალს ამბობს, მთებში გასავალი ადგილები უფრო სახიფათოა. ყოველი ქვის ძირას შეიძლება მცველი იყოს ჩასაფრებული. გადამყიდველებს ფეხდაფეხ მისდევენ მცველები და მათი დაზმბარე ჟანდარმებიც სულ მთებში დადიან... ბავშვი მართალია, მთავარი გზა უფრო უხიფათოა.

დელი ოსმანი განრისხდა, მთების გავლით უნდა წავიდეთ, ჩემი სიტყვა სიტყვაა.

ჰაჯი მუსტაფაც წინააღმდეგი იყო მთებიდან წასვლისა, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც ოსმანი არჩია.

— ოსმან-აღა რასაც იტყვის, არ გადათქვამს, მისი სიტყვა უნდა შესრულდეს. მართალი ხარ, მაგრამ ნუ აყვები... ჩემი სახელი ჰაჯი მუსტაფაა, მამაშენი ჩემი კარგი მეგობარი იყო. ძმებივით ვიყავით, რა კაცი იყო ეფე! რა დრო გვიტარებია! ის რომ მოკვდა, ხელები მომეკევა... .

შუალამე გადასული იყო, ქარაფიან აღმართზე რომ აცოცდნენ. ერთი ღელე გაიარეს და დაღმართში დაეშვნენ. უცბად იმ ღელეში სროლა აუტეხეს. ერთი მოკლული ძირს დავარდა.

ჰაჯი მუსტაფა მემედთან მივარდა.

— გადახტი, ქვას ამოეფარე, — უთხრა და თვითონაც გადახტა, — ხიფათში ჩავვარდით, შუაგულ ცეცხლში მოვექცით.

სროლა რომ დაიწყეს, მემედს თითქოსდა უხაროდა.

— ჰაჯი ბიძია, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა ექნათ? — ეკითხებოდა... ბოლო კი უიმედო იყო. გათენდებოდა და ყველას დაიჭერდნენ, ანდა დახოცავდნენ.

— გაქცევა შეგიძლია? — ჰკითხა ჰაჯიმ, ახალგაზრდა ხარ და მარჯვე იქნები.

— დიახ, შემიძლია!

— ახლა ოსმანთან მიჩოჩდი, უთხარი, რომ იმ სამხრეთ ბაღებისაკენ ყველამ ერთდროულად სროლა ატეხოს. მერე თვითონაც წავიდნენ იქითკენ. ჩვენ აქედან სროლა განვაგრძოთ. სამშვიდობოზე გასვლამდე დავიცავთ მათ.

— კარგი, ასე ვიზამ.

— აბა, თავი გამოიჩინე, ახმედ ეფეს შვილი ხარ!..

გზისაკენ ერთბაშად სროლა ატეხეს, შემდეგ ცხენებს მოახტნენ და იმ კლდეების უკნიდან, ღელის გასწვრივ დაეშვნენ ქვევით. მემედი და ჰაჯი ადგილზე დარჩნენ...

თურქულიდან თარგმნა იზრაიილ გორაძემ.

ვაჟა კინწურაშვილი

ნორჩი მუზღვაური

მასწავლებელი

ო, როგორ მიყვარს ზღვა და
ო, როგორ მიყვარს გემი,
კაპიტნის ხიდზე დგომა
ოცნება არის ჩემი.

კიდე — ქვეყნების ხილვა,
ჩაღხტა მრავალთა ცნობა,
სიკეთით სავსე გული
მეგობრობა და ძმობა.

მშვიდობა — დედამიწას,
აი, დევიზი ჩვენი,
პლანეტას გაუმრავლდეს
მშვიდობიანი დღენი.

მიყვარს ცისფერი გზები,
აფრა — გაშლილი კენტად,
მაგრამ ყველაზე უფრო
სამშობლო მიყვარს მეტად!

სამომავლო ხნულში თესავ
შენ სიმართლის სპეტაკ
მარცვლებს,
რა დაფარავს სიხარულით
მოზღვაკებულ გულში განცდებს!

სინათლისა და სიკეთის
სიყვარული წილად იდე,
მობიბინე ჯეჯილს შეტრფი,
სათნოება განადიდე.

და ნორჩების ჟრიამული
ყურს ჩაგესმის ნაირ ხმებად,
მათი სწავლა, მათი გარჯა
მოგფენია გულზე შვებად.

შენი მრწამსი ასეთია:
კაფე ნარი, თესე ია,
პატარებს გზა გაუნათე
გულში ცეცხლი თუ გინთია.



ალექსანდრე საგსონია

«მონანიება» ბათუმში გადაიღეს

რასაკვირველია, იმ ქართულ ფილმზეა ლაპარაკი, ტრიუმფით რომ მოიარა ჩვენი ქვეყნის ეკრანი და ასევე ტრიუმფით რომ გაუყვა უცხოეთის გზებს.

ისიც რასაკვირველია, ამ წერილის ავტორი არც „მონანიების“ სცენარის შექმნაში მონაწილეობდა და არც მთავარი როლი უთამაშია ფილმში, მთავარი კიარა, არც ეპიზოდური, და ამ მიზეზის გამო, მისი გვარი არათუ ტიტრებშია გამოტოვებული, არამედ არც „და სხვებში“ იგულისხმება.

ბედი, უფრო სწორად, ნიჭი უნდა ყველაფერს, მაგრამ ასეთი პესიმი-სტური განცხადების მიუხედავად, ამ წერილის ავტორი მაინც ბედნიერი კაცია, რადგან „მონანიება“ ძირითადად მის მშობლიურ ქალაქში — ბათუმში გადაიღეს და თვითონაც უშუალო მხილველია, შეიძლება ითქვას, მონაწილეა ამ პროცესისა.

ბედნიერია, რადგან ასე ახლოს გაიცნო გადამღები ჯგუფი — თანამო-აზრეთა შესანიშნავი კოლექტივი, და უპირველესად, რასაკვირველია ბა-ტონი თენგიზ აბულაძე, რომელმაც მისი თანაქალაქელი და თანასკოლელი ავთანდილ მახარაძე, ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამითვლით, მსოფლიო კინოვარსკვლავად აქცია („აქცია“ ალბათ ზუსტად ვერ გამოხატავს სათ-ქმელს. „მონანიებამდეც“ ცნობილი იყო რუსთაველის სახელობის თეატ-რის წამყვანი მსახიობის ავთო მახარაძის ნიჭიერება. სხვა როლებზე რომ არაფერი ვთქვათ, მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე ჯაყო ითამაშა! რუსულად!). ყველაფერი სწორია, მაგრამ დამეთანხმებით, ვარლა-ძი და აბელი მაინც განსაკუთრებული სახეები.

კიდევ ერთი ბათუმელი არ უნდა დაგვავიწყდეს. ოპერატორ სოსო შე-ნგელიაზე მოგახსენებთ, მაგრამ მასზე ადრე ფილმის პატარა მსახიობები, ნატა ონიგავა და ღათო ქემხაძე უნდა გავიხსენოთ, ასე შესანიშნავად რომ განასახიერეს თავიანთი როლები (დიახ, როლები!). ისინიც ხომ ბათუმე-ლები არიან! ეპიზოდებშიც ხომ ბევრი ბათუმელი მონაწილეობდა — პრო-ფესიონალი მსახიობები თუ უბრალო მოყვარულები, და, რაც მთავარია, ყველაფერი (თითქმის ყველაფერი) ჩვენს მზიან-წვიმიან ბათუმში ხდება,

რასაკვირველია, ქალაქის დაუსახელებლად, მაგრამ სპეციალურად არა, ჩვენ, ბათუმელებმა ხომ ვიცით, ის ქუჩები, სახლები და ის ეკლესია, სადაც ამდენი ტრაგედია თამაშდება, ბათუმისაა. მართალია, სურათში ვერ ნახავთ ლურჯ ზღვასა და მზეზე გარუჯულ დამსვენებლებს (ვის ეცალა მაშინ დასასვენებლად), მაგრამ მაინც ყველაფერი ჩვენებურია, ჩვენი სატკივარი და წუხილია, თუმცა რატომ მართო ჩვენი? — იგი ყველას ღარდი და ცრემლია. და ზოგიერთების რიტორიკულ შეკითხვაზე — საჭირო იყო კი ყველაფერი ამის ჩვენება? — მხოლოდ ერთი პასუხი გვექნება სათქმელი: დიახ, საჭირო. იყო! არც თუ ისე შორეული წარსულის გახსენება იმისთვის გვჭირდება, რომ იგი მომავალში აღარ განმეორდეს, ჩვენ უნდა შეგვეძლოს სიმართლისათვის თვალის გასწორება, რაგინდ მწარე არ უნდა იყოს ეს სიმართლე, ჩვენ უნდა მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები (უცოდველებს შეუძლიათ მშვიდად იმინონ), რომ მომავალში ვერასოდეს ვეღარ იბოვინონ „ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლმა“ ვარლამისთანა ადამიანებმა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პატივცემული მკითხველი, ალბათ, ჩემს კანონიერ ბათუმურ სიამაყეს პროვინციულ თავმოწონებად აღარ ჩამითვლის და ამ სტრიქონების ავტორის გულწრფელობაშიც ეჭვს აღარ შეიტანს. აბა, თავად განსაჯეთ — რამდენი კარგი თუ ცუდი ფილმი გადაუღიათ აქამდე ბათუმში, მაგრამ არასოდეს თავი არ გამომიდვია. „მონანიების“ შემდეგ კი, ჩემის ღრმა რწმენით, დუმილის უფლება არ მქონდა. სწორედ ამიტომ ვაცხადებ ყველას გასაგონად: დიახ, „მონანიება“ ბათუმში გადაიღეს!

გადაღებამდე კი ბევრი რამ მოხდა — საგულისხმო და ყურადსაღები. სათქმელს შეიძლება წლის წინანდელი ამბით დავიწყებ.

1980 წლის ნოემბერი იდგა — ისეთი თბილი და მზიანი დღეები, აჭარაში რომ იცის შემოდგომის მიწურულში, სიმონ ჩიქოვანს რომ შესანიშნავი ლექსების ციკლი დააწერინა. ბათუმი თბილისის დღეებზე ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლობდა — ირაკლი აბაშიძესა და რობერტ სტურუას, რეზო ჩხეიძესა და ზურაბ ანჯაფარიძეს... ყველას ვერ ჩამოთვლი.

როგორ ფიქრობთ, თენგიზ აბულაძე დააკლდებოდა ამ ზემოს?

ჰოდა, ბათუმიდან ხელვაჩაურის რაიონს რომ ვეწვიეთ, ზღაპრულმა ამინდმა მანქანიდან გამოგვიტყუა და თბილის-ბათუმის გაერთიანებული დელეგაციის უმრავლესობა ფეხით გაუყვა სარფიდან გონიოსაკენ მიმავალ გზას (იქ, უძველესი ციხის ნანგრევებში, ახალი შეხვედრა გველოდა).

როგორც ასეთ სიტუაციაში იტყვიან ხოლმე, ბატონი თენგიზი და მე შემთხვევით ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდით, თუმცა, სულო ცოდვილო, შემთხვევითი არაფერი ყოფილა, ძალიანაც მინდოდა მასთან საუბარი, რადგან ახლო მომავალში შესაძლოა ცდუნებას ავეოლოდი და კინოსცენარი დამეწერა (სხვები ხომ წერდნენ!). ასეთი პატივმოყვარული სურვილის მი-

უხედავად, ღმერთი, რჯული, საკუთარ შემოქმედებაზე არაფერი მტკიცებს. საღაპარაო ისედაც ბევრი გვქონდა: დიდებული ბუნება და არანაკლებ დიდებული ამინდი, სარფელთა სტუმართმოყვარეობა და, რასაკვირველია, ფეხბურთი! (თბილისის „დინამო“ ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით ევროპის თასის დასალაშქრავად ემზადებოდა). ბოლოს მაინც კინოზე ჩამოვარდა საუბარი. თენგიზ აბულაძეს „ვედრება“ უკვე გადაღებული ჰქონდა, მაგრამ აღიარებამდე მაშინ ძალიან შორი და ეკლიანი გზა იყო, მწარე სინამდვილეს ვერსად გაექცეოდი. ასეთ შესანიშნავ სურათს მხოლოდ მესამე კატეგორია მიანიჭეს და მისი რეჟისორი „პრინციპული“ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მე პირადად, თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, „ვედრებაზე“ სრულიად საწინააღმდეგო აზრისა გახლდით და ჩემი მთავებდობა ბატონ თენგიზს დაწვრილებით მოვახსენე.

ყურადღებით მოძისმინა და მითხრა. სხვათა შორის, ბათუმიდან გაზეთის ამონაჭერი გამომიგზავნეს, სადაც „ვედრება“ დადებითადაა შეფასებული და ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარა ამ წერილმაო... საწუხაროდ, ავტორი ხელს არ აწერდაო, — დასძინა ბოლოს.

იმ სიტყვების შემდეგ ჩემი სიხარულიც უნდა გენახათ. დასაძალავი რა იყო და მეც ამაყად განვაცხადე, მე გახლავართ იმ წერილის ავტორი-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩავაწყვე მომავალი სცენარის საქმე, მაგრამ ბატონმა თენგიზმა მომავალში მაინც სხვა რამ გადაიღო.

„აღსარების“ შემდეგ, ცხადია, საუბარი უფრო მეგობრულ და გულთბილ ატმოსფეროში გაგრძელდა. თენგიზ აბულაძემ სამომავლო გეგმები გამანდო, დიდი ხნის ოცნება უნდა ავისრულო, და ამ ნაოცნებარი ფილმის რამდენიმე ეპიზოდი მომიყვა. როცა დაამთავრა, არ დაგიძალავთ და, გაოცებულმა შევხედე — ასეთი სურათის გადაღებას როგორ აპირებთ-მეთქი? — ვაპირებო! — ღიმილით დამიქნია თავი, — ესეთ კაცს გავაცანი სცენარის ქარგა, რომ მის დასტურს ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვსო.

„ნეტარ არიან მორწმუნენი-მეთქი“, — გავიფიქრე გულში, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას როგორ გავბედავდი.

ნუ დაგავიწყდებათ, 1980 წლის მიწურული იდგა. გარდაქმნამდე და საჯაროობამდე ჯერ კიდევ საკმაოდ მანძილი გვქონდა გასავლელი, „ქართული ფილმი“ კი თენგიზ აბულაძის „მონანიების“ გადასაღებად იწყებდა სამზადისს.

ეს „მოსამზადებელი პერიოდი“ კარგა ხანს გაგრძელდა. ყოველ შემთხვევაში, მე პირადად ხელი უკვე ჩაქნეული მქონდა, მაგრამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ბათუმს კინოსტუდიის გადამღები ჯგუფი ესტუმრა. არა, თენგიზ აბულაძე არ ახლდა ამ ჯგუფს. „წინასწარი სამუშაოების“ დასაზუსტებლად ნანა ჯანელიძე გამოგზავნა — „მონანიების“ სცენარის თანაავტორი, რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი. მოგვიან-

ბით ბატონი თენგიზიც გვეწვია და მასთან ერთად, ვინ იცის, ბათუმის რამდენი ქუჩა დავიარეთ, რამდენი სახლი დავათვალიერეთ. დამდგმელი რეჟისორს ყველაფერი აინტერესებდა — შენობის ინტერიერი, ძველებური ავეჯი, ჭალები, ბუხარი, გახუნებული ფოტოსურათებიც კი.

ბათუმელები ყველგან გულლიად გვხვდებოდნენ. ერთ ეზოში დაერდომილმა მოხუცმა ქალმა შეგვჩივლა, წამალი ვერ ვიშოვეო, გვარიც არ უთქვამს, მგონი, ანა პეტროვნა ვარო, ასე გაგვეცნო. მაშინვე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მივიდა ანა პეტროვნას წამლისთვის ბატონი თენგიზი და უშოვა კიდევაც.

პირველი კადრები ძველი ბათუმის უბანში გადაიღეს, რესტორან „გემოსთან“, სადაც ზომალდის ფორმის უცნაური სახლი დგას. სხვათა შორის ადრე ამ სახლით ელდარ შენგელაია დაინტერესდა. თუ გახსოვთ, „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ დოღო აბაშიძე რომ გამოდის აივანზე და ვარჯიშობს, სწორედ ის შენობაა. ახლა ეს აივანი ვარლამ არავიძის ტრიბუნად იქცა, საიდანაც მამა და მარჩენალი თანაქალაქელებს სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა. აივანს უკან კი ვეებერთელა ყვავი ჩამომჯდარიყო.

„მასაში“ გადასაღებად თავმოყრილ ხალხთან ერთად („გემოს“ დირექტორ გივი ჩხარტიშვილსაც იღებდნენ) სუნთქვაშეკრული შევცქეროდი ავთანდილ მახარაძეს და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მის პენსიებზე არეკლილი მზის სხივი მეც თვალს მიბრმავებდა.

— ნახავ როგორ სახეებს შექმნის ჩვენი ავთო. — მითხრა შესვენებაზე ბატონმა თენგიზმა.

— სახეს-მეთქი. — ვითომ შევესწორე მე.

— სწორედ რომ სახეებს, — გაიმეორა დამდგმელმა რეჟისორმა, — ვარლამის შვილის როლსაც იგი თამაშობს.

ისე თქვენ ყველაფერი კარგად აგიხდათ, როგორც თენგიზ აბულაძის სიტყვები ახდა! ხომ დიდებული სახეა ვარლამი, მაგრამ მე, პირადად, აბეული მიმაჩნია უფრო რთულ როლად, რომელშიც გამოჩნდა ავთანდილ მახარაძის ჭეშმარიტი ნიჭი, გარდასახვის შესანიშნავი უნარი. ამის დასტურად მარტო მონანიების ეპიზოდიც კმარა.

ახლა ბავშვობის წლები უნდა გავიხსენო.

მახარაძეების ოჯახი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. ავთანდილის მამა ვანიჩქა ბიძია ბათუმის თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. რომელ წარმოდგენაშიც კი თამაშობდა, არათუ ბილეთს, „კონტრამარკასაც“ ვერ იშოვიდით... სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა საავტომობილო კატასტროფაში... მთელი ქალაქი მიაცილებდა მის ცხედარს.

ახლა თვით ავთანდილ მახარაძეს მოვუსმინოთ:

„ოცდახუთი წლის ასაკში დაღუპული მსახიობის შვილს, არა მგონია, სხვა პროფესიაზე ოცნების უფლება ჰქონოდა; ყველა ახლობელი როდი

უჭერდა მხარს ჩემს არჩევანს. ამიტომ, ჩემს პირველ როლად სამედიცინო ინსტიტუტის აბიტურიენტის როლში ვაპოსვლა, ეს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა, მისაღებ კომისიას ჩემი ახლო ნათესავი ედგა სათავეში და ვშიშობდი რაც არ უნდა დამეწერა, დადებით წიშანს მივიღებდი. რამდენიმე საათის „ოფლის ღერის“ შემდეგ კომისიას სრულიად სუფთა ფურცელი ჩავაბარე“...

ახლა, ცხადაა, ძნელია იმის თქმა, როგორი ექიმა გამოვიდოდა ავთანდილ მახარაძე, მამის პროფესიას რომ არ გაჰყოლოდა, მაგრამ თუ როგორი მსახიობი გამოვიდა იგი, — ამის შეფასება დღეს ყველას შეუძლია, განსაკუთრებით „მონანიების“ შემდეგ, კანის ფესტივალის შემდეგაც, სადაც ყოველდღიურად უცხოეთის მრავალი ქვეყნის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტები თხოვნენ ქართველ მსახიობს ინტერვიუს. ერთ დღეს თურმე 14(!) ინტერვიუს გაცემა მოასწრო... კანის თითქმის ყველა ქუჩაზე გამოფენილი სარეკლამო პორტრეტებიდან ვარლამის „ფიზიკელი თვალი“ მიაცილებდა გამვლელ-გამომვლელს. კანშივე ავთანდილ მახარაძეს ფრანგულ-იუგოსლავურ ერთობლივ ფილმში მთავარი როლის შესრულება შესთავაზეს... დაახლოებით ისეთი ანბავი მოხდა, ენაკვიმატი გურულები რომ იტყვიან, საკუთარ კანში ვერ დაეტიო.

ახლა, ხუმრობა იქით იყოს და, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, დროებით უკან დავიხიოთ.

მაშასადამე, „მონანიების“ პირველი კადრები გადაიღეს და ოპერატორი გია გერსამია იყო. შემდეგ მისი საკმე ნიჭიერმა ბათუმელმა კაცმა, შეიძლება ასე ითქვას, თვითნასწავლმა ოპერატორმა სოსო შენგელიამ გააგრძელა.

არ დამავიწყდება თენგიზ აბულაძის სიტყვები:

— არ ვიცი, საბოლოოდ, როგორი ფილმი გამომივა (ძალიანაც კარგად იცოდა!) მაგრამ ერთი რამის თქმა თამამად შემიძლია: სოსო შენგელიას სახით მე ჭეშმარიტი ხელოვანი ვიპოვე.

მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ წყლით სავსე სარდაფებში დევნის სცენა სწორედ სოსო შენგელიას გადაღებულია, მგონი, ერთი ეპიზოდიც კმარა დაძღვებული რეჟისორის შეფასება რომ ვირწმუნოთ.

სახლი-ხომალდის გადაღების შემდეგ ჯგუფმა კათოლიკურ ეკლესიაში გადაინაცვლა.

ამ ეკლესიაზე ცოტა ვრცლად შინდა ვილაპარაკო. ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე, ეკლესიის ეპიზოდი მთვინილი ხომ არ არისო, თუნგიზ აბულაძემ უპასუხა, ჩვენ არაფერი მოგვიგონებია, ყველაფერი ნამდვილად მოხდა ბათუმშიო.

გახსოვთ ალბათ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ბათუმის კათოლიკური ეკლესიის კედლები მართლაც გამოტეხეს და შიგ ძალადი ძაბვის ელექტროგენერატორები დაამონტაჟეს. ამის თაობაზე ქალაქის ინტელიგენ-

ნციამ ხმა აიმაღლა, „საბჭოთა აჭარაშიც“ გამოვედით კოლექტიური წესით (მისი ორგანიზატორი გაზეთის მაშინდელი კულტურის განყოფილების გამგე ავთანდილ დიასამიძე იყო). შემდეგ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ჩვენს წერილს ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამაც დაუჭირა მხარი, მაგრამ ჩვენი პროტესტი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა (აქვე მინდა კმაყოფილებით დავუმატო, რომ წელს მოხერხდა „უპატრონო ეკლესიაში“ შეხიზნულთა გამოსახლება და სულ მალე აქ შესანიშნავი კულტურული ცენტრი იქნება, ახშიანდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სპეციალურად ბათუმისათვის დამზადებული ორღანი).

თავი თუ არ შეგაწყინეთ, მინდა „მორების ძეხვის“ ეპიზოდი გავიხსენო, გორკის ქუჩის ბოლოში მდებარე სამშენებლო საწყობში რომ იღებდნენ. უზარმაზარ ამწეზე ასულ თენგიზ აბულაძესა და სოსო შენგელიას ვინ იცის, მერამდენედ გადაჰქონდათ ფირზე ეს შესანიშნავი ეპიზოდი. ქეთილო აბულაძე და ნატა ოჩიკავა ძალზე ზუსტად ასრულებდნენ რეჟისორის მითითებას, მაგრამ ბატონი თენგიზი მაინც გაიძახოდა: „კიდევ ერთხელ!“ „კიდევ ერთხელო!“.

ყველაზე დიდხანს გადამღებმა ჯგუფმა კიროვის ქუჩის დასაწყისში, კვლევითი ინსტიტუტის ქათქათა შენობაში დაიდვა ბინა (ხომ გახსოვთ, ფილმში იგი ვარლამ არაგიძის სახლად იქცა). მხარდამჭერი და ხელისშემწყობი თენგიზ აბულაძეს არასოდეს აკლდა, მაგრამ იმ ეპიზოდის გადაღებისას ბათუმელებმა მაინც განსაკუთრებული ერთსულოვნება გამოიჩინეს. მასხოვს, საქალაქო საბჭოს აღმასკომში თათბირის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველანი წამოვედით მასიურ სცენაში მონაწილეობის მიხედვად. სხვებთან ერთად მეც გადამიდეს, ალბათ ჩემი ბედი რომ გაერია, ის ეპიზოდი მთლიანად ამოჭრეს. სიტყვამ მოიტანა და იმასაც დაუმატებ, საერთოდ ფილმის ბევრი ეპიზოდი რეჟისორისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელახლა დარჩა გადასაღები. მაინც არ შეცვლილა სურათის ხელწერა, მგონი პირიქით, უფრო სრულყოფილი გახდა. თენგიზ აბულაძემ თავისი ჩანაფიქრი ზუსტად განახორციელა.

ჩემი ეპიზოდი კი მაინც ამოჭრეს, ისევე, როგორც გივი ჩხარტიშვილის ნათამაშევი ეპიზოდები. რას იხამ — ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს!... ეს მსხვერპლი რომ არა, რა სატრაბახო მექნებოდა დღეს „მონაწილეობაში“ მოხვედრილ კაცს. ისიც ვიცი, ერთმა მსახიობმა (საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გახლდათ) რეჟისორს წერილი გაუგზავნა, ვატყობ, ფილმში ჩემი როლი არ აღმოჩნდება, მაგრამ მაინც ისე მინდა „მონაწილეობაში“ თამაში, რომ მზად ვარ მასიურ სცენაში სტატიტუად დავდგე...

და, აი, ბოლო ეპიზოდის გადაღების დროც დადგა. ქალაქის საავადმყოფოს ეზოში ბაბუასა და შვილიშვილის შეხვედრის სცენა აღბეჭდა

ფირზე მთავარმა ოპერატორმა მიხეილ აგრანოვიჩმა, ეს დღეით იყო
ნაშუადღევს კი თენგიზ აბულაძე, ნანა ჯანელიძე, ზეინაბ ბოცვაძე და მი-
ხეილ აგრანოვიჩი აეროპორტში გავაცილეთ.

რასაკვირველია ყველას გამარჯვება უსურვეთ და ეს ჰარტო კეთილი
სურვილები არ იყო, ჩვენ მტკიცედ გეწამდა, რომ „მონანიება“ საქვეყ-
ნოდ იტყოდა თავის დიდ სათქმელს. სხვანაირად არ შეიძლებოდა, რადგან
იგი „ვედრებისა“ და „ნატურის ზის“ ავტორის ქმნილება იყო.

თვითმფრინავმა თბილისისაკენ აიღო გეზი. 1984 წლის ზაფხული
იდგა. გარდაქმნამდე და საჯაროობამდე ჯერ კიდევ გზა იყო გასავლელი...

ფილმი კი, ამ თვითმფრინავის მსგავსად, სიმაღლეების დასაპყრობად
მიისწრაფოდა... და აი, სამი წლის შემდეგ თბილისის აეროპორტში ჩა-
მოფრინდა კანის ფესტივალის ორი უაღრესად პრესტიჟული პრემიით და-
ჯილდოებული „მონანიების“ დამდგმელი რეჟისორი და სცენარის თანა-
ავტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის
ლაურეატი თენგიზ აბულაძე.

თითქოს თითოეული ჩვენთაგანის პრემიები ყოფილიყოს, ისე ველო-
დებოდით ამ ტრიუმფს ბატონი იენგიზის დიდი ნიჭის თავყანისმცემლები,
რომელთა შორის, ცხადია, ბათუმელებიც მრავლად ვიყავით... არ დაგიმა-
ლავთ, როდესაც ჩემს მეგობარს თამაზ ლასუფიძეს ფესტივალის შედეგები
ვახარე, აღელვებული დიდხანს მართმევდა ხელს, თითქოს ვარლამისა და
აბელის როლების შემსრულებელი მე ვყოფილიყავი და არა ავთანდილ მა-
ზარაძე.

გთხოვთ ამ სიხარულს პროვინციულ თავმოწონებად ნუ ჩაგვითვლით.
თქვენ როგორ ფიქრობთ, ბათუმელებს ხომ გვაქვს საამაყო? — „მონანიე-
ბა“ ჩვენს ქალაქში გადაიდეს!



მალხაზ სიორიძე

«დიდ წარსულს დიდი მომავალი ექნება»

თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეუხს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსკვლეობა, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იქექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს.

ილია ჭავჭავაძე

აჭარა ძველთაგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მისი წარსული ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. მართალია, XVI საუკუნეში თურქეთმა მიიტაცა აჭარა და სამხრეთ საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არ შეურიგდა ოსმალთა ბატონობას და გამუდმებით იბრძოდა მის დასამხობად. ბუნებრივია, ქართველი ხალხიც დახმარების ხელს უწყვდიდა „ოსმალთა საქართველოში“ მცხოვრებ ძმებს, მაგრამ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცებულ და დაუსუსტებულ საქართველოს სათანადო ძალა არ გააჩნდა.

ცნობილია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატით (1783 წ.) რუსეთმა ივალდებულა საგარეო მტრების (სპარსეთი, ოსმალეთი) მიერ მინატაციები საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის განთავისუფლება. ნაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან თურქეთის განდევნით დიდად იყო დაინტერესებული მეფის რუსეთიც. მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბათუმის, როგორც უპირატესი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური საზღვაო პუნქტის, დაუფლებას. ამიტომაც რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე ბათუმის ოსმალთაგან გამოხსნა მეფის მთავრობის გადაუდებელი ამოცანა გახდა. 1806-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის სარდლობამ პირველად სცადა ბათუმის განთავისუფლება, მაგრამ წარუმატებლად. ამ მიმართებით ასევე უშედეგო გამოდგა 1828-1829 წწ. და 1853-1856 წწ. ომებიც.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის შორის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა. კონფლიქტი დასრულდა 1877-1878 წლების ომით, რომლითაც ქართველ ხალხს კვლავ მიეცა საშუალება ებრძოლა თურქეთის მიერ მინატაციები ტერიტორიების დაბრუნებისა და თანამომხეთა განთავისუფლებისათვის.

სტატიიში „ოსმალთა საქართველო“, რომელიც 1877 წლის 28 აპრილს დაიბეჭდა ყოველკვირეულ „ივერიაში“ ილია წერდა: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა თვისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურგებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა...“

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალის საქართველო-ში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიშმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის აღამიანის სინიდის და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს... და თუ ამისთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრეკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელი-წალი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...“

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. სან-სტეფანოში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა კავკასიაში მიიღო ბათუმის, არტანუჯის და ყარსის ოლქები, მაგრამ რუსეთის წარმატებით შემოფოთებული ევროპის სახელმწიფოების უშუალო ჩარევით სან-სტეფანოს ხელშეკრულება დროებითი აღმოჩნდა. დადგინდა, რომ იგი ძალაში შევიდოდა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე გადასინჯვის შემდეგ. კონგრესმა მუშაობა დაიწყო ბერლინში 1878 წლის 13 ივნისს. იგი თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ბერლინის კონგრესზე იზოლირებული აღმოჩნდა, მან მაინც შეძლო ბათუმის საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა, მაგრამ იგი აიძულეს ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“ ე. ი. თავისუფალ სავაჭრო ქალაქად გამოეცხადებინათ. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ჯარი ბათუმში შევიდა.

შემოერთების დღიდან ქართველი ხალხის წინაშე ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი — ებრძოლა აჭარის ახლად აღორძინებისათვის. ამ მამულიშვილური საქმის განხორციელებას სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე ილია ჭავჭავაძე.

საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნებას დიდი ინტერესით შეეგება მთელი ქართველი საზოგადოება და ქართული პრესა. ი. ჭავჭავაძე აფასებდა რა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობას საქართველოსათვის, ჟურნალ „ივერიაში“ (№ 1, 1879 წ.) წერდა ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენი გამორების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძეგლი საქართველო — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევიან ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდევ სამუდამოდ“. იქვე ილია სვამს კითხვას: „რა გავგებხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის?“ და თვითონვე პასუხობს: „ამისათვის ერთი უმბარი სახსარია სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი, წამწყმედელი ყოვლის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოვლის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა“.

„დიდი ხნის განშორებული ძმების“ სულიერი შეკავშირებისათვის განათლების გავრცელების დიდ როლზე როდესაც მიუთითებდა, ილია ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ ახლადდაბრუნებული „ოსმალის საქართველოს“ მკვიდრნი სარწმუნოებით მაჰმადიანები იყვნენ და ერთგვარ გაფრთხილებას აძლევდა საზოგადოებას და თვით მეფის მთავრობას პედაგოგიური კადრების შერჩევის საქმეში, მიანიშნებდა, რომ იგი მოვალეა „ახლად შემოერთებულს ქვეყანაში“ თავისი ხარკით გახსნან სკოლები და იქ ღირებულოვნად მიწვეულ იქნენ ქართული ენის კარგად მცოდნენი.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა აჭარა მნიშვნელოვნად დაზარალა. „ყოველი მხრიდან ისმის, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — რომ ჩვენი მოძმენი — აჭარელები და ქობულეთელები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ აქამომდე არსა-იდამ მოელოან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზე მომეტებულად დაისაჯა“.

ომმა განსაკუთრებით დააზარალა ქობულეთის მხარე. ეს გასაგებიცაა, იმის გამო, რომ მიმდინარეობდა საომარი ოპერაციები, რამაც მუხანსტატი, ზუტუხანი, ლილეჯი და სხვები სხვა სოფელი საფეხებით გააჩნაგა. კინტრიშის უბნის 20 სოფლიდან 9 სულ გაქრა. ამის თაობაზე „ივერია“-ში (№ 2, 1879 წ.) ილია წერდა: „ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში“, ეს იმიტაც კარგად მტკიცდებოდა, განაგრძობს ილია, „რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ეძნელება და ემძიმება ხოლმე. სჩანს მართლა დიდი უბედურება უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებულ იქნა ეგ უბედურება ყველასათვის ეუწყებინა“.

აჭარის მოსახლეობა ისეთ რთულ პირობებში აღმოჩნდა, რომ მეფის მოხელეებიც კი იძულებულნი შეიქნენ სათანადო ზომები მიეღოთ. კავკასიის მეფისნაცვალმა შუამდგომლობით მიმართა სამხედრო მინისტრს, რათა მოსახლეობისათვის სესხის სახით მიეცათ 20 ათასი მანეთი. მოთხოვნა სპეციალურად განიხილა სახელმწიფო საბჭომ და დაამტკიცა კიდევ. მაგრამ ეს იყო მცირეოდენი დახმარება, რომელიც ზალხის მდგომარეობას ბევრად ვერ აუმჯობესებდა. ამის გამო ილია ჭავჭავაძე წერდა: „მთავრობა მიშველებია კიდევ გაჭირვებულ ზალხს, მაგრამაი იგი შველა საკმარისი არ არისო“. იქვე ილიამ მოუწოდა ქართველობას გულზე ხელი არ დაეკრიფათ და ძმებს გასაჭირში მიშველებოდნენ. არ არის საკმარისი, წერდა ილია, ცარიელის გულისტკივილით ცქერა, თუ „როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუ გამშრალს დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედდნატქმული, რომ რაიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმოზრდას ოჯახსა“.

აბა ეხლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის, ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობაჲ ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდის შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწვივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საქმლით, საცმლით, ხორავით!...

აბა ქართველობაჲ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ჭკეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შვიი დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა თუ სავსე საქმე! ეხლა გამოჩნდება შენ მართო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც მსწუხ და პფიქრობ!“ („ივერია“, № 2, 1879 წ., გვ. 123-125).

ქართველმა ზალხმა ერთგულება „ახლად შემოერთებულ ძმებს“ საქმით დაუმტკიცა. ილიას ამ მოწოდებიდან რამდენიმე დღეში შეაგროვეს 3 ათასი მანეთი და ს. მესხის ხელით გაუგზავნეს აჭარის მოსახლეობას. აქედან მოკიდებული, ს. მესხმა პრაქტიკულად უხელმძღვანელა ამ საქმეს. მან აჭარაში მრავალჯერ ჩამოიტანა შეგროვილი ფული, სურსათი და ტანსაცმელი.

თვითმპყრობელობის გამთიშველური პოლიტიკით შექმნილ მდგომარეობას მარჯვედ იყენებდნენ თურქეთის აგენტები, რომლებიც მრავლად მოედნენ ადელევებულ, ზალხს. ისინი უშიშროების მიზნით ზალხს მოუწოდებდნენ წასულიყვნენ ოსმალეთში, სადაც კარგ ცხოვრებას პირდებოდნენ. აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი ემსხვერპლა ამ პროვოკაციას და გასახლება დაიწყო, რაც ისტორიაში მუჰაჯირობის სახელით შევიდა („მუჰაჯირი“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და სამშობლოდან ნება-სურვილით წასვლას, გადასახლებას ნიშნავს).

მუჰაჯირობის მიზეზს მართო რელიგიური ფანატიზმით ვერ აფხსნიოთ. ის განაპირობა იმ მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და რთულმა შინაპოლიტიკურმა ვითარებამ, რაც

ამ მხარეში შეიქმნა თურქთა ბატონობის უკანასკნელ და ცარიზმის მმართველობის დამყარების პირველ წლებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-ფეოდალური სისტემის კრიზისის გაღრმავებასთან დაკავშირებით, გაძლიერდა ოსმალთა მიერ დაპყრობილი ხალხების ექსპლოატაცია. 1876 წელს მოსახლეობას ძალად წაართვეს ორი წლის გადასახადი ერთად. ომის დროს კი ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. განსაკუთრებით იქ, სადაც საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა, მთელი რიგი სოფლები აღიგავნენ პირისგან მიწისა. ამას დაერთო ისიც, რომ რუსეთის მმართველობის დამყარების პირველი ორი წელი მეტად მოუსავლიანი იყო. რიგ ადგილებში გავრცელდა ეპიდემია, გაიზარდა სიკვდილიანობა.

ხალხის მდგომარეობას ართულებდა ბათუმზე პორტო-ფრანკოს რეჟიმიც. აჭარის მშრომელი მოსახლეობა ბათუმისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა, რადგან ბათუმიდან გატანილ ყოველგვარ საქონელზე პოლიციური ჩხრეკა დააწესეს. ყველა გზაჯვარედინზე საბაჟოები ჩამოაყალიბეს და გამვლელ-გამომვლელს პირადი საჭიროების უმნიშვნელო ნივთების გატანაც კი აუკრძალეს. საბაჟოების დაწესებობით მოსახლეობას ესპობოდა საშუალება ბაზარზე გაეყიდა თავისი შრომის პროდუქტი და იქ მათთვის აუცილებელი ნივთები შეეძინათ. ბათუმის ოლქის მოსახლეობა სწრაფად დაადგა ეკონომიკური დაქვეითების გზას.

პორტო-ფრანკო ფრიად საზარალო იყო აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვისაც. კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმარაგებლის თავად დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ბათუმის პორტო-ფრანკო წარმოადგენს ქალაქის შემდგომი ზრდის, მასში საქარხნო მრეწველობის განვითარების მთავარ მუხრატს“.

1886 წლის 23 ივლისს იმპერატორ ალექსანდრე III ბრძანებულებით ბათუმის პორტო-ფრანკომ არსებობა შეწყვიტა. ამ მოვლენას დიდი სიხარულით შეეგება ქართველი საზოგადოებრიობა. ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმება“ (იხ. „ივერია“, № 140, 1886) აფასებდა რა პორტო-ფრანკოს რეაქციულ არსს სახელმწიფოსა და ბათუმის ოლქის მცხოვრებთათვის, წერდა: „თუ საწეში შივილებთ იმ გაჭირვებასა და შეწუხებას, რაც მის გამო ხალხს ედგა, ვგოხებ, საბუთი გვქონდეს სიხარულით მიეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახარავი ქვეყნისათვის. თვითონ ბათუმმა იქნება მაგით ცოტად თუ ბევრად იხეირა, მაგრამ ეგ ხეირი საზოგადოების კისრიდამ იყო ამოღებული“.

გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, ვითარებას ართულებდა მიწათმფლობელობის საკითხის მოუწესრიგებლობაც. სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დ. ბაქრაძე ხელმძღვანელობდა, ბევრი ყალბი საბუთი აღმოაჩინა. ასეთ საბუთებს თურქები განსაკუთრებით უხვად არიგებდნენ ბერლინის კონგრესის შემდეგ. ხალხს კი ამ საბუთის გარეშე უფლება არ ჰქონდა მიწა გაეყიდა, ან იჯარით გაეცა. ამის თაობაზე დ. კლდიაშვილი წერს: „ბევრი ყალბი ნაყიდობა კეთდებოდა მუხაჯირების სახელით, ბევრ უპატრონო ადგილს ახალი და უცხო პატრონი უჩნდებოდა. ბევრს აცდენდნენ ფულის შეტყუებით და ეშმაკურად ხელიდან აცლიდნენ სამოსახლოს. საოცარი თარეში იყო მიწების შესაძენად“ (დ. კლდიაშვილი, მოთხრობები, პიესები, თბ., 1947, გვ. 693).

მასიური უკმაყოფილება გამოიწვია კამერალურმა აღწერამ, რომელიც თურქეთის აგენტების შთავაზნებით ხალხმა მიიღო, როგორც ახალი გადასახადების გაწერისა და ჯარში გაწვევის ღონისძიება.

მუხაჯირებზე დიდი გავლენა ჰქონდათ ადგილობრივ გაბატონებულ კლასებს. მათი უმეტესობა ხალხს გადასახლებისაკენ მოუწოდებდა. ბევრის ასეთ მოქმედებას ეკონომი-

კური საფუძველი ჰქონდა. ძველად ისინი სულთნის სამსახურში იყვნენ და სათანადო
ჯამაგირასც ღებულობდნენ. რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ კი ბეგები ჩამოაცილეს
საქმეს და მათი ადგილი რუსმა ჩინოვნიკებმა დაიკავეს. ამით ისინი ამ დამატებითი მე-
მოსავლის გარეშე დარჩნენ, რამაც მათი უკმაყოფილება გამოიწვია.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ზედ დაერთო ბათუმის ოლქში სამუშაოდ ჩამოსული
მეფის მოხელეების მექრთამეობა და ათასგვარი უკანონობა, რამაც ძალზე გააძწავა
მდგომარეობა. ი. ჭავჭავაძესაც მუჰაჯირობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნდა ის, რომ
„ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო
მსუხავი, უფრო ხარბი და გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... საცა გამოგდებული სამსა-
ხურიდან კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ ხელაღებული იყო, იმ
ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით
ღაანახებენ ისინი რუსის მთავრობას, რუსის მმართველობასა? არავის ეგვი არა აქვს, რომ
თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დავდოთ,
ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს“ („ივერია“, № 2, 1879, გვ. 127).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ ილია ჭავ-
ჭავაძის ხელმძღვანელობით მთავარ ამოცანად დაისახა ქრისტიან და მაჰმადიან ქართვე-
ლებს შორის სულიერი კავშირის განმტკიცება. ორი ძმის შემდგომი მიზნების საშუალებად
კი ილიას მიაჩნდა სკოლა, მშობლიურ ენაზე სწავლება. ამ მიზნით 1879 წლის აპრილის
„შინაურ მიმოხილვაში“ ის შემდეგი სიტყვებით მიმართავდა საზოგადოების მოწინავე
წარწეს: „აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელია შემოგვიერთდნენ, მაგრამ
იმათ ნამდვილ შემოერთებაზედ კი ჯერ არა გვიზრუნია რა... რაღაც საცოდავი ორასი
თუმანი თუ შეეკრიბეთ, თორემ სხვაფერად ჯერ ზრუნვა არა გამოგვიჩენია რა.

ესლა უნდა გავუმართოთ ხელი ამ ახლად დაარსებულ საზოგადოებას („წერა-კითხ-
ვის გამავრცელებელი საზოგადოება“ — მ. ს.) და ვალათ დავსდეთ, რომ აჭარაში და
ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყო-
ველს საშუალებაზედ მეტათ სულითა და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთ-
ის ერსა და ისევ ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ
ოსმალის ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა“ („ივერია“, № 4, 1879 წ., გვ. 155).
ასეთი იყო ის ყურადღება, რასაც ი. ჭავჭავაძე უთმობდა აჭარაში ქართული სკოლის
გახსნას, მის ეროვნულ მნიშვნელობას.

ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნის სამზადისს ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა 1880 წლიდან, 1881 წლის 23 მარტს
ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა (დღეს მის
ადგილას ბათუმის შ. რუსთაველის სახ. № 2 ქართული საშუალო სკოლა). ამ ღირსსა-
სოვარი მოვლენის შესახებ აღფრთოვანებით იუწყებოდა იმდროინდელი ქართული პრესა.

ილია ჭავჭავაძე სისტემატურად ისმენდა ბათუმის ქართული სკოლის მუშაობის ან-
გარიშს, ხოლო საქირო შემთხვევაში ჩამოდიოდა ბათუმში და პირადად ამოწმებდა სკო-
ლის საქმიანობას. ბათუმის ქართულ სკოლაში მუშაობას ილია უდიდეს პასუხსაგებ ამო-
ცანად თვლიდა. ის ცდილობდა სკოლაში გამოეგზავნა უნარიანი, გამოცდილი და მცო-
დნე მასწავლებლები, რომლებიც მთელი თავიანთი შეგნებით იზრდებოდნენ ახლად შე-
მოერთებული ძმების სწავლა-აღზრდისათვის. 1891 წელს ბათუმის ქართული სკოლის
ახლადღანიშნულ გამგეს მიხეილ შარაშიძეს ილია ჭავჭავაძე არიგებდა: „ჩემი პირადი
სურვილი და განკარგულება იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ ადგილზე გამეგზავნე. იმე-
დია გაამართლებ ჩემს ნდობას... გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსლიმანები, ჩვენი ძმები,
მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია... იხმარე ყოველი ლო-
ნე, რომ მათი სიყვარული დაიმსახურო“ (იხ. გვ. „საბჭოთა აჭარა“, № 182, 1957 წ.).


1883 წელს ბათუმში რკინიგზით თბილისს შეუერთდა, რამაც ხელი შეუწყო მოწინავე ქართველი ინტელიგენციის აჭარაში გადმოსახლებას. იმავე 80-იანი წლებიდან ბათუმში სწრაფად დაიწყო სამრეწველო განვითარების გზას. მეფის ხელისუფლებამ ჩაუდგინა გახლა, მცხოვრებთა რიცხვის ზრდის გამო, ქალაქში დაეწესებინა თვითმმართველობა, მაგრამ ეს ორგანო თავიდანვე ხელში ჩაუვარდათ მეფის მოხელეებს და სხვადასხვა ჯუ-რის კოლონიზატორებს, რომლებიც სასტიკად ავიწროებდნენ ადგილობრივ მოსახლე-ობას. შექმნილმა მდგომარეობამ განსაკუთრებით დააფიქრა ილია ჭავჭავაძე და გადაწყვიტა ბათუმში შეექმნა მოწინავე ინტელიგენციის ერთგვარი ბირთვი, რომელიც დაუ-ღალავად იბრძოლებდა ამ კუთხის კეთილდღეობისათვის. ილია ჭავჭავაძის მითითებით ბათუმში სამუშაოდ გამოეშურნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები — გრ. ვოლსკი, ლ. ასათიანი, ი. მესხი და სხვ.

ამასთან ერთად ი. ჭავჭავაძემ მოამზადა ბათუმის თვითმმართველობის არჩევნებში პროგრესული მოღვაწეების გამარჯვება. ის იბრძოდა იმისათვის, რომ თვითმმართვე-ლობას ჩამოშორებოდნენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედი პირები. დ. კლდიაშვილის ცნობით, 1895 წელს არჩევნების ჩასატარებლად ილია სპეციალურად ჩასულა ბათუმში. „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზე მოთავსე-ბული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის ჩამოყ-ვანილი ტფილისიდან ილია ჭავჭავაძე“ (დ. კლდიაშვილი, მოთხრობები, პიესები, გვ. 696). პროგრესულმა ქართველებმა ილიას თაოსნობით მართლაც გაიმარჯვეს არჩევნებში და ქალაქის თავად არჩეული იქნა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლ. ასათიანი.

სოფრომ მაგლობლიშვილი იგონებს: „ილიას ერთი ნაკლი ჰქონდა: შინ მჯდომი იყო, გასვლა და მოვლა საქართველოს კუთხეებისა არ უყვარდა“ (ს. მაგლობლიშვილი, მო-გონებანი, თბ., 1938, გვ. 168). აჭარა ამ მხრივ გამოწაკლისს წარმოადგენდა. ილია ჭავ-ჭავაძე ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენ-ლებთან ერთად გვეგვანდა ეროვნული და კულტურული განვითარების პერსპექტივებს. ბინად ილია ჩერდებოდა გრ. ვოლსკისთან (უმწიფარიძე). 1881 წლის მარტში პირველად სწორედ აქ შეხვდა და გაიცნო ილიამ პატრიოტი ქართველი მაჰმადიანი გულო კაიკაცი-შვილი. მათ შორის გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელიც ეხებოდა აჭარის წარსულს და მის მომავალს.

ყოველი სტუმრობისას ილია მიდიოდა ბათუმის საკრებულოში, სადაც კვირაობით თავს იყრიდნენ აჭარაში მომუშავე ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები. ილია ბათუმელ თავკაცებს შეკრებაზე ყოველთვის აძლევდა სათანადო მითითებას და მოქმე-დების მტკიცე და ნათელ გეგმას უსახავდა. ილიას ნათქვამს კი ქართველებისათვის კა-ნონის ძალა ჰქონდა.

„დიდ წარსულს დიდი მომავალი ექნებაო“, — ბრძანებდა ერის მედროშე. მას ღრმად სწამდა აჭარის მომავალი და მისი რწმენა კიდევაც გაპართლდა.



ილია ჭავჭავაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხისთან, მათ შორის გურიასთან. აქ მას ბევრი ნაცნობი ჰყავდა.

ოფიციალური ცნობებით და გადმოცემებით ირკვევა მწიგნობარისა და მოღვაწის ატაბო ბებურიშვილის მეგობრული ურთიერთობა ერის დიდ მოამაგესთან.

ატაბო ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიური სოფლის ლიხაურის მკვიდრი და მისი თანამედროვე იყო. მის სახელთან დაკავშირებულია ბევრი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმე. იგი იყო თეატრალური მოღვაწე და სახალხო პოეტი. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ გატაცებით ეწაფება მხატვრულ ლიტერატურას და თვითგანათლებით იმაღლებს ცოდნის პორიზონტს. ეუფლება მუსიკალურ ხელოვნებას, წერს ლექსებს, მონაწილეობს სცენისმოყვარულთა თვითმოქმედ წრეებში. მისი ექსპრომტად წარმოთქმული თუ ფანდურზე ამეტყველებული ლექსები აღტაცებას იწვევდა მსმენელში.

იმ დროს ქალის სცენაზე გამოსვლა საზოგადოებაში არც თუ ისე მიღებული ვახლდა და ატაბო ბებურიშვილის გაბედული ნაბიჯი ამ მხრივ დიდი მოვლენა იყო, რასაც მხურვალედ გამოეხმაურა მაშინდელი პრესა, მათ შორის ილიას „ივერიაც“.

ატაბოს ხშირად იწვევდნენ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრებზე და იქ წარმოთქმული ლექსებით თუ ხალხურ საკრავებზე დამღერებით დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა.

გაზეთი „დროება“ 1874 წლის მე-20 ნომერში გვაუწყებს, რომ იმავე წლის 18 აპრილს ქუთაისში შეხვედრა მოუწყვეს ილია ჭავჭავაძეს. თეატრი ხალხით ყოფილა გაჰყვდილი, ილიას გამოჩენას მხურვალე ოვაციით და ტაშისცემით შეხვედრიან, რაც დიდხანს არ დამცხრალა. მღუშარედ იჯდა ერისკაცი სავარძელში და მღელვარებას ვერ ფარავდა, როცა სცენაზე ეროვნულ ტანსაცმელში მორთული ქართველი მანდილოსანი ატაბო ბებურიშვილი გამოსულა და, მგზნებარედ წარმოთუქვამს ილიას შესამკობი ლექსები, თან შესაშური დიაპაზონით შეუსრულებია სცენები ხალხის ცხოვრებიდან, დიდი პოეტი ძლიერ მოხიბლულა, ჩვეული სიღარბისლით წამომდგარა და შუბლზე ამბორით გამოუხატავს მისდამი პატივისცემა.

აუცილებლად დაფანების ღირსია ატაბო ბებურიშვილის დამსახურება გურიაში თეატრალური დასის ჩამოყალიბებასა და საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობაში. სწორედ დასში ეზიარენ თეატრალურ ხელოვნებას: მარო ნაკაშიძე, ვასილ თევდგირიძე, აველინა წუწუნავა, ოლდა ხურციძე, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ ბებურიშვილი, ალექსი წუწუნავა, ვასო ურუშაძე, ლილია მეგრელიძე, სამსონ ხურციძე, ვასო აბაშიძე, აქვსიანი მეგრელიძე, ვიქტორ ნინიძე, ცეცელია წუწუნავა, გერმანე გოგიტიძე და სხვები, ამ თეატრალური დასის ნაყოფიერ მოღვაწეობას დიდ შეფასებას აძლევდა მაშინდელი პრესა.


1888 წლის 5 დეკემბერს დასმა წარმოადგინა ა. ცაგარელის კომედია „ხანუმა“. ხანუმას როლს ატაბო ბებურიშვილი ასრულებდა. ამის შესახებ ილია თავის „ივერიაში“ წერდა: „აქ წარმოდგენების გამართვა იშვიათი ამბავია, ახლა კი შემდგარა პატარა ჯგუფი სცენის მოყვარულთა, რომელთაც მიზნად აქვს მართოს წარმოდგენები საქველმოქმედო აზრით“.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ხშირად საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელებას მრავალ სამომავლო საქმეს უკავშირებდნენ, რის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, აკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა მამულიშვილები.

1881 წელს დიდი ილიას თაოსნობით ბათუმში დაარსდა პირველი ქართული სკოლა, რომელსაც ატატომ გაიგო, ილია ჭავჭავაძე დაესწრებოდა სკოლის გახსნას, უმცლესი წიგნები გაემგზავრა. ილიამ აჭარის მცხოვრებლებს მხურვალედ მიულოცა პირველი ქართული სკოლის გახსნა და ყოველგვარი დახმარებაც აღუთქვა. ამ საზეიმო ცერემონიის ღამეზე აკორდი იყო ატატო ბებურიშვილის გამოსვლა. მან მკაფიოდ წარმოადგინა დიდი ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, ის წვლილი, რომელიც ერის დიდ მოამაგეს მიუძღვის ოსმალთა სამასწლიანი ბატონობისაგან განთავისუფლებული აჭარის კულტურულ აღორძინებაში.

დიდი ილია ატატო ბებურიშვილს შემდეგშიც არაერთხელ შეხვედრია და მათი მეგობრობა წიწამურის ტრაგიკულ აღსასრულამდე გრძელდებოდა, რაც ღრმად განიცადა უკვე მოხუცმა ქართველმა მანდილოსანმა — ატატო ბებურიშვილმა. მან ვერ შეძლო დიდი პოეტის დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობის მიღება, მაგრამ თავისი ხმა შეუერთა ერის გლოვას.

ზოთა ზაქარიაძე



რამაზ სურგანიძე**ფერილები შავშეთიდან****გ ზ ე ბ ი**

ამ მხარის მცხოვრებთა მდგომარეობას ართულებდა უგზოობა. ხალხს იმთავითვე რატომღაც სჯეროდა, რომ გზა უბედურების მომტანი იქნებოდა. კარგ გზას ბევრი ჩინოვნიკი და ამკლები მოჰყვებოდა. ასეთი იყო მათი რწმენა და არც თუ უსაფუძვლო.

ძირითადი ტრანსპორტი ცხენი იყო, მაგრამ იმ გზებზე ცხენითაც ჰქირდა გავლა. ვაჭრები აჭარლების ცხენებს ჰქირაობდნენ. ბათუმიდან ახალციხემდე ერთი ფუთის გადატანაში აბაზიდან ექვს შაურამდე უზღიდნენ. არც თუ იშვიათი იყო შემთხვევა, ცუდ გზებზე ცხენის გადაჩეხვისა. იკარგებოდა ცხენიც და ტვირთიც. პატრონი ორი გროშის აღების ნაცვლად განადგურებული და დავალიანებული ბრუნდებოდა სახლში.

ღრმ თავისი მოითხოვა და დაიწყო ბათუმი-ახალციხის გზის მშენებლობა. გზების გაყვანის ერთ-ერთი ინიციატორი იყო აჭარის მაშინდელი მმართველი შერიფ ხიმშიაშვილი. აჭარის განთავისუფლებიდან 10 წლის შემდეგ ამ გზაზე პირველად გაუვლიათ ეტლებს, რასაც მოსახლეობის დიდი აღტაცება გამოუწვევია.

ამ მოვლენას აღფრთოვანებით ეხმაურება ი. ჭაიანიც. იგი წერდა: „აჭარლებს აუსრულდათ ამდენი ხნის გულის წადილი; ბათუმიდან ახალციხემდის ინჟინრებმა დაიწყეს ეტლებით სიარული. დღეს ამ გზებზე მოესმათ აჭარლებს ეტლზე გამობმული ჯარების ხმა და ამ ამბავმა ყველა ფეხზე დააყენა, ქალი და კაცი. ვინც კი ამ გზებზე სახლობენ, სულ ამაზე ლაპარაკობენ. დიდის ამბითა და აღტაცებით შესცქეროდნენ ქალები და ბაღნები ამ უნახავს სანახავს. მართლაც და სასიხარულო ამბავია, არავინ არ იყო ისეთს სატანჯველს მიცემული უგზოობის გამო, როგორც ეს ზემო აჭარა. აქამდის ერთის დღის სავლელი გზა ოთხი-ხუთი დღე უნდა ევლოთ და ერთი ათად მეტი ხარჯი უჯდებოდათ. უფრო მომეტებულს გაჭირვებაში იყვნენ ისინი, ვინც ბათუმიდან ახალციხემდის ეზიდებოდა ახალციხის ვაჭრების საქონელს“.

გზის გაკეთების შემდეგ ზოგ აჭარელს ფურგონებიც შეუძენია. ცხადია, მგზავრობის დროც შემცირებულია და საფასურსაც მეტს იღებდნენ — ფუთში ორი აბაზიდან 10 შაურამდე.

1893 წლის პირველ ნახევარში გზატკეცილი ართვინამდე გაუყვანიათ. ი. ჭაიანის ერთ წერილში დიდი ოპტიმიზმი გამოსჭვივის კარგი დარების გამო, რომელიც კარგ მოსავალსაც ჰპირდებოდა მოსახლეობას, აგრეთვე ბათუმ-ართვინის გზის გაყვანის გამო. იგი წერდა: „გზა ისე გაგვიწმინდეს და გაგვიფაქიზეს, რომ სულ ლაპლაპი გააქვს... ოთხ-

ცხენ შემზომი ეტლები ბრაგა-ბრუკით დარხინოზენ თავისუფლად. ამ გზის გაყვანას
ი. ჭაიანი მიაწერს ბევრი მაღალი თანამდებობის პირის სტუმრობას. აქ ჩამოსულან კერძო
პულის მეთაური თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი და ქუთაისის სამხედრო გუბერნა-
ტორი ა. ე. გროსმანი, ხოლო პეტერბურგიდან — გზების მინისტრისაგან დანიშნული
საგანგებო საქმეთა მინდობილობის მოხელე. მაგრამ სისარული ნადრევი გამოდგა. შემ-
დგომში, როგორც სჩანს, გზების მოვლა მიივიწყეს და გავლაც კი ქირდა, განსაკუთრე-
ბით ცუდი ამინდების დროს. ატალახტულ გზებზე სიარული უჭირდათ ადამიანებსაც და
ცხენებსაც. ფოსტის ეკიპაჟს ორჯერ უფრო მეტი დრო სჭირდებოდა ბათუმიდან ბორჩ-
ხაში ჩასვლამდე. თავის გულისტკივილს გზების ცუდ მდგომარეობაზე ი. ჭაიანი ასე
გამოხატავდა: „ამ ბოლო დროს მთლად ბოლო მოეღო ამის კეთილდღეობას. სხვა
დროს აქ ზამთრობით ჩამოწვავებულ ქვა-მიწას მაინც გაწმენდ-გაასუფთავებდნენ, დღეს
კი ამის თავ-შემატკივარი და ქურბის მგდებელი ჭერჭერობით არ გამოგვიჩნდა ვინმე
მადლიანი“. ამის მთავარ მიზეზად ი. ჭაიანს სამართლიანად მიაჩნია გზების იჭარადართა
თაღლითობა და მუშა ხალხის ყვლეფა. მათი უმეტესი ნაწილი ოსმალეთიდან იყვნენ.
ისინი ხალხს ამუშავებდნენ. ფულებს ჩაიჭიბავდნენ და ოსმალეთში გადაიყარებოდნენ.
„ქაქური ფუხარა კი ხანამშრალი უყურებდა იჭარადარს, როდის ამოვა და ფულებს
მოგვიტანსო... ამისთანა იჭარადრების წყალობით ბევრი ქალ-ბაღანა დარჩა ატირებული,
მაგრამ საჩივრის გამოძიების შემდეგ ის გამოდიოდა, რომ ინჟინერიც მართალი იყო და
იჭარადარიც, ასე, რომ ბოლოს მართო საწყალი ხალხი რჩებოდა დამნაშავე და დაზი-
ნებული“.

ი. ჭაიანს ასეთი ძალმომრეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიაჩნდა, გზის
მოიჭარადრებად ადგილობრივი ხალხი, უფრო სანდო და საიმედო, მისივე ხელმწიფის
ქვეშევრდომთა აყვანა, ამით გზაც გაკეთდებოდა და ხალხს არ დასჭირდებოდა მისი
გამძარცვავი იჭარადრის ძებნა ოსმალეთში.

მდგომარეობა რთულდებოდა დიდთოვლობის დროს. მოიჭარადრეთაგან დაშინებუ-
ლი გლეხობა არ გამოდიოდა გზის გასაწმენდად, ზოგან ნამქერით ჩახერგილ გზას ასაქ-
ცევიც არ ჰქონდა და ფეხით შემოვლაც შეუძლებელი იყო. ფაქტიურად მთელი ხეობა
მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. თვეობით ფოსტას ვერ ღებულობდნენ. კავშირის ერ-
თადერთ საშუალებად ნავი რჩებოდა, მაგრამ ჭოროხის ადიდების გამო, ხშირად ნაოსნო-
ბაც წყდებოდა. დიდთოვლობით გამოწვეულმა შიმშილმა შეაწუხა ჯარისკაცებიც, რის
გამო სარდლობა იძულებული გახდა მთელი ნაწილები მოეხსნა და ქალაქში გადმოეს-
როლა.

მალაკნების გადმოსახლება

მომიან წლებში მთავრობას განუზრახავს ჭოროხის ხეობაში მალაკნების გადმოსახ-
ლება, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოუწვევია. ი. ჭაიანს სწორად ესმის ახლად
განთავისუფლებული მოსახლეობის განწყობილება, იცის, რომ მათში არ არის ჩამქრალი
ეროვნული გრძნობები, მშობელი მიწის სიყვარული და საჭიროდ თვლის ყოველმხრივ
შეთუწყოს ხელი ამ პროცესებს. ამიტომ მას სხვა რწმენისა და ადამ-ჩვევების მქონე
ხალხის ჩამოსახლება, მკვიდრი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე, მიზანშეუწონლად
მიაჩნდა. ამის თაობაზე მას სპეციალურად უსაუბრია კიდევ მალაკნების წარმომადგენ-
ლებთან, საიდანაც ირკვევა, რომ ისინიც ძალზე გამომწვევად იქცეოდნენ, სურდათ
მუქთად ჩაეგდოთ ნაყოფიერი მამულები და მკვიდრი მოსახლეობა გაეძევებინათ.

შეწუხებულ მოსახლეობას ქუთაისის გუბერნატორისათვის თხოვნაც მიუერთმევია,
მაგრამ პასუხი ვერ მიუღიათ, რაზეც დიდ შიშს გამოთქვამდა ი. ჭაიანი; მისი აზრით, მო-

სალოდნელი იყო სისხლისმღვრელი შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასა და მალაქნებს შორის, ანდა მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრა და უცხო მხარეში გადასახლება, რაც მეტად არასასურველ შედეგებს გამოიწვევდა. „თუ მართლაც მალაქნებს აუხსრულდათ წადილი, — წერდა ი. ჯაიანი, — მაშინ მურღულის ხეობაში ერთ მუსულმანს ვერ იშოვით წამლად. ერთ მშვენიერ დამეს ყველა გადაიხარგება ოსმალეთში და იქიდან ისეთ დღეს დაყენებენ, რომ გასაქცევი გზაც ვერ იპოვოს. აბა ვინ მოუთმენს იმას, რომ მამულ-დედუფლიდან ხელი დააბანინოს ვინმემ და ოსმალეთში შემშილის კერძი გაჭახლოს ამდენ ფუხარების ქალბაღანა!“

როგორც ჩანს, გუბერნატორმა არ შეიწყნარა ხალხის თხოვნა და რამდენიმე დღის შემდეგ ოლქის უფროსი მ. ი. ერისთავი და ართვინის უზნის უფროსი ი. კ. აბაშიძე გაგზავნა მურღულის ხეობაში. გადაწყვეტილი იყო ორი სოფელი დაეცალათ მალაქნებისათვის, ხოლო მოსახლეობა სხვა სოფლებში გადაეყვანათ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ შეაჩერა ამ გადაწყვეტილების აღსრულება. სტუმრები სოფელ არხავეში შემდეგდასთან გაჩერებულან და მეორე დღეს აპირებდნენ იმ სოფელში ჩასვლას. მასპინძელს ღირსეულად მიუღია საპატიო სტუმრები. კარგი ვახშამიც გაუმართავს და მოუსვენებია. ღამე მისივე ერისთავს ქვემო სართულში ჩასვლა დაუპირებია, მაგრამ კიბის საფეხური ჩატყდომია და ექვსი არშინის სიმაღლიდან ჩამოვარდნილა. სტუმარს მრავალი დაუეჭილობა მიუღია და მისი ადგილიდან დაძვრაც არ შეიძლებოდა. როგორც ჩანს, ამის გამო მალაქნების გადმოსახლების საკითხი იმჟერად აღარ გადაწყვეტილა.

ი. ჯაიანის 1893 წლის 19 აგვისტოს წერილით კი ირკვევა, რომ ამავე საკითხთან დაკავშირებით მურღულის ხეობაში ჩასულა ბათუმის ტყეთა ზედამხედველი ა. აბაშიძე, რომელსაც ტყეები და მიწები უნდა გაენაწილებინა ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მალაქნებს შორის. სამწუხაროდ, მომდევნო წერილებში არა ჩანს, ბოლოს და ბოლოს, მალაქნები ჩამოსახლეს თუ არა.

ავაჯაკობა-მკვლელობანი

ერთ-ერთ დიდ სოციალურ უბედურებად ი. ჯაიანს მიაჩნია მკვლელობათა ძალზე გავრცელებული შემთხვევები. ადგილობრივ ადმინისტრაციას ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა და უყურადღებოდ ტოვებდა.

მკვლელობა ხშირად ხდებოდა გაძარცვის მიზნით, იგი ავაჯაკობისა და ყაჩაღობის მუდმივი თანამგზავრი იყო. ეს უბედურება ერთნაირად იყო გავრცელებული როგორც აჭარაში, შავშეთსა და მთელს ჭოროხის ხეობაში, ასევე ქვაბლიანის ხეობაშიც; ი. ჯაიანს აღწერილი აქვს, როგორ დაიკარგა ერთი ოქრომჭედელი იმის გამო, რომ მასთან ძვირფასი თვლები ეგულებოდათ. ამის შესახებ მისთვის უამბნია ოქრომჭედლის ამხანაგს: — „თუმცა ფულები არა ჰქონდა, მაგრამ ძვირფას ქვებს კი ატარებდა თანაო. როგორც აღმასი, აგრეთვე იაგუნდი და ფირუზი იქნებოდა ორას-სამასის მანეთისაო. ეტყობა იმ საცოდავს ამ ძვირფასმა ქვებმა მოუღო ბოლო, რადგან შეამჩნევდა ვინმე და მერე რაღას დაზოგავდა ავაჯაკი“.

ი. ჯაიანი ხშირად ეხება გაძარცვის სხვა შემაძრწუნებელ შემთხვევებს, მკვლელობის გამომწვევ საბაბსა და მიზეზს. ძირითადი მაინც აქაური ადამ-წესების და სინდის-ნამუ. სის დაცვა იყო. ავტორს ერთი ასეთი შემთხვევაც აქვს აღწერილი: სოფელ ხეზის მცხოვრებ ქალის მანდლოს შეხვო კაცი, ქალის ნათესავმა კი იქვე ხანჭლით სასიკვდილოდ დასჭრა სინდისის შემბლადავი.

ი. ჯაიანს აღწერილი აქვს აგრეთვე, თუ როგორ მოჰკლეს არტანუჯელმა ცოლ-ქმარმა მათთან მისული სტუმარი იმის გამო, რომ მასთან ბევრი ფული ეგულებოდათ. ი. ჯაიანი

ტრადიციულად განთქმულ სტუმართმოყვარე მასპინძელთა ასეთ საშინელ ქცევას მათი უკიდურესი სიღარიბით ხსნის: „მეტად ღარიბნი ყოფილან. გაუბედნიათ ასეთი საშინელი საქმე და მით დაუგმიათ აქაური ადამიანები და მტკიცე ჩვეულება სტუმართმოყვარეობისა... როგორც ჩანს, დამნაშავენი სწორედ ამ ჩვეულებამ და სინდისმა შეაწუხა და საქმე თვით-მკვლელობით დამთავრებულა. ტუსაღები არტანუჯიდან ბათუმში ბადრაგით წამოუყვანიათ. ბორჩხას ქვემოთ, სოფელ კელასურთან, თოკით შებოჭილ ცოლს ბორკილდადებული ქმრისათვის ხელი უკრავს. ქოროხში გადაუჩენია, თვითონაც გადაყოლია და ორივენი დაღუპულან.

ი. ჭაიანი აღწერს სოფელ დამპალას მუხთარის (მამასახლისის), 75 წლის გენჯალა ბოლქვაძის მკვლელობას, რასაც იმით ხსნის, რომ მოკლულს ოსმალთა ხელისუფლების დროს, ახალგაზრდობაში, ბევრი ავკაცობა ჰქონდა ჩადენილი, მისი მტრები ოსმალეთში გადასახლებულან, მაგრამ 15-20 წლის შემდეგ იქიდანაც მოწვედნენ და სისხლი აიღესო.

მკვლელები ხშირად ქოროხის ხეობაში სამუშაოდ ჩამოსვლები იყვნენ. ისინი ყოველგვარ ავკაცობას ჩადიოდნენ და შემდეგ თავიანთ ქვეყანაში გარბოდნენ ისე, რომ შემდეგ ვეღარავინ მიაგნებდა მათ ცვაღს. ასეთი მოხეტიალეები ხშირად გარკვეულ გასამრჯელოს ფასადაც ხელყოფდნენ ადამიანის სიცოცხლეს.

არც თუ იშვიათად ადამიანის სიცოცხლე ადგილობრივ მოხედვითა უმსგავსო საქციელს ეწირებოდა. 1895 წლის 2 ნოემბერს ავჯაკებს მოუკლავთ ორმოცდაათი წლის ფილიპე ომანიძე (ყაჩინოელი), მისი მთელი ქონება გაუტაცნიათ და ოსმალეთში გადასულან.

მ უ ჯ ა ზ ი რ ე ბ ი

ი. ჭაიანს სწორად ესმის ახლადგანთავისუფლებული სოფლებიდან მოსახლეობის აყრა-გადასახლების მიზეზები. მცირე გაღვიანებაც კმაროდა, რომ თავგაბანულ ხალხს მიეტოვებინა სახლ-კარი ისე, რომ არც კი იკითხავდა, სად, ვისთან, რისი იმედით მიდიოდა. ერთი ასეთი დიდი ჭკუფი, 40 ოჯახამდე, ივანე ჭაიანსაც შეხვედრია კახაბერში: „...რადგან იმათში ზოგიერთი ნაცნობი გამოდგა ჩემი, დამიწყეს თვალცრემლიანებმა ლოცვა და გამოთხოვება. მართალი მოგახსენოთ, იმათმა ტირილმა მეც თვალში ცრემლი მომგვარა... მე ვკითხე რად მიხვალთ ოსმალეთში-მეთქი. იმათ მიპასუხეს: რა ვქნათ, ბატონო, იქიდან სხისიმები მოვიდნენ და გვიქვს იქ ყოფნაო, სოჯა-მოღებმაც გვირჩიეს და ჩვენც მივალთო“. ნათლად ჩანს, რომ ხალხი თითო-ორიოდა „ხისიმის“ ანკესზე ეგებოდა. ძირითადი მაინც სოჯა-მოღების აგოტაცია და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ხელისუფლების ცუდი დამოკიდებულება იყო.

ამ „ნაქებ-ნადიდებ“ ადგილებიდან მუშაპირები კვლავ უკან ბრუნდებოდნენ შიმშილით და სიღარიბით ილაჩგაწყვეტილნი: „...დღე არ იქნება, რომ იქიდან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მოადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად. იმათ ნახევარს, ვინც კი აქედან წასულა, არც სახლი მოეპოვება, და არც მიწა-წყალი, რომ იმუშაოს და ქალ-ბაღანა გამოუყვებოს... ბევრს უნდა თურმე, სამშობლოში, აჭარაში დაბრუნება, მაგრამ ვინ გამოუშვებს, ან არა და იმ სიშორიდან როგორ წამოიყვანოს შიშველი ქალ-ბაღანა“.

ოსმალეთიდან ჩამოსული ზოგი „მათხვარი“ მოდიოდა სპეციალური მისიით, აღთქმული ქვეყნის ქება-დიდებათის, რათა რაც შეიძლება მეტი ოჯახი აეყარათ და წაეყვანათ. ჯამე-მედრესეებშიც სოჯა-მოღები ძირითადად ოსმალეთიდან მოსულები იყვნენ და წარმოსადგენია, თავისი ქადაგებით როგორ უზნევდნენ ჯგუფ-კვალს მოსახლეობას. ი. ჭაიანი ამაზეც ამახვილებს ყურადღებას: „...თქვენ რაც გინდათ ეჩიჩინოთ, აბა რას

დაიჭერებს თქვენს ლაპარაკს, ხოჯის ჩაგონების შემდეგ ესეც კი უნდა იყოს მხოლოდ
ზოგი ოსმალეთიდან მათხოვრად წამოსული მართლა გაქირვებული არ არის. იგი მოი-
თხოვდა ასეთი „მათხოვრების“ აღგავსა.

მუშაჯირობის სერიოზულ მიზეზად ი. ჯაიანს ტყის მცველობის შემოღება და სამხე-
დრო ბეგარა მიაჩნია. მართალია, ადგილობრივი მეტყველები ხალხს ეუბნებოდნენ, ტყით
ძველებურად ისარგებლებო, მაგრამ, როგორც სჩანს, ახალმა ხელისუფლებამ ზოგან,
კერძოდ, არდაგანის ოლქში, შემოიღო ტყის გადასახადი. ამით ისარგებლეს მუშაჯირობის
მქადაგებლებმა და ართვინის ოლქშიც დაიწყეს მოსახლეობის ჩაგონება: „არდაგანის
ოლქში ერთ ჭვირთს ნეკერს ვერ მოსჭრის ფუხარა, სანამ სახელმწიფო ხარჯს არ გადა-
იხდისო და თქვენც ამისთანა დღე დაგადგებათ ხვალ და ზეგაო“.

რაც შეეხება სამხედრო ბეგარას, ჯარში გაწვევის ნაცვლად შემოულიათ ფულადი
გადასახადი. ხალხს გაწვევა ერჩია, მაგრამ არ იწვევდნენ და არც ამის საჭიროება იყო —
გადასახადს კი მაინც ახდენებდნენ. ესეც მუშაჯირობას უწყობდა ხელს. ცარიზმის
ხელისუფლებას არაფრად მიაჩნდა მოსახლეობის აყრა-გადასახლება, ზოგჯერ ამ არასახი-
ამოვნო პროცესს ხელსაც კი უწყობდა.

როგორც აღვნიშნეთ, მუშაჯირობა ნაწილი, დიდი მორალური და მატერიალური ზა-
რალის ფასად, უკან ბრუნდებოდა, ზოგი კი სარჩოს საძებრად ჩამოდიოდა. იზმითიდან
ჩამოსულ ერთ ასეთ კაცს საგანგებოდ ესაუბრა ი. ჯაიანი, გამოკითხა იქაური ამბები.
იზმითში უფრო მდიდრად არიან ვიდრე ღარიბადო, უთქვამს მას, მაგრამ აშკარად ცრუ-
ობდა, რადგანაც თვითონვე აგროვებდა ბორჩხაში ჭირნახულს. მოსაუბრის ერთადერთ
სახიამოვნო თვისებად ი. ჯაიანს ის მიაჩნდა, რომ ეს იზმითელი წმინდა ქართული ენით
ლაპარაკობდა. ი. ჯაიანს უკითხავს, რატომ ჰქვია თქვენს ქალაქს გიაურ-იზმითიო. იმას
უპასუხნია: აქედან გადასული ყველა მუშაჯირი მშობლიურ ქართულზე ლაპარაკობს,
ამიტომ შეარქვეს ქალაქს გიაურ-იზმითიო: „აქედგან ადვილად მიხვდებით, — წერდა
ი. ჯაიანი, — საწყალი ხალხი რა საცოდაობაშია ჩავარდნილი, ამ ადამიანების გადამ-
კიდე, რომელნიც იქ ურჩევნ გადასახლებას, სადაც თითქმის ნახევარი შიმშილით იხო-
ცება და ამას გარდა ყოველს ნაბიჯზე გიაურებს ეძახიან“.

დღემდე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში მუშაჯირობის პერიოდში გადასახლებულ-
თა რიცხობრივ შემადგენლობაში ძალზე განსხვავებულ მონაცემებს ვხვდებით. ჩვენ არ
შეგუდგებით ამ მონაცემების მოშველიებას, მაგრამ ის, რაც ი. ჯაიანს აქვს მოტანილი
და ერთადერთ სოფელს — ბორჩხას ეხება, ყველაზე სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ და
განვსაზღვროთ ის დიდი მასშტაბი, რაც მუშაჯირობამ მიიღო ქოროხის ხეობაში. მისი
დაკვირვებით, ოსმალთა მფლობელობის დროს ამ სოფელში 137 კომლი ყოფილა, რაც
1894 წლისათვის 22-მდე შემცირებულია, დანარჩენი ოსმალეთში გადასახლებულა. ბორჩ-
ხის 4 ხეობაში (მურღული, დევსკელი, ჩხალი, კელასკური) 500 კომლამდე კიდევ ყო-
ფილა დარჩენილი. მუშაჯირობის დაწყებამდე ამ ხეობებში მისი ვარაუდით, ალბათ, 2000
კომლამდე იქნებოდა.

სასაზღვრო ინციდენტები, კონტრაბანდა, საბაჟო

ომის დამთავრებისთანავე, როცა უკვე დადგინდა რუსეთ-თურქეთის საზღვრები,
მოსახლეობის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა საზღვრის გადღმა დარჩენილ ნათე-
სავებთან თავისუფალი მისვლა-მოსვლა. მდგომარეობას აძნელებდა ის, რომ ლაზისტანის
კორდონზე მხოლოდ 2 ადგილას იყო ნებადართული გადასვლა: ხოფასთან და ორჯოხში.
მათ შორის მანძილი 100 ვერსს შეადგენდა, რაც იმ დროისათვის ორი დღის სავალი
იყო. ი. ჯაიანი სამართლიანად მოითხოვდა, რომ საზღვრის გასწვრივ სულ ცოტა ხუთ

პუნქტში მანც უოფილიყო გადასვლა-გადმოსვლა, რადგანაც ნათესავები და ოჯახი წინ
ვრები ერთმანეთში მიმოდიოდნენ საოჯახო შრომაში დასასმარებლად, ავადმყოფის მო-
სანახულებლად, გარდაცვლილის დასატირებლად, ქორწილში და ა. შ. მისი აზრით, თუ
ეს მოსტრახდებოდა, აღმინისტრაცია ამით მოსპობდა „გადაპარვა-გადმოპარვას უაზრო-
ვით“.

სხვათა შორის, გადაპარვა-გადმოპარვას ადგილი ჰქონია სხვა მიზნითაც. ი. ჭაიანო
აღწერს კონტრაბანდისტების გადმოსვლას, რასაც მათ და საზღვრის დამცველებს შორის
ორმხრივი სროლაც მოჰყოლია. საზღვრის დამარღვევებს ბრძოლა წაგებულად ჩაუთვლი-
ათ. აკრძალული „ევროპული საქონელი“ ცხენებიდან ჩამოუყრიათ და ვაჭყელუნ. ამ
საქმეში კაპიტან ფ. მიქელაძეს ადგილობრივი ბიჭებიც დასმარებია. საყურადღებოა,
რომ ასეთ დარღვევებში კონტრაბანდისტებს ხელს უწყობდნენ საბაჟოს მოხელეები.

საბაჟოებში სხვა უწყესრიგობაც ყოფილა. გათავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ
ბორჩხაში დაარსებული ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, მაგრამ უბრალო წიგნის
გასაგზავნად აუცილებელი იყო საბაჟოს ბეჭედი. საბაჟოები კი არსებობდა მხოლოდ ბა-
თუმსა და ორჯონში, რომლებიც ბორჩხიდან 40-55 კმ-ით იყო დაშორებული. ამ გზაზე
მიმოსვლაში ადამიანი 2-3 დღეს ჰქარგავდა და სანამ საბაჟოს მიაღწევდა, მას კიდევ
ათასგვარი ხარჯი სჭირდებოდა. ი. ჭაიანს ეს ბარიერები სამართლიანად მიაჩნია პორტო-
ფრანკოს დანაშრევად. ამავე დროს იგი დადებითად მოიხსენიებს ფოსტა-ტელეგრაფის
მაშინდელი უფროსის ა. ვასაძის დამსახურებას, რომლის მეოხებით ამანათები საბაჟოს
ბეჭდის გარეშე იგზავნებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის აღელვებას იწვევდა საზღ-
ვრის ხაზებზე პლასტუნების მოქმედება. ისინი ავიწროებდნენ მცხოვრებლებს და მცირე
მიზეზი ხშირად სერიოზულ ინციდენტში გადაიზრდებოდა ხოლმე. 1895 წლის ბოლოს
პლასტუნები ჭარისკაცებით შეუცვლიათ, რასაც მოსახლეობა სიხარულით შეხვდებოდა.
თუმცა ამ ცვლილებას სხვა უხერხულობა მოჰყვა. ჭარისკაცების რიცხვი გაორმაგდა,
მოიმატა საკონტროლო პუნქტებმაც. უწინ თუ ასეთი პუნქტი ორი იყო, ახლა ოთხი პუნ-
ქტი დაუწესებიათ: ართვინში. ბორჩხაში, მარადიდა და კაპანდიშში. ყველა პუნქტზე
სინჯავდნენ მენავებებსა და მგზავრებს, რაც ძალიან დიდ დროს მოითხოვდა. ხშირად
მგზავრებს დამისთევაც უხდებოდათ. ამიტომ ი. ჭაიანი ადგილობრივ ხელისუფლებას
გაზეთის საშუალებით სთავაზობდა უფრო გამართლებულ წესს: ნავი და მგზავრი გასინ-
ჯულიყო ართვინშივე ნავის დატვირთვისას, მენავებს მისცემოდა საბუთი, რომ ნავი და
მგზავრები შემოწმებულნი არიან და დანარჩენ პუნქტებზე აღარ იქნებოდა საჭირო მათი
შეწუხება.

ქართული სკოლის საპირიმაზა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

1895 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ხელმოუწერელ წერილში, რო-
მელიც ჩვენი აზრით ი. ჭაიანს ეკუთვნის, დიდი გულისტკივილია გამოთქმული იმის
გამო, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაიხსნა სკოლები, ხოლო ქოროხის
ხეობა კვლავ სკოლის გარეშეა დარჩენილი. ავტორის თქმით, აქაურ ქართველობას
სკოლის გახსნაც და შენახვაც შეუძლია. მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხმა ჭერ კიდევ არ
იცის მისი მნიშვნელობა და ამ შეუგნებლობას კიდევ უფრო აღვივებენ რელიგიის მსა-
ხურნი.

ი. ჭაიანი გაკვირვებას გამოხატავს მაღალი ფენის წარმომადგენლების, ადა-ბეგების
მიმართ, რომლებიც ღარიბთა ყველა საქმეს მართავენ, მაგრამ სკოლების განახსენილად
არავითარ მეცადინეობას არ იჩენენ. მით უმეტეს, რომ მათ კარგად აქვთ შეგნებული

სკოლების გახსნისა და წერა-კითხვის გავრცელების მნიშვნელობა. ავტორს სამართლიანად მიაჩნია, რომ მდიდრებმა მაგალითი უნდა უჩვენონ მღაბიო ხალხს და ჩააგონონ „ამ ფრიალ კეთილის საქმის“ საქიროება. ამის შემდეგ ღარიბიც თავის წვლილს არ და-
ზოგავს ამ სასარგებლო საქმისათვის.

ი. ჭაიანი კმაყოფილებით იგონებს ახმედ ხალვაშს, რომელმაც პირადი ინიციატივით გახსნა სკოლა: იგი წერს: „ჩვენ ერთხელ გვექონია სკოლა. ეს სკოლა ახმედ ეფენდიმ გახსნა თავისი ხარჯით და ჭეროვანი ნაყოფიც მოჰქონდა სკოლას, მაგრამ გარდაიცვალა პატივცემული ახმედ ეფენდი და სკოლამაც შესწყვიტა თავისი არსებობა“. სხვათა შორის, ი. ჭაიანის ეს ცნობა ჭერჭერობით ერთადერთია, რომელშიც ნათლად გამოსჭვივის სწავლა-განათლებისადმი ახმედ ხალვაშის დიდი ზრუნვა.

ი. ჭაიანის განმანათლებელ საქმიანობას, სხვათა შორის, ეხება ზ. ჭიჭინაძე. 1894 წლის 7 ივნისს თავის მოხსენებაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი — აქარაში სკოლების გახსნისა და ქართული წიგნების გავრცელების შესახებ — იგი შემდეგს წერს: „ზეგნის დაბა ხულოდან ითხოვს რამდენიმე ცალ „დედაენას“ იქაური სამმართველოს მოხელე ემილ რობაქიძე, რომელიც ქართველ ძაშაღიანთ შვილებს ქართულ ანბანს ასწავლის. ასევე ქართულ ანბანს ასწავლის ბორჩხაში ივანე ჭაიანი, ხუთიოდე საბავშვო წიგნიც იმისთვის იქნება საქირო.

ხსენებული პირები თავის დროს საზოგადოებას წერილსაც მოსწერენ და მადლობას გადაუხდებიან.

ზ. ჭიჭინაძე“ (საისტორიო მოამბე № თბილისი, 1978, გვ. 88. 89).

* * *

საოცრად ღრმა დაკვირვებას იჩენს ი. ჭაიანი საშიში დაავადებების მიმართ, ზოგი მათგანის გავრცელებას იგი სამართლიანად უკავშირებს ამინდის ცვლილებას, დიდ სიცხეებს, სიცივეს, კვებისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს და ა. შ. მისი განსაკუთრებული შეშფოთება გამოუწვევია ქოლერას, რომლის შემოტანას ამ მხარეში ყუბანელი ჭარისკაცების მოსვლას უკავშირებს. დაავადება განსაკუთრებით მამაკაცებში გავრცელებულა: „თქვენს მტერს იმისთანა ბელა მკითხველო, როგორიც ამათში დაატრიალა ხოლერამა, დღეში რამდენისამე კაცის სიკვდილის მოწმე ვიყავით სოფლებში თუ ბათუმ-ართვინის გზაზედ, ვინც კი იმათის ბარგის ამოტანა მენაგენი იყვნენ ბათომიდგან ართვინს, სოფ. კატაფხის მცხოვრებნი, მათ შორის ხუთი კაცი, სამი დღის განმავლობაში გამოასალმა სენმა ამ ღუნიას“.

მოსახლეობა დაავადების გავრცელებას ართვინის ყურძენსა და მჭადს მიაწერდა. ი. ჭაიანი ამ მცდარი აზრის წინააღმდეგაც გამოდის: „შარშანდღამდის არ ჰმოცავდა აქაურებს ართვინის ნაქები ყურძენი და მჭადი და რაღა მაშინ დაწოცა, ან არა და ცხელის წყლით მოწელილ და გახურებულ კეცზე გამომცხვარ მჭადსაც გადაურჩა ბაცილები?“ — სამართლიანად შენიშნავდა იგი.

თამბაქოს ამ ერთადერთი ყველაზე შემოსავლიანი დარგის საწინააღმდეგოდ ართვინში ჭარის ასეულის უფროსს გაუფრცხვლებია ხმა, თითქმის მისი სუნის გამო ჭარისკაცებს სურდო ექნებათო და აუკრძალავს სამხედრო ნაწილების ახლომანლო თამბაქოს დარგვა. ამ საკითხზე მოსახლეობამ თხოვნით მიმართა იქ ჩამოსულ კორპუსის მეთაურს. ი. ამილახვარს, მას ექიმიც ახლდა, რომელსაც დაუდასტურებია, რომ მართალია, თამბაქოს მოწვევა მავნეა, მაგრამ მისი სუნი რომ სურდოს იწვევდეს, ეს არცერთ წიგნში არ წამოიკითხიაო. ამის შემდეგ უფროსს მიუცია თამბაქოს დარგვის ნება.

ქოლერის ეპიდემია ჭერ არც კი იყო ჩამქრალი, რომ ჭოროხის ხეობაში ინფლუენცია გაჩენილა, რომელიც უმეტესად მოხუცებულებსა და ბავშვებს დაერია. ამ დრო-

ისათვის მთელს ხეობაში არ ყოფილა არცერთი ექიმი და ფერშალი, მოსახლეობამ არც კი იცოდა, თუ არსებობდნენ ასეთი მშველელნი, ამიტომ, ჩვეულებრივად ხოჯა-მოღებს იწვევდნენ, რომლებიც ძირითადად ოსმალეთიდან იყვნენ გადმოსული. ცხადია, მათი ლოცვა-კურთხევით ავადმყოფი ვერ მოიკეთებდა, მაგრამ „მკურნალი“ საფასურს მაინც აიღებდა. თუ ბუნება უშველის და მორჩა, „მოლა კარგ ფასს იღებს და ხმაც იმისთანა ექნება სოფელში, რომ თუ ვინმეს თავი ასტივდა, მოლას ხელის გულწედა და ისე სასობით დაჰყავთ ერთის ავადმყოფიდან მეორესთან, სოფლიდან სოფელში... წარმოიდგინეთ მერე თეთრჩაღმიანი და პატარა წვერა თუ ვინმე გადმოვიდა აქეთ ოს-მალოდგან, ჩვენთვის ყველა ხოჯა და ეფენდი ხდება... ავი და კარგი იმათ ხელშია და როგორც იმათი სურვილი და ნებაა, ისე წადმა-უკუღმა ატრიალებენ ფუხრის ზედ-იღბალს“.

ი. ჭაიანი შემდგომშიც კვლავ და კვლავ მიუთითებდა მოსახლეობის უნდობლობას ექიმებისა და ფერშლების მიმართ. ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა. 1899 წლის ზამთარში ყვავილის ასატრედად ფერშლები ამოსულან. თითო ზავშვის აცრაზე თითო აბაზს ახდევინებდნენ, მაგრამ ეს ვაი-მკურნალები ისე გაიტაცა ფულმა, რომ როცა ყვავილის მასალა შემოაკლდათ, ზავშვებს ტყუილად ფხაჭინდნენ და აბაზს მაინც იჭიბავდნენ. ასეთ პირობებში არცაა გასაკვირი, რომ ჭოროხის ხეობის მოსახლეობას მასიურად მოეღო ყვავილი და ყელჭირვება: „დეცკელის ხეობაში სამი სამამასახლისოა და ოჯახს ვერ იპოვით იმისთანას, სადაც 1-3 ბაღანა არ დაჰკლებოდეს ყვავილით თუ კისერით-ო“, გულის-ტიკილით დასძენდა ი. ჭაიანი და მოითხოვდა მუხთარისაგან, რომ ასეთი დავადების გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საექიმო დახმარებაზე.

ქალთა საკითხი

ი. ჭაიანის თვალს არ გამოუპარვია ისიც, რომ ზენა-თესვა და ჭირნახულის მოყვანა ქალების საქმედ ითვლებოდა. ქალის როლი ჭოროხის ხეობაში ძალზე დიდი იყო.

ამასთან ერთად ი. ჭაიანი აღნიშნავს ქალის უფულებობას. მისდამი ბატონკაცურ დამოკიდებულებას. ამას ხელს უწყობდა მამაკაცთა გარე სამუშაოები და საშოვარზე შორს წასვლა. თუმცა ავტორი ამ მოვლენას სამართლიანად მიაწერს ზოგი მამაკაცის სიზარმაცეს, ყვანანებსა და აზარტულ თამაშებში დროის კარგვას.

ქალი ოჯახში ყველაფერი იყო: ყანა-ბოსტნის მომვლელიც, პირუტყვის შემენახველიც, ქმარ-შვილის დამპურებელიც, შვილების მშობელიც და აღმზრდელიც. თუ სახლში არავინ ჰყავდა, აკვანიც ყანაში მიქონდა. ი. ჭაიანი ასეთ საინტერესო შემთხვევას აგვიწერს: „ბევრგან შეხვდებით, რომ აკვანი ხეზეც აქვს ჩამოკიდებული, არაფერმა უკბინოს ბაღანასაო და თვითონ კი იქვე ახლოს მუშაობს, რომ თუ ვინიცოხაა ზავშვი ატირდეს, თავის დროზე მიაწოდოს ძუძუ“.

ავტორი ყურადღებას ამახვილებდა პოლიგამიაზეც და თვლიდა, რომ ჭოროხის ხეობაში ორცოლიანობა იშვიათია და იმ შემთხვევაშია შესაძლო, თუ ქალი ძალზე მოხუცი, საყვარი ან უშვილოაო. ი. ჭაიანი ამ მდგომარეობას ქალთა ხშირ დაავადებასაც მიაწერს. ავადმყოფი დედაცაი თვითონვე თხოვდა ქმარს, რომ მეორე ცოლი მოეყვანა, რათა სახლ-კარი და მინდორ-ბოსტანი, სტუმარი და მოსულ-წასული უყურადღებოდ არ დარჩენილიყო. თუმცა, როგორც იგი შენიშნავს, „ძალიან იშვიათია, რომ მეორე ცოლმა სახლს მშვიდობიანობა და ბედნიერება მოუტანოს — პირიქით, სახლ-კარსაც აურდაუ-რევს და ოჯახშიაც სიძულვილს ჩამოაგდებსო“.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მამაკაცი იყო ქალის დამცველი, ნამდვილი რაი-

ნდი, ადამ-წესების შემნახველი. ი. ჯაიანი აღწერს ერთ ასეთ შემთხვევას, როცა მან
დიდის უფროსის შენობის წინ სოფელ ხეზას მცხოვრებმა დასქრა თავისივე მეზობელი-
იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა გასათხოვარ ქალს მანდილი მოხადა. ეს კი იმას ნიშ-
ნავდა, რომ ამ ქალს სხვა ცოლად აღარ შეირთავდა.

ერთ წერილში ი. ჯაიანი აღნიშნავს, რომ ბორჩხელებს ქორწილი იაფი უჭდებათო
და ამით ხსნის, რომ ოჯახებში ზოგიერთებს ოქროებიც კი გააჩნიათო, რადგან ხარკები
ცოტა მოსდითო“. როგორც მისი მომდევნო წერილით ვგებულობთ, ცოლის შერთვა
არცთუ ისე იაფი ჯდება. ივანე ჯაიანს დეტალურად აქვს აღწერილი ხარკები, რაც
ქალიშვილის გამგზავრებასთან და რძლის მოყვანასთან არის დაკავშირებული. უფრო
მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა რძლის მოყვანი, რადგანაც სასიძოს მხრივ ხარკები
15-20 ცხრაშანეთიან ლირას აღწევდა. სწორედ ამ ხარკებს ერიდებოდნენ ბიჭები და
ხშირად საცოლეს იტაცებდნენ, რასაც ბევრჯერ ახლდა მკვლელობა და სისხლისღვრა.
ზოგჯერ ერთი ქალის მოტაცებას 2-3 და მეტი კაცის სიცოცხლე შეუწირავს.

როგორც ვხედავთ, ქალის მოტაცებას ი. ჯაიანი ძირითადად ხარკების თავიდან აცი-
ლებას მიაწერს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ქალის მოტაცება მრავალი სხვა
საბაბითაც იყო გამოწვეული.

1894 წლის სექტემბერში ი. ჯაიანი მ. და პ. მახარაძეებს დაუპატიუბიათ სოფელ
ბახვში რელიგიურ დღესასწაულებზე. სტუმარი დეტალურად აღწერს ამ დღეს, გარდა-
ამისა, ეხება ქალთა შრომას და აღარებს გურუული და აჭარელი ქალების შრომის და და-
სვენების პირობებს. ავტორის თქმით, განსხვავება ორ მხარეს შორის ის არის, რომ
გურიანში მამაკაცებს უფრო მეტი შრომა უწევთ, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა
„შეკვეთილისა და ქობულეთის ზღვის პირები გავსებულია ზღვაში მოხანავე ქალებით,
რომელთაც ორი და ზოგს სამი ქორფა ბაღნებიც კი დაუტოვებიათ ქმრებისათვის და
ვითომ ავადმყოფები დროებას ატარებენ ზღვის ნაპირსაო“.

ი. ჯაიანი ეხება ბანძაროში, სააგარაკოდ ამოსულებს, აგრეთვე იალაღებზე მომუშავე
ქალებს, რომლებიც თვეობით რჩებოდნენ, პირუტყვსაც უვლიდნენ, რძის პროდუქტ-
ბსაც ამზადებდნენ და ოჯახისათვის დოვლათს ქმნიდნენ და სურვილს გამოთქვამდა, რათა
სხვა „ქართველ ქალებსაც მიეზამოთ აჭარელი ქალებისათვის და აწით ოდნავ მაინც და-
ხმარებოდნენ თავიანთ ქმრებს, რომელთაც ათასწირს გარდასახადისა და გაჭირვებისაგან
თავი მაღლა ვეღარ აუწევიათ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმეს ერთმა მოჭიდილს ხე-
ლი და მერე სხვებიც იმას მიჰბაძავდნენ, ისევე, როგორც ბანაობა მიჰბაძეს“.

მატერიალური კულტურის ძეგლები

ი. ჯაიანი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სამხრეთ საქართველოს მატერიალუ-
რი კულტურის ძეგლებისადმი. ის შეძლებისდაგვარად აღწერს ჯერ კიდევ შემორჩენილ
ეკლესია-მონასტრებს და ციხე-სიმაგრეებს, როგორც ერის წარსულის მრავლისმეტყველ
კერებს.

როგორც ცნობილია, აჭარა-შავშეთის მატერიალური ძეგლებისადმი დიდ ინტერესს
იჩენდა რუსეთის საარქეოლოგოო საზოგადოებაც. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის
დროს აქ ჩამოვიდა ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, ერთი წლის შემდეგ ცნობილი ქართველი
სამხედრო და საზოგადო მოღვაწე გ. ყაზბეგი და სხვები. მათ თავიანთი მოგზაურობის
ანგარიშები წარუდგინეს საიმპერატორო აკადემიას და წიგნებიც გაწოაქვეყნეს, რომლე-
ბიც დღესაც ითვლება უნიკალურ გამოცემად.

1888 წელს ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს ამ მხარეების დასათვალიერებლად
ჩამოსულა გრაფინია პ. ს. უვაროვა. ადრე გამოქვეყნებულ შრომებში ცნობილი იყო,

რომ გრაფინიას თან ახლდნენ ქალები, მათი ურთიერთობა არ იყო გარკვეული, ი. ჯაიანის წერილით კი ირკვევა, რომ უვაროვას ახლდნენ შვილები, და და დისწული, მართალია, მათი სახელები არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ მისი არქეოლოგიური მოგზაურობა ერთგვარ საოჯახო ექსკურსიასაც წარმოადგენდა. ი. ჯაიანს ზუსტად აქვს დასახელებული პუნქტები, სადაც იყო გრაფინია და რა მნიშვნელოვანი ძეგლები მოინახულა მან: „ამას წინად აქ მობრძანდა მოსკოვიდან თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო და საარხეოლოგიო კომისიისა გრაფის ქვრივი უვაროვისა თავისი შვილებითურთ, დითა და დისწულით და დაიარა მთელი აჭარის ძველი მონასტრები. უვაროვისა და იმასთან მყოფნი ავიდნენ ერთს ნასაყდრალზე, რომელიც არის აგარის საზოგადოებაში და სახელად უძახიან საციხურს, აქ უვაროვისამ მოათხრევინა ის ნასაყდრალი და იბოვა მარმარილოს ქვაზე რამდენისამე წმინდანის სურათი. ამას გარდა კიდევ გამოჩნდა ბევრი რკინები და ხატის ნატეხებიც. შესანიშნავი თლილი ქვები ნატეხებით, მაგრამ ამ ქვებს თითოს ხუთს ფუთიდან ათ-თორმეტ ფუთამდის გამოდიოდა, ასე რომ ასოც ფუთამდის იყო ყველა ქვები წონით. ყველა ეს ქვები, ხატები და ნაპოვნი ნივთები ბათუმში ჩაიტანეს“.

გრაფინია უვაროვას ამ მოგზაურობას სხვა ავტორებიც ეხებიან, მაგრამ ისინი ეყრდნობიან სხვების გადმოცემებს, ი. ჯაიანი კი ეტყობა, ამ ამბების თვითმხილველია, ამიტომ მისი ცნობა სარწმუნოა და მას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ვხედავთ, უვაროვამ ბევრი საინტერესო ნივთი და ძეგლის ნარჩენები გაზიდა აჭარიდან. სამწუხაროდ, დღემდე არავინ იცის ამ განძის ადგილსამყოფელი და არც არავინ დაინტერესებულა მათი მონახულებით. მათი გამოვლინება და აღწერა მეტად საშუაო საქმეა, რადგანაც შესაძლოა გაირკვეს ბევრი საინტერესო საკითხი სამხრეთ საქართველოს უძველესი ისტორიიდან.

ი. ჯაიანს არცთუ ისე უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ ძველ სამცხე-საათაბაგოში არსად არ არის ქრისტიანობის იმდენი ნაშთი, რამდენიც სოფელ ბორჩხას ახლო-მახლო. ამ დროისათვის ამ ლამაზ სოფელში ყოფილა ორი ციხე და სამი ნასაყდრალი. აგრეთვე მრავალი ჭური, სადაც ორი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა, დარჩენილა ბევრი ვაზის ძირი და სხვ.

მატერიალური კულტურის ძეგლთა გადარჩენას ი. ჯაიანი ძირითადად მოსახლეობას მიაწერს, რომელსაც მისი ხელყოფა დიდ ცოდვად მიაჩნდა. იგი წერს: „ამ მხარეში თუ სადმე ხელუხლებლად დარჩენილან საყდრები, ეს იმას ნიშნავს, რომ მაჰმადიანთ საყდრების დანგრევა ცოდვად მიაჩნდათ, ხალხში კიდევ დარჩენილიყო შიში ეკლესიისა“, ბევრი ძეგლი განადგურებულია ოსმალთა დამკვიდრების პირველ წლებში, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც თლილ ქვებით იყო ნაშენი, რადგანაც მას იყენებდნენ ჯამე-მედრესეების ასაშენებლად, თურქი მოხელეები ამ მასალით სახლებსაც იშენებდნენ.

განსაკუთრებით კარგად შემონახულია ეკლესია სოფელ პეტრულში, რომელიც ბორჩხიდან ორი საათის სავალზეა. აქ ხელუხლებლად დარჩენილა წმინდანთა ნახატებიც. დაუპირებიათ ამ ეკლესიის დანგრევა, მაგრამ, იგი ქალებს გადაურჩენიათ. ბოლო წლებში ამ მხარეში მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას დიდ ყურადღებას უთმობდა ახმედ ხალვაში. პეტრულის ეკლესიაზე მან მთლიანად ღობე შემოავლებინა, ყარაულიც მიუჩინა, რომელსაც ჯამაგირსაც უზღოდა ამ ეკლესიის დაცვისათვის.

მნახველს აკვირვებდა ტბეთის სახელგანთქმული ტაძარი. იქაურ ასი წლის მოხუცს სულეიმან ომეროღლის ი. ჯაიანისათვის უამბნია, როგორ აპირებდნენ ამ ტაძარზე მინარეთის მიშენებას, როგორ ჩამოცვენილა 7 კაცი კედლებიდან და დამსხვრეულა. ამის შემდეგ ზელი აუღიათ ამ განჯრაზვაზე, თუმც მინარეთის მიშენების კვალი მაინც დარჩენილა.

ხალხის საკმისათვის მეგრძოლი

ცნობილი რევოლუციონერი, პარტიის ბათუმის კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი ხელმძღვანელი, შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის განყოფილების გამგე თენგიზ ჟღენტი 1932 წლის 3 იანვარს წერდა: „ამხ. ქემალ ნოღაიდელი აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, კერძოდ, ქობულეთში, ბათუმში, ოზურგეთსა და ფოთში. მუშაობდა არალეგალურ წრეებში, ირიცხებოდა წითელ რაზმში.“

შემდეგ კავშირი ჰქონდა გურიის რევოლუციურ ორგანიზაციებთან თვითმპყრობელობის დამხობამდე, ანუ 1917 წლამდე“.

ცნობილი ფარმაცევტის ა. თიროშვილის ცნობით, 1905 წელს ბათუმელ გიმნაზიელთა გამოსვლებს უფროსები ხელმძღვანელობდნენ, უშუალოდ ნესტორ კალანდარიშვილი. მისი მარჯვენა ხელი კი ჯ. ნოღაიდელი გახლდათ. აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულ ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „ნოღაიდელი 1905 წელს იარაღით ხელში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმელთა საბარეკადო ბრძოლებში“.

1905 წელს აჭარელ გლეხთა დასასაქმებლად ბათუმში შეიქმნა „აჭარელ მუშათა არტელი“. მასში მიიღეს სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც და შეიკადნენ კარგი გასამრჯელოს საფასურად, ისინი გამოეყენებინათ გაფიცული მუშების მაგიერ, არტელის წევრებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს, არ ისურვეს შტრეიკპრეზერობა. არტელში იყვნენ მემედ გოგიბერიძე, ქემალ ნოღაიდელი, სკენდერ ბეჟანიძე, სულეიმან მანელიშვილი, შაქრო ცეცხლაძე, სერათ ბაკურიძე, აზიზ კაიკაციშვილი, სულეიმან მეგრელიძე, ასლან ბერიძე, ჯემალ სეიდიშვილი. ოსმან გურგენიძე, იუსუფ გუღაიბა, მუსტაფა აბდიბა და სხვები.

მაღე გამოაშვარავდა, რომ არტელის ხელმძღვანელობა თითოეულ მათგანს დღეში 80 კაპიკს პარავდა, რაც უნარიანად გამოიყენეს მისი მხილებისათვის. მართალია, დიდ ნაწილს სამუშაო შეუკვეცეს, სხვები დაითხოვეს, მაგრამ ისინი მაინც კმაყოფილი იყვნენ, იმიტომ, რომ სოლიდარობა გამოუტყდადეს მუშებს, არ უღალატეს მათ.

ქემალ ნოღაიდელი ახლანდელი ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში დაიბადა. ეს იყო ასი წლის წინათ. პირველი ნათლობა რევოლუციურ ბრძოლაში 1904 წელს მიიღო. მაშინ სულეიმან მანელიშვილმა, მამულ მჟავანაძემ, იუსუფ ქათამაძემ, სულეიმან ქარცივაძემ, ოსმან ესელიძემ, სულეიმან დავითაიამ, მემედ გოგიბერიძემ, ისმაილ დავითაძემ და სხვებმა რევოლუციური წრეები შექმნეს წყავროკა-გვარაში, ქაქუთში, ხუცუბაწში, ბობოყვათში, დაგვასა და ციხისძირში. ისინი მონაწილეობდნენ აგრეთვე ქობულეთელთა გამოსვლებში 1905-1906 წლებში. მაგალითად, 1905 წლის 30 აგვისტოს შეკრებაში ათასამდე გლეხი და 500-მდე ბათუმელი მუშა-რევოლუციონერი მონაწილეობდა. სიტყვით გამოვიდა ქ. ნოღაიდელიც, მან მოუწოდა ხალხს არ აერჩია მათთვის მიუღებელი ხელისუფლების რწმუნებულები, არ გადაეხადათ გადასახადები, დაეცათ ერთმანეთი მოხელეთა და პოლიციელთა ხელყოფისაგან. ოქტომბერში დემონსტრაციაზე ქობულეთელბმა წითელი დროშები და მარქსის სურათი გამოიტანეს, რევოლუციური სიმღერებიც დააგუგუნეს. შემდეგ განაიარაღეს ჯარისკაცთა რაზმი, პოლიციელები და მოხელეები.

შეიარაღებულ რაზმებს სათავეში ედგნენ რეჟიმ თხილაიშვილი, ხუსეინ გოგიბიძე, ხუსეინ ხარაზი, იუსუფ ქათამაძე, სულეიმან მანელიშვილი და სხვები. ქ. ნოღაიდელი ამჯერადაც გვერდით ედგა მათ. ამხნევებდა თანასოფლელებს.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებას რეაქციის პარპაში მოჰყვა. ქ. ნოღაიდელი ბათუმიდან გააძევეს. ერთხანს ფოთის ნავსადგურში იმუშავა მტვირთავად, მა-

გრამ იძულებული გახდა მშობლიურ სოფელში დაბრუნებულიყო.

მუშებთან და რევოლუციონერ ბოლშევიკებთან ურთიერთობაში მიღებული გამოცდილება მან უნარიანად გამოიყენა. ქემალის აგიტაციის შემდეგ გლეხები ერთსულვნად მოქმედებდნენ. მალე პირველი იმპერიალისტური ომი დაიწყო და მდგომარეობა გაუარესდა. აჭარას ისევ ოსმალები შეუშინებდნენ, მათ მენშევიკები და ინგლისელები მოჰყვნენ. ყველა თავის სასარგებლოდ ეწეოდა აგიტაციას, ქ. ნოღაიდელი გლეხობას განუშარტავდა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა რუსეთს შეუძლია გააუმჯობესოს მშრომელთა მდგომარეობა, შეუქმნას მათ ცხოვრების ხელსაყრელი პირობები. ამიტომ იყო, რომ პატრიოტებს ოსმალებმა დევნა დაუწყეს. ქ. ნოღაიდელი, იუსუფ ქათამაძე და ხასან თხილაიშვილი აჭარის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად იძულებული იყვნენ 1918 წლის მაისის დამდეგს თბილისში გახიზნულიყვნენ. აქ მათ შექმნეს პატრიოტული ორგანიზაცია—„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და დააარსეს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომლის 1918 წლის 12 მარტის ნომერში გამოქვეყნდა მოწოდება „ძმებო, მუსლიმანო ქართველებო!“ მას ზია აბაშიძესთან, ყადირ შერვაშიძესთან, სულეიმან დიასამიძესთან და სხვებთან ერთად ქემალ ნოღაიდელიც აწერდა ხელს.

წერილი აჭარლებს მოუწოდებდა გადაეგდო მტარვალ ოსმალთა უღელი, თავად მიეხედათ თავიანთი საქმეებისა და მშობელი მხარისათვის, სამუდამოდ შეერთებოდნენ საქართველოს, „მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას, ამდენად მათთან ერთად უნდა მივალწიოთ მშვიდობიან და მყუდრო ცხოვრებას“.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ქობულეთში 1919 წლის ივლისში. ამჯერადაც ითქვა: „ძმური ხელი ქართველ ერს, ცეცხლი კი მტერს“, ჩვენ საქართველოსთან ვიყავით და ვიქნებით. არც ინგლისელებთან გვაქვს რაიმე საერთო, ისინიც უნდა გაგვეცალონო.

აი, ასე მიჰყვებოდნენ აჭარის მშრომელები პროგრესულ ადამიანებს, რომლებსაც მეტად მძიმე დროში უხდებოდათ საქმიანობა. იმძლავრა ძარცვა-ყაჩაღობამ, სიღატაკემ. 1920 წლის შემოდგომაზე მენშევიკებმა სოფელ კოხს შეიარაღებულთა რაზმი შეუსიეს და საშინლად ააწიკეს.

ქობულეთელები ბათუმელ ბოლშევიკებს დაეხმარნენ ქობულეთის რკინიგზის ხიდისა და ნავთსადენის აფეთქებაში, რათა საწვავი ყირიმში მოკალათებული დენიკინელებისათვის არ გაეტანათ. ქ. ნოღაიდელი ამ ოპერაციაშიც მონაწილეობდა.

1921 წლის 18 მარტს საბჭოთა რუსეთის, პირადად დიდი ლენინის დახმარებით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ქ. ნოღაიდელი მშობლიურ სოფელ წყავროკას ფუხარა გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მალე იგი ხასან თხილაიშვილთან და იუსუფ ქათამაძესთან ერთად აჭარის წითელი მეგლისის წევრი გახდა. შეიყვანეს აგრეთვე მუშგლეხინის (მუშურ-გლეხური ინსპექცია) კოლეგიაში. ხოლო 1922 წელს აირჩიეს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოში.

აქტიური მონაწილეობა მიიღო ქემალმა ადგილებზე, განსაკუთრებით ქობულეთის რაიონში ხელისუფლების ორგანოების, კულტურულ-მასობრივი დაწესებულებებისა და სკოლების შექმნასა და გახსნაში, წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლაში, კოლექტივიზაციის განხორციელებაში.

მოგვიანებით ქ. ნოღაიდელი ბათუმის სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, მათ შორის მტკირთავთა და ინვალიდთა არტელს ედგა სათავეში, იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, გამოირჩეოდა უბრალოებით, კეთილი ბუნებითა და ხალხის საქმისათვის თავდადებათ.

იოსებ ბეჰირიშვილი.

დრო უღმობლად მიჰქრის. სამოცი წელი კაცობრიობის ისტორიაში თვალის ფრთი დაფახულება, ადამიანის ცხოვრებაში კი საქმოდ სოლიდური დროა. უფლება გაქვს მოიხედო უკან, შეაფასო, როგორ იცხოვრე, რა გააყეთე შენი ზალხისთვის, ქვეყნისათვის. ეს წინათქმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩვენს მეგობარს, ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის დირექტორს ზია გოგიტიძეს სამოცი წელი შეუძრულა. ყველაზე ღირსშესანიშნავი რა არის ამ სამოცი წლის მანძილზე? ის, რომ ზ. გოგიტიძემ 35 წელი თავის საყვარელ საქმეს — მომავალი თაობის აღზრდას, სკოლას მოახმარა. ასეთმა ხანგრძლივმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის ჩამოუყალიბა მას მაღალი პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა საკუთარი თავის და სხვების მიმართ. ბავშვი, მასწავლებელი, სკოლა, სასწავლო-სააღმწერდელი პროცესი — უმთავრესია მისთვის. იგი ხელმძღვანელია, ხელმძღვანელობა კი დიდი მეცნიერებაა. ხელმძღვანელებდ ერთბაშად არ ხდებიან, არამედ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, არაერთი სიძნელის და წინააღმდეგობის დაძლევით. ზ. გოგიტიძე მთელ თავის ძალას და ცოდნას დაუზოგავად, უშუალოდ ახმარს ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ საყვარელ საქმეს. დაძაბული შრომის გარეშე არცერთი დღე არ უცხოვრია. სწორედ ამიტომ მოიხვეჭა მან აღსაზრდელთა და აღმზრდელთა სიყვარული — ყველაზე დიდი ჯილდო.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ჩამოვიდა იგი ქობულეთიდან ბათუმში და სწავლა დაიწყო პედსასწავლებელში, რომ გამგდარიყო მოძავალი თაობის აღმზრდელი. სასწავლებელში მას დახვდნენ მზრუნველი, მკრძნობიარე, მაღალ სულის პედაგოგები დირექტორის ს. ჩხიკვიშვილის მეთაურობით. საფუძვლიან ცოდნას და პედაგოგიურ გამოცდილებას გადასცემდნენ აღსაზრდელებს შესანიშნავი მასწავლებლები დ. უჩანეიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, კ. ფოცხიშვილი, ვ. სამსონია და სხვები. მათ ჩაუწერეს თავიანთ აღსაზრდელებს ბავშვების, მომავალი პროფესიის სიყვარული. გზა გაუკაფეს ცხოვრებაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზ. გოგიტიძემ, ისევე როგორც ბევრმა მისმა ახსანამა, სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სწავლობდა მთელი გატაცებით, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, აქვე მიიღეს სკკპ რიგებში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო რუსეთში — მუშაობდა პედაგოგად ვლადიმირის თლქში. იმთავითვე გამოარჩიეს პრინციპული, შეუპოვარი ახალგაზრდა პედაგოგი და მომღვენო წელს დანიშნეს ქალაქ გუსხრუსტალის ერთ-ერთი მოზრდილი საშუალო სკოლის დირექტორად. ეს იყო 1953 წელს. აქედან მოკიდებული, ზ. გოგიტიძეს სკოლის დირექტორის პოსტი არ დაუტოვებია. 1961 წლიდან დღემდე ბათუმის მე-7 რუსული საშუალო სკოლის დირექტორია. წლების განმავლობაში გამოუმუშავდა მტკიცე, მებრძოლი ხასიათი, რომელიც დღემდე შეინარჩუნა.

ბევრი გაუკეთებია დირექტორობის პერიოდში: ხელმძღვანელობდა საცდელ სამუშაოებს სკოლის სასწავლო-სამეურნეო ნაკვეთებზე, სათბურების, სპორტული მოედნების მშენებლობაზე, აქტიურად ახამდა მოსწავლეებს სკოლის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში, ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. მრავალი ბავშვის მიმართ გამოუჩენია მამობრივი ზრუნვა და ყურადღება. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს რომელ კუთხეში არ ცხოვრობენ, შრომობენ და სწავლობენ მისი სკოლის კურსდამთავრებულები. ისინი არ იფიქრებენ ამაგდარ აღმზრდელს, ზშირად შეეხმიანებათ მას წერილობით, მოსალო-

ცი ბარათებით, ხოლო თუ მშობლიურ ქალაქში ჩამოვლენ, არ შეიძლება არ მოინახუ-
ლონ საყვარელი მასწავლებელი.

ზიამ და მისმა მეუღლემ, ამაგდარმა პედაგოგმა ნინა კონსტანტინეს ასულმა ოთხი
სასახელო შვილი აღუზარდეს სამშობლოს, ოთხივეს უმაღლესი განათლება მისცეს, მაგ-
არამ არასდროს არ დაუყენებია პირადი ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლა. ვინ
მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა პედაგოგი გამოზარდა და სწორ გზაზე დააყენა ზია
გოგიტიძემ.

ყოველ დღეს მოაქვს მისთვის ახალი საზრუნავი და საფიქრალი. ახლა, როცა ჩვე-
ნი ცხოვრების ყველა სფეროში ხდება თვალსაჩინო გარდაქმნები, ბუხებრივია, სკოლაც
ვერ ზუვლის მას გვერდს. ბათუმის მე-7 სკოლის პედკოლექტივიც ზ. გოგიტიძის ხელ-
მძღვანელობით მთელი მონდომებით იბრძვის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრუ-
ლყოფისათვის, სანიმუშო დისციპლინისათვის, მომავალი თაობის კომუხისტური აღზრ-
დისათვის.

სკოლაში მუდამ სისუფთავე, სიბორო და საქმიანი ატმოსფერო სუფევს. დირექტორის
გულისყურის გარეშე არ რჩება მოზარდის ცხოვრება ოჯახში, სკოლის გარეშე. მოსწავ-
ლეებს და მასწავლებლებს სჯერათ თავიანთი დირექტორისა. ზ. გოგიტიძე აქტიურად
ზრუნავს მოზარდთა ჯანმრთელობისათვის, სპორტისათვის. ქალაქის სკოლებს შორის სო-
ციალისტურ შეჯიბრებაში რამდენჯერმე ზედიზედ გამარჯვებისათვის სკოლაში სამუდა-
მოდ ინახება ქალაქის განათლების განყოფილების გარდამავალი წითელი დროშა, საქარ-
თველოს სსრ განათლების სამინისტროს 4 დიპლომი... ყველა ჯილდოს ჩამოთვლა გაგი-
ჭირდებათ.

ზ. გოგიტიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებუ-
ლი მასწავლებლის საპატიო წოდებები, დაჯილდოებულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, „შრომის ვეტერანის“ მედლით და საქართველოს სსრ
„სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, სხვადასხვა სიგელებით. ყოვე-
ლივე ეს სკოლის დირექტორის ხანგრძლივი, თავდადებული შრომის ღირსეული დაფასე-
ბაა. ასეა, თუ კაცი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს, იგი შეუმჩნევე-
ლი არ დარჩება...

ზურაბ კომახიძე.



პირველი სკოლა ხუცუბანში

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში საბრძოლო ოპერაციების დაწყებამ აჭარის მიმართულებით დიდი უბედურება მოუტანა ადგილობრივ მოსახლეობას. ასეთ რთულ ვითარებაში აჭარას დახმარების ხელი გამოუწოდა ისევ ქართველმა საზოგადოებამ, რომელმაც, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, აქ სკოლების გახსნითაც სცადა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამოღება.

საერთოდ, პირველი სკოლა აჭარაში გაიხსნა 1881 წლის 23 მარტს, რომელიც ჩვენი ერის დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დააარსა ბათუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. შემდეგ ამას მოჰყვა ბათუმშივე ვაჟთა (1897 წელს) და ქალთა (1900 წელს) გიმნაზიების გახსნაც. აღნიშნულმა სასწავლებლებმა თავის დროზე, კი შეასრულეს დიდი როლი ამ კუთხის მოსახლეობის სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ აჭარის სოფელი მაინც ქართული სკოლების მაღლისა და მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის გარეშე იყო დარჩენილი. ამ საქმის ორგანიზება იკისრა „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“.

აღნიშნული საზოგადოება დაარსდა 1906 წლის დეკემბერში (თავმჯდომარე-მხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი, მდივანი — ბავლე საყვარელიძე). იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ და შეეძლო სკოლების გახსნა, წიგნების გამოცემა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსება, ომში დაზარალებულთათვის დახმარება და სხვ. მის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი: ისტორიკოსები ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, მწერალი გერონტი ქიქოძე, ექიმი და კრიტიკოსი ივანე გომართელი, პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე და სხვ. 1915 წლისათვის საზოგადოებას ოფიციალურად ჰყავდა 1700-ზე მეტი წევრი.

საქველმოქმედო საზოგადოებას საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ჰქონდა თავისი განყოფილება. ასეთივე განყოფილება 1915 წლის აპრილში ბათუმშიც გაიხსნა და დიდი მუშაობა გასწია ომით დარბეული აჭარის მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. დოქ. გრ. ბაბილოძის სიტყვით, „განყოფილების გამგეობა თვალყურს ადევნებდა გადაკარგულ მკვიდრთა მიტოვებულ ადგილ-მამულებს, უვლიდა დაბრუნებულ ლტოლვილებს“. საკმარისია ითქვას, რომ მან ერთი „საჯარო ვაჭრობის დროს იჯარით აიღო აჭარის 12 სოფელი“, ხოლო „მეორე.. ვაჭრობის დროს 6 სოფელი“. ამით განყოფილებამ გაყიდვისაგან დაიცვა ლტოლვილებისაგან მიტოვებული სოფლები, რომ შემდეგ ისინი ისევ კანონიერი მებატროვნეებისათვის დაებრუნებინა.¹

საქველმოქმედო საზოგადოებამ მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით გადაწყვიტა აჭარაში პირველდაწყებითი ქართული სკოლების გახსნაც. საამისო სამზადისი მან ადრევე დაიწყო. 1915 წლის 26 ნოემბერს გაიმართა საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ნათაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, პართენ გოთუა და სხვ. სხდომამ განიხილა და დაადგინა აჭარის სოფლად სკოლების გახსნა, რისთვისაც გამოჰყო ერთდროულად 16 ათასი მანეთი, ხოლო ყოველთვიური ხარჯებისათვის — 8 ათასი მანეთი. სასკოლო საქმის

პრაქტიკული მოგვარება და სკოლების საერთო ხელმძღვანელობა დაეცინა. ცნობილ პედაგოგს იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილს.²

ი. გულისაშვილი ჩამოვიდა ბათუმს, სადაც დაუკავშირდა ჰაიდარ აბაშიძეს, გააცნო მას აჭარაში სკოლების გახსნის გადაწყვეტილება და თხოვა დახმარება. დიდი მოჭირანხელე და პატრიოტი განუზომელი სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას. „აღფრთოვანებულმა... დიდი მადლობის ნიშნად გადავკოცნე“ ამბის მთხრობელიო, — იგონებდა შემდეგ პ. აბაშიძე. ამით გულაჩუყებულ ი. გულისაშვილს თურმე „თვალები ცრემლით აეფო“, მადლობის ნიშნად თავდაც გადაუკოცნია მასპინძელი და უთქვამს: „დაკარგული ძმები გვიპოვნისართ და ყველაფერი გავაკეთებთ იმისათვის, რომ აჭარას დაეუმტკიცოთ ნამდვილი ძმობა და ჩვენი დიდი სიყვარულიო“.³

1916 წლის 2 იანვარს შედგა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობის სხდომა, თავმჯდომარეობდა რეკვზ ნიჟარაძე, ესწრებოდნენ: გრ. ელიაშვილი, ისმაილ ლორთქიფანიძე, კაპ. გოგოლაძე, არსენ წითლიძე, ირაკლი დლონტი და სხვ. სკოლების გახსნის შესახებ შეკრებილთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა ი. გულისაშვილი. შემდეგ გაიმართა კამათი. განსაკუთრებით აქტიურობდა რეკვზ ნიჟარაძე, რომელმაც მოითხოვა, სავსებით სწორად, სკოლების დაარსება ბათუმიდან მოშორებულ მთიან სოფლებში. მისივე აზრით, საჭირო იყო ამ სკოლებთან პანსიონების მოწყობაც და მოსწავლეების უზრუნველყოფა ტანსაცმელითა და „კარგი მოვლა-პატრონობით“. სხდომამ ერთსულოვნად დაადგინა 9 სკოლის გახსნა; მათგან: პირველდაწყებითისა — ალამბარში, ქედაში, საღორეთში (ახლა პირველი მასი), ჩხუტუნეთში, ყოროლისთავში, ღორჯომსა და ხულოში; აგრეთვე ორი სამეურნეო ტიპისა: ქობულეთსა და ქედაში. საკითხის დაჩქარების მიზნით სხდომამ მიზანშეწონილად ჩათვალა ი. გულისაშვილთან ერთად გამოეყო ცნობილი პედაგოგი არსენ წითლიძეც.

მომდევნო სხდომა გაიმართა იმავე წლის 26 თებერვალს. ი. გულისაშვილმა და არ. წითლიძემ შეკრებილთ გააცნეს საქმის მსვლელობა. მათი მოხსენების საფუძველზე აღბრინდელ გეგმაში შეიტანეს ზოგიერთი კორექტივი, კერძოდ, პირველ ეტაპზე სასარგებლოდ ცნეს 6 სკოლის დაარსება: ყოროლისთავში, ალამბარში, ხუტუბანში, ჩხუტუნეთში, ქედასა (ქვედა აგარა) და ხულოში (ზედა აგარა). ამის საფუძველზე შედგა ხარჯთაღრიცხვა და გამოიყო თანხები: სკოლებისათვის წლიურად 60 ათას მანეთზე მეტი; სამოგზაურო ხარჯებისათვის მიეცათ: ი. გულისაშვილს — 122, არ. წითლიძეს — 100 მანეთი.

ხუტუბანში სკოლის ორგანიზება დაევალა არსენ წითლიძეს. რეკვზ ნიჟარაძის თანხლებით მან მოინახულა ხუტუბანი, შეხვდა ისმაილ კაიკაციშვილსა და სოფლის სხვა თავაჯდომეებს და გააცნო მათ გადაწყვეტილება სკოლის გახსნის შესახებ. ამ წინადადებას ხუტუბნელები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ და სასკოლო ნაკვეთის გამოძებნის ინიციატივა იკისრეს. ფეხზე დადგნენ ძმები ახმედ, ხასან და ხუსეინ გოგიტიძეები, ახმედ და ასლან თამაშაშვილები, ხუსეინ, ომერ და შაჰირ კაიკაციშვილები. რეკვზ მოწყობილი და სხვ., რომლებმაც მალე დაითანხმეს თანასოფლელი ალი ნინიძე სკოლისათვის მალა გორაკზე დაეთმო შესანიშნავი ნაკვეთი.

პირველმა წარმატებამ და, რაც მთავარია, მოსახლეობის აქტიურობამ ფრთხილად შეასხა სკოლის ორგანიზატორს. ამიტომ არ. წითლიძემ გადაწყვიტა არ დალოდებოდა სკოლის შენობის აგებას და დაეწყო მეცადინეობა. ამ მიზნით დაიჭირავე ჯემალ მოწყობილის სახლი და 1916 წლის 23 მარტს (ძვ. სტ.) ხუტუბნის სკოლა ოფიციალურად შეუდგა მუშაობას.

სკოლის გახსნა ხუტუბნელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს. შეკრებილთა წინაშე სიტყვებით გამოვიდნენ ი. გულისაშვილი, არ. წითლიძე და ჰაიდარ აბაშიძე. გაზ. „საქართველო“.

ველოს“ კორესპონდენტის ცნობით, „ხალკი სიხარულით იცრემლებოდა“. შემდეგ სტატ-მართათვის გაუმართავთ „მცირე სადილი“, სადაც „ქობულეთლებმა მკვირცხლად იმოქმედეს“ „ხასანბეგურა“, „ალიფაშა“ და სხვ. კორესპონდენტი უკვე მაშინ ექვობდა, რომ „მოწადი-თა რიცხვს სკოლა ვერ დაიტევს“, რადგან „მთხოვნელი ბევრიაო“.4 მართლაც, სკოლაში ჩაუტრიახავთ 127 მოსწავლე, რომელთაგან 45 გოგონა იყო.⁵ მსურველი კი კიდევ მრავლად ყოფილა, მაგრამ „უადგილობის გამო“ 6-7 წლის ბავშვებს, ჯერ-ჯერობით, უარი უთხრეს მიღებაზე.⁶

რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის, უპირველესად მაინც სკოლის საკუთარი შენობა იყო საჭირო. მასალის მოჭრა-დამზადება და მშენებლობა დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომ სოფ. ლიხაურში (ახლანდელი მახარაძის რაიონში) შეიძინეს ექვსოთახიანი წაბლის მასალით ნაგები შენობა. თანხების დაზოგვის მიზნით, მისი დაშლა და საკუთარი ხარ-ურმით ხუტუბანში გადმოტანა სოფლის მოსახლეობამ იკისრა. სკოლის გულშემოკლებებმა შეაგულიანეს და საქმეში ჩააბეს აქაური გავლენიანი მოლა ახმედ გოხიძე. „რამაზანი“ იყო თურმე მაშინ და საღამოს ლოცვაზე მი-სული ხალხისათვის მოლას განუტყაბდებია: სკოლის შენობის გადმოტანა „კარგი საქმეა“ და „ყველა გავიდეს ამ სამუშაოზე“. მართლაც, „ქედზე კაცი“ გამოსულა, ვინ ხარ-ურმით, ვინ კიდევ სამშენებლო იარაღით. ბევრმა მუშაობის სურვილიც გამოთქვა. ერთ-სულთვნებამ თავისი გაიტანა. რამდენიმე დღეში შენობა ლიხაურში დამალეს, ხუტუბან-ში ჩამოიტანეს და მოწვეულმა ოსტატებმა (მათ შორის ყოფილა არსენ ვადაჭკორია) სკოლისათვის წინასწარ მომზადებულ ადგილზე ააწყვეს (მისი ქვედა სართული ქვისა იყო. ზედა კი ხისა). სამუშაოზე, გაუფრთხილებლობით ეს შენობა დაიწვა 1962-1963 სასწავლო წელს.

სკოლის შენობის შემდეგ გადაწყდა იქვე ეზოში მასწავლებელთა საცხოვრებლის აგებაც. ამ საქმის მოგვარებაც სოფელმა იკისრა. მათი შეკვეთით ცხემოვანში დაამზადეს წაბლის მასალა, რომელიც საკუთარი ხარ-ურმით ხუტუბანში ჩამოიტანეს. შემდეგ ზუ-სეინ მუჟანაძემ შეარჩია რამდენიმე ჯანიანი თანასოფელი, მათი დახმარებით გააფარ-თოვა და მოასწორა ეზო. მალე სკოლის მახლობლად მასწავლებელთა საცხოვრებელი შენობაც წამოიჭიმა.

ბარველი სკოლის გახსნა ქვეშაირიტად იყო მნიშვნელოვანი ფაქტი ხუტუბნელთათ-ვის. საქმე მარტო ის როდია, რომ მან მიიზიდა და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა შეას-წავლა ორივე სქესის ათობით მოზარდს (თუმცა ეს, თავისთავად, იყო დიდი მოვლენა), არამედ განსაკუთრებით ის, რომ სკოლა, სულ მოკლე ხანში, სოფლად ახალი ცხოვრების დამკვიდრების მაცნე გახდა. საამისო ტონს კი იძლეოდა თვით პედაგოგიური კოლექ-ტივი. სკოლას ოფიციალურად ეწოდებოდა სამკომლექტიანი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი პერსონალი სამი მასწავლებლისაგან შედგებოდა: თავად არსენ წითლიძე — სკოლის გამგე და ხელმძღვანელი, აგრეთვე მასწავლებლები — თამარ დარეჯანაშვილი და ბაბო ბრეგვაძე. ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის სულეიმან კაკიკაიშვილის სიტყვით, „ეს ორი ქალი მასწავლებელი როგორც ცოდნით, გარეგნობით და სიღარბისლით, ჭეშ-მარიტი აღმზრდელები“ და სოფლის „მთელი მოსახლეობის ნამდვილი წინამძღოლები“ იყვნენ. მათ, მოკლე დროში, შემოიკრიბეს მოზარდილი ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი ქალები, „ჩააბეს ისინი საღამოს სკოლებში ყოველგვარი სასყიდლის გარეშე“, რი-თაც „მოსახლეობაში კულტურის ჩირაღდნებად“ გადაიქცნენ.⁷

თ. დარეჯანაშვილი ასე აღწერს თავის მუშაობას: „სკოლაში 48 ქალი მყავს. მათში 16-17 წლიანები კი არიან. ერთი გათხოვილიც მყავს. ამათ ძლივს იტევს ჩემი კლასი და ახლა ყოველდღე უთარებელი დედაკაცი მოდის, დასხდებიან კლასში იატაკზე და ყურს მივდებენ. ვერაფრით ვერ ეტყვი, წადიო. ახლა უნდა ნახოთ რა ამბავი აქვთ, თუ

გათმა შვილმა ვერ მიბასტხა კარგად. მაგალითად, ვკითხე: ასიე 7 და 3 რამდენია? და თუ ბავშვმა ვერ გამოგო, დედა არც აცხელებს და არც აციებს და დასწყევლებს: ცაც, რას გაბეჩდი, ვერ ყურობ, რას ჩივთ მასტალებელი, 10-თქვა ცაც, ათი. ბავშვიც იმეორებს — 10. თან სასაცილოა, მაგრამ არ ვიცი რომელი დავაწყნარო ხოლმე, ბავშვები თუ დედები“.⁸

ასე იყო დილით, საღამომით კი მასწავლებლები უკვე მოზრდილებთან მეცადინეობდნენ. თვით თამარ დარეჯანაშვილი იგონებს: „საღამომით 7 საათიდან 11 საათამდის დიდებს ვასწავლით. გვყავს 50 კაცი, ასე 20-40 წლამდის. ვასწავლით წერა-კითხვას, ვუკითხავთ გაზეთებს, წიგნებს, ყველაფერი მეტად ეინტერესებათ, ადვილად ითვისებენ და არ ეზარებათ. ეზარებათ კი არა, ერთ წუთს არ გააცდენენ, დანიშნულ დროს მორბიან ყანიდან“.⁹

ასეთი დატვირთულობის მიუხედავად, მასწავლებლები მაინც ხალისით მუშაობდნენ და არაფერს იშურებდნენ მოზარდი თუ უფროსი თაობის სწავლა-აზრდისათვის. თამარ დარეჯანაშვილი აღნიშნავდა: „რომ იცოდეთ რა ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რა ბედნიერებით მაქვს გული აღვსილი, რომ ვმუშაობ ხალხში, რომ თუ ბევრს არა, ცოტა რამეს მაინც ვაკეთებ. დიდიდან საღამომდის მოსვენება არა გვაქვს: სწავლის გარდა უფარებელი ხალხი მოდის, ზოგს რა უნდა და ზოგს რა: ეს თხოვნაო, ეს გამოჭრაო, ეს ახსნაო, ეს გაზეთის წაკითხვაო, ეს წამალიო და სხვადასხვა“.¹⁰

ცხადია ასეთმა თავდადებულმა შრომამ მოუტანა ბაბო ბრეგვაძეს და თამარ დარეჯანაშვილს საყოველთაო აღიარება და ხელუბნელთა გულწრფელი სიყვარული.

გამორჩეულად უნდა ითქვას თვით სკოლის გამგის შესახებ. არსენ წითლიძე იყო ღიად ერუდირებული და გონიერი, საოცრად ტაქტიანი, უაღრესად მზრუნველი და კულისხმირი პედაგოგი, ხალხის მოამავე და სოფლის ქვეშაირი მოჭირანხელე. სულე-მან კაიკაციშვილის სიტყვით, ა. წითლიძე კარგა ხანს იყო ხელუბნანში და სოფელთა ერმა პატივისცემა დაიმსახურა. არა თუ ნაცნობები ან მოწაფეები, არამედ შემდეგ და-ადებულნიც კი ტბილად და დიდი სასოებით იგონებდნენ მის სახელს. ამავე დროს . წითლიძის ოჯახი ხელუბნანში კულტურის პროპაგანდის თავისებური კერაც იყო. სტუ-არტმოყვარე დიასახლისის პელო ლოლუას¹¹ წყალობით (იგი კი გიტარის ჩინებული აამკრელი იყო) „ყოველ საღამოს მოზრდილთა შორის მეცადინეობა სიმღერითა და ვეკვით მთავრდებოდა“.¹²

1916 წლის სექტემბერში ხელუბნის სკოლა გადაკეთდა სამეურნეო სკოლად, რომელთანაც მოეწყო პანსიონი 20 მოსწავლისათვის. მისი გამგეობა ისევ არ. წითლიძეს დაევალა. „სკოლის მიზანს შეადგენდა დაბალი აგრონომიული განათლების გაკრცელება ქობულეთისა და მთელს აჭარაში. ამიტომ აღნიშნულ სკოლაში მოწაფეები უნდა მიეღოთ არა მარტო ქობულეთიდან, არამედ აჭარის სხვა კუთხეებიდანაც.“ შეცვლილი პროფილის შესაბამისად საექველმოქმედო საზოგადოების. მთავარმა გამგეობამ სკოლას დამატე-ბით გამოუყო 4 ათასი მანეთი, აგრეთვე შეაძენინა „სამნახევარი დესეტინა კარგი მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაიწყო მუშაობა ყველა სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგის მოსაწყობად“.¹³

სამწუხაროდ, სკოლას აღარ დასცალდა მუშაობის შემდგომი გაშლა. 1918 წლის აბ-რილში თურქეთმა ოკუპაცია უყო აჭარას. პედაგოგიური პერსონალი იძულებული გახდა დროებით დაეხურა სკოლა. მეშვე კაიკაციშვილი იგონებს ამ სამწუხარო ფაქტს: „ერთ დღეს, როცა სკოლაში სამეცადინოდ მივედი, მასწავლებლები ისე გულლიად და შუბლ-განხნილად აღარ დაგვხედდნენ, როგორც წინათ... გასუსული ვისხედით და არსენსა და ბაბოს შევსცქეროდით. მასწავლებელი მაგიდაზე უერნალს დასცქეროდა, ხოლო არსენი უსიტყვოდ ჩვენ. კარგა ხნის დუმლის შემდეგ ნაღვლიანი ხმით გვითხრა:

— საყვარელო ბავშვებო, წიგნები ხომ ყველას გაქვთ?

— კი, ვუბასუხეთ ჩვენ და შრიალთი მერხზე დავალაგეთ.

— კარგი, ძალიან კარგი. ჩვენ დროებით სწავლას შევწყვეტთ, თქვა და ატრემლე ბული თვალები ცხვირსახოცით ამოიწმინდა. ამის დანახვაზე ბაბო მასწავლებელს ცრემლი წასცდა და სახე კედლისკენ მიაბრუნა.

— თქვენ წიგნები ყოველდღე იკითხეთ. როცა ბოლომდე წაიკითხავთ, კვლავ თავიდან დაიწყეთ და კვლავ წაიკითხეთ. ჩვენ სწავლას დროებით შევწყვეტთ, რადგან ასხვა სახელმწიფო შემოდის. იგი გავა თუ არა, ჩვენ კვლავ განვაგრძობთ სწავლას. ხომ იკითხავთ წიგნებს? — კვლავ ხალვლიანად შეგვეკითხა.

— ვიკითხავთ, აუცილებლად ვიკითხავთ, — ვუბასუხეთ ჩვენ.

— აბა ახლა აღეჩით და წადით თქვენ-თქვენ სახლებში. ამ სიტყვებით გამოგვიშვა... ჩვენც დავეშვით ქვევით. ცოტა ხანში მთელი ეზო დაცარიელდა და ვხედავდით წითლიძე და მასწავლებლები რა ხალვლიანი სახით შემოგვჩერებოდნენ ჩვენ. მივდიოდით და გული გვწყდებოდა საყვარელი მასწავლებლის დატოვებაზე.¹⁴

საბედნიეროდ, გადამთიელის პარბაში დიდხანს არ გაგრძელებულა. აქარიდან უცხოელთა განდევნისთანავე ხუცუბნის სკოლამ ისევ განაახლა მუშაობა. ასე რომ, ერისა და ქვეყნის მომავალს კვლავ მიეცა მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა.

შ ე ნ ი შ ზ ნ ე ბ ი

1 გრ. ბაბილოძე, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი, 1975, გვ. 25.

2 იქვე, გვ. 31.

3. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 7.4.1958 (პ. აბაშიძის მოგონება).

4 გაზ. „საქართველო“, № 55, 1916.

5. გრ. ბაბილოძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 37.

6 გაზ. „საქართველო“, № 73, 1916.

7 მოგონება ინახება ჩვენთან.

8 გაზ. „საქართველო“, № 74, 1916.

9 იქვე.

10 იქვე.

11. ცნობილი პედაგოგის მარო ლოლუას და.

12 ს. კაიკატიშვილის მოგონებიდან.

13 გრ. ბაბილოძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 49.

14 ს. კაიკატიშვილის მოგონებიდან.



ფოთა ჟურნალი

შეიცან თავი შენი,

ანუ დათა თუთაშხია როგორც ხასიათი

წერილი პირველი

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ ერთბაშად გახდა ფრიად პოპულარული რომანი. ნაწარმოების უდავო მაღალი იდეურ-მხატვრულ ღირსებებთან ერთად ამას უთუოდ ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ მკითხველს დიდი ხანია სწყუროდა ე. წ. ძლიერ პიროვნებასთან შეხვედრა, ისეთ ადამიანთან, რომელიც ისე კი არ ცხოვრობს, როგორც ათასობით სხვა, არამედ რაღაც განსაკუთრებული თვისებებით, ცხოვრების თავისებური, განსხვავებული მანერით გამოირჩევა, აქვს მიზანი და მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ძალ-ღონეს მის რეალიზაციას ახმარს. ეს გარემოება გამოარჩევს მას მასისაგან და ბევრისათვის სათაყვანებელ პირად აქცევს, რომანში არის საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული დეტექტივის ელემენტებიც, რამაც ისეთი მკითხველებიც მიიზიდა, რომლებიც საერთოდ არ იჩენენ ინტერესს მხატვრული ნაწარმოებებისადმი ან უპირატესად სათავგადასვლო-ფანტასტიკურ ლიტერატურას ეტანებიან. ასე რომ, „დათა თუთაშხია“ გახდა სულ სხვადასხვა მისწრაფების მკითხველთა საყვარელი საკითხავი წიგნი.

მე მხედველობაში მყავს არა მარტო ქართველი მკითხველი. როგორც იცით, „დათა თუთაშხია“ რუსულადაც ითარგმნა და არაჩვეულებრივი წარმატებაც ხვდა. სხვათა შორის, რომანი რუსულ ენაზე თვით ჭაბუა ამირეჯიბმა თარგმნა, რაც ძლიერ იშვიათი, უნიკალური მოვლენაა. ეს გარემოება უტრნალისტ ე. სერგეევასთან საუბარში მან ორი ფაქტორით ახსნა. მწერლის სიტყვით, თუ თარგმნის წიგნს წარმატება ხვდა, მთარგმნელი ტრიახობს, რომ ეს მისი დამსახურებაა, ხოლო თუ პირიქით მოხდა და წიგნი გააფუჭა, ყველაფერს ავტორს აბრალებს. „პატივმოყვარე არა ვარ, — განაცხადა ჭაბუა ამირეჯიბმა ამის თაობაზე, — და არც მიჩვეული ვარ სხვას გადავაბრალო დანაშაული. ამიტომ არ მინდოდა ვინმესთვის გამეყო არც წარმატება, თუ კი ის მოვიდოდა, და არც წარუმატებლობა, თუ კი ეს მოხდებოდა!“ მეორე ფაქტორი ის იყო, რომ ძლიერ უნდოდა შეენარჩუნებინა რომანის ენის როგორც სიტყვიერი, ისე დიალექტური პრინციპები, მაგრამ ეს გაცილებით ძნელი საქმე აღმოჩნდა, თუმცა მწერალმა ბრწყინვალედ იცის რუსული ენა, არანაკლებ, ვიდრე მშობლიური ქართული. „ვიმედოვნებდი, მოვახერხებდი ქართული ენის თავისებურების ნაწილობრივ შენარჩუნებას, — განმარტავს ჭაბუა ამირეჯიბი და განაგრძობს: — ვთვლი, რომ ეს მთლიანად ვერ შეეძლო. ხმამაღლა ვაღიარებ: ჩემი რომანი გაცილებით არასრული იქნებოდა, რომ არ დამხმარებოდა ჟურნალ „ნოვი მირის“ თანამშრომელი, შესანიშნავი რედაქტორი იწა ბორისოვა“.

მილიონობით ადამიანი გაეცნო დათა თუთაშხიას მას შემდეგ, რაც ცენტრალური ტელევიზიით უჩვენეს რომანის მიხედვით გადაღებული ტელესერიალი „ნაპირები“. მისი


სცენარიც ჰაბუა ამირეჯიბმა დაწერა. კინოფილმსაც დიდზე დიდი წარმატება სცდა და გადამღებ ჯგუფს, მათ შორის სცენარის ავტორს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მწერალმა მადლიერ მაყურებელთა ათასობით წერილი მიიღო. ერთი სიტყვით, „დათა თუთაშხიამ“ შორს გაუთქვა სახელი ქართულ ლიტერატურასა და კინოს, უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა და ღრმა კვალი დატოვა ხალხის შეგნებაში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „დათა თუთაშხია“ უღრესად დროული მხატვრული ნაწარმოებები აღმოჩნდა, ხოლო მასში აღძრული პრობლემები ასევე უღრესად საჭირობოროტო, რომელთა გადაწყვეტაზე ბევრად იყო დამოკიდებული ერის არა მარტო აწმყო, არამედ მომავალიც. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ჰაბუა ამირეჯიბს თანამედროვეობა კი არა, არცთუ ისე შორეული წარსული აინტერესებდა და ისტორიული რომანი შემოგვთავაზა, მაგრამ განა ისტორიული ეთქმის მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიც არ არის არც ერთი რეალური ისტორიული მოვლენა, არც ერთი რეალური ისტორიული პირი? ისტორია „დათა თუთაშხიაში“ მხოლოდ ფონია, რომელიც საშუალებას აძლევს მწერალს აღძრას თანამედროვეობის პრობლემები, მთელ საზოგადოებას და მთელ ერს რომ ადევლებს. თავის რომანს ისტორიულ ნაწარმოებად არ თვლის არც ავტორი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან საესეებით გარკვეულად თქვა: „თუ მწერალი თანამედროვე პრობლემის გადასაწყვეტად ისტორიულ ფონს იყენებს, ასეთი ნაწარმოები არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ რომანად“.

მწერლის ეს განცხადება იმასაც ადასტურებს, რომ მან შეგნებულად გამოიყენა ისტორიული ფონი იმ ტკივილებისა და პრობლემების წარმოსაჩენად, რომლებიც გაჩნდნენ აწმყოში, 60-იანი წლების მიწურულს, როცა რომანი იწერებოდა. სწორედ ამ პერიოდში თავი იჩინა ნეგატიურმა მოვლენებმა და თანდათან მოიკიდა ფეხი, შემდეგ კი ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა. განსაკუთრებით ძლიერი დევალაცია განიცადა ზნეობამ, ანუ როგორც რომანის პირველი წიგნის მეორე კარისათვის წამძღვარებულ „მეთოთხმეტე საუკუნის ხელნაწერშია“ ნათქვამი, „კნინ იქმნა ზნეობა“. ფაქტი გახდა მორალური პრინციპების, ადამიანის სულიერ ღირებულებათა გადაფასება. მომრავლდნენ ადამიანები, რომლებმაც ქცევის, მორალის ნორმად აქციეს მოხვეჭა, ჭონებრივი გამდიდრება, სულერტია, რა გზით და რა საშუალებებით, და სხვებთან ურთიერთობა წარმართეს დევიზით, რომელიც იმავე „ხელნაწერში“ ასეა ჩამოყალიბებული: „ვიეთთავან მივიღო ჩემდა რგებად ნივთიერი, იგი იყვნენ მოყვასნი ჩემნი“.

რა თქმა უნდა, ზნეობრივთან ერთად „დათა თუთაშხიაში“ ავტორი სხვა პრობლემებსაც აღძრავს, მაგრამ ისინი ასე თუ ისე მორალს უკავშირდებიან და, ამდენად, მთავარი, განმსაზღვრელი და წამყვანი მაინც ზნეობაა, იმ თავსატეხი საკითხის გარკვევა, თუ რისთვის ვცოცხლობთ, რა არის ჭეშმარიტად ადამიანური, ღირს თუ არა, ე. ი. დადებითს შედეგს მოგვცემს თუ არა სხვათა საქმეში ჩარევა, გამართლებულია თუ არა თუნდაც უმაღლესი სიკეთის სახელით ბოროტების ძალით დათრგუნვა და ა. შ. შემთხვევითი როდია, რომ რომანის ერთ-ერთი გმირი გულწრფელად აღიარებს, ჩვენი უბედურება ის არისო, რომ „არ ვიცით, რისთვის ვიცოცხლოთ და ან რისთვის დავიხოცოთ“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, რომანის, მისი ავტორის მთავარი ამოცანაა განსაზღვროს ადამიანის როლი და დანიშნულება ამქვეყნად, გაარკვიოს ადამიანის რაობა, მისი ცხოვრების მიზანი. ეს ისეთი კითხვებია, რომელთა პასუხი ერთი შეხედვით თითქოს ძალზე ადვილია. ნამდვილად კი ვინ იცის, რამდენი საუკუნეა აწუხებს კაცობრიობას, შეიძლება გაჩენის დღიდანვე. ამ კითხვების პასუხს ეძებდნენ სოკრატე და ანტიკური სამყაროს სხვა გამოჩენილი მოაზროვნეები, ჩინელი მეცნიერი კონფუცი, გერმანელი ფილოსოფოსები კანტი, ფიხტე და ჰეგელი, წარსულისა და ჩვენი დროის ბევრი სხვა ეთიკურ პრობლემათა მკვლევარი, აგრეთვე თეოლოგები — რელიგიათა იდეოლოგები.



უპირველეს ყოვლისა, საკითხავია: ზნეობა, ზნეობრივი თვისებები ადამიანს დაუბრუნდება თუ არა დაჰყვება, თუ გარემოს, ცხოვრების პირობების ზეგავლენით უმუშევრობა და უკეთარღება. ზოგი ფიქრობს, რომ გარემო, ცხოვრების პირობები აქ ათავსებს შუა-შია, რადგან კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე ისინი მკვეთრად იცვლებოდა, ადამიანი, მისი ზნეობა კი თითქმის არ იცვლებოდა, ან სულაც უცვლელი რჩებოდა. დიდი რუსი მწერალი თ. დოსტოვესკი ამბობდა, რომ ბოროტება თვით ადამიანის სულშია ჩაბუდებული. ამ აზრისაა რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, დათა თუთაშხიას ზნეობრივი ანტიპოდი, მისი მამიდაშვილი მუშნი ზარანდაც. იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოების მატერიალური პროგრესის, დიად სოციალურ გარდატეხათა და სხვა ფაქტორების შედეგად „ადამიანები, ვთქვათ, კავით აღარ იჩიქნებოდნენ მიწაში და რკინის გუთნით ხვნას იწყებდნენ, ტყავებით აღარ იფარავდნენ სარცხენებს და სე-ლის თუ მაულის სამოსლის ხმარებზე გადადიოდნენ, კერპებს აღარ ეთაყვანებოდნენ და ლამაზად დახატულ ხატებზე ლოცულობდნენ, მაგრამ მსოფლიო საკაცობრიო სევდასა და უბედურებას, განსაცდელსა და ვარამს, დაუცმაყოფილებლობასა და გაუმაძღრობას იგივე ნიშანი ახლდა, როგორც კავის, ბარის, ქვის იარაღისა თუ კბილ-ბრწყალების ხანაში. იც-ვლებოდა ყველაფერი, გარდა სულიერი წყურვილისა, ანუ თვითონ ადამიანისა“.

ამ დებულებას ფართო გასაქანი აქვს დღესაც. მას თავგამოდებით იცავენ ბურ-ჟუაზიის იდეოლოგები და გადაჭრით უარყოფენ კაცობრიობის მორალურ პროგრესს. ერთი შეხედვით, ასეთ მოსაზრებას აქვს საფუძველი, მასში თითქმის გამოსჭვივს ჭეშ-მარიტება. ხომ ფაქტია, რომ ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერაც არ განთავისუ-ფლებულა ზნეობრივ მანკიერებათაგან, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ დიდი ოქ-ტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე სოციალური კატაკლიზმების შედეგად ერთი ექსპლოატატორული საზოგადოება იცვლებოდა მეორეთი, ე. ი. ექსპლოატატორი ექს-პლოატატორად, ხოლო ექსპლოატირებული ექსპლოატირებულად რჩებოდა, რაც, თა-ვისთავად, ცხადია, გამოირიცხავდა ზნეობრივ მანკიერებათა დამლევას. მაგრამ ეს სრუ-ლებითაც იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების სოციალური განვითარების მიუხედავად, მორალი უცვლელი რჩებოდა, ადამიანი ზნეობრივად უფრო სრულყოფილი არ ხდებოდა. საზოგადოების წინსვლა, მისი გადარსება ერთი საუხეშურიდან მეორეზე, უფრო მაღალ საფეხურზე, მოასწავებდა სოციალურ ურთიერთობათა სულ უფრო მზარდ პუნიანობას, ადამიანს ეძლეოდა დადებითი ზნეობრივი არჩევანის მეტად შესაძლებლობა, ძლიერ-დებოდა მორალის შემცენებითი როლი და ა. შ. აქ რომ, ზნეობრივი განვითარების ყოველი მომდევნო საფეხური უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა საფეხური და სწორედ ეს განაპირობებდა კაცობრიობის ზნეობრივ პროგრესს.

რაც შეეხება მტკიცებას, რომ ადამიანის ზნეობას განაწილდრავს მისი ბიოფიზიო-ლოგიური მონაცემები, რომ ბოროტება თვით ადამიანის სულშია ჩაბუდებული, ეს სიც-რუეა, მას არავითარი საფუძველი არა აქვს. „ჩვენთვის, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — არ არსებობს ზნეობა, აღებული ადამიანთა საზოგადოების გარეშე, ეს მოტყუებაა“. და, მართლაც, როგორ შეიძლება ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობდეს და მის გავლენას არ განიცდიდეს. მას ხომ მრავალმხრივი ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან, მათთან ერთად მონაწილეობს მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებათა წარმოების პროცესშიც და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაშიც. რობინზონები არ არსებობენ. ადამიანს შეუძლია შექმნას და იარსებოს მხოლოდ საზოგადოებაში. ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა, რომ ის, ვინც არ საჭიროებს ადამიანთა საზოგადოებას, ადამიანი კი არ არის, ან ცხოველია, ან ღმერთი.

მით უფრო პარადოქსად ჩანს, რომ ჭაბუა ამირჯიბის რომანის მთავარი გმირი დათა თუთაშხია, რომელსაც აწევს ნაწარმოების ძირითადი იდეური ტვირთი, აზრავია,

საზოგადოებისაგან განდგომილი. აბრაგობა საქართველოში უცხო ხილი არასოდეს ყოფი-
ლა და იგი მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. საქმარისია დავასახელეთ, რა ვთქვათ
ვაძის „კაკო ყაჩაღი“, ლალიონის „ფირალი დავლაძე“, ეგნატე ნინოშვილი, სიმონი
ხალხური „არსენა“ და სხვ. ტყეში გაჭრილ ოჯახსა და საზოგადოებას მოწყვეტილ აბ-
რაგებს სხვადასხვა მისწრაფება, საზრუნავი ჰქონდათ. დათა თუთაშხია მათგან, უბირ-
ველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ მოაზროვნე კაცია, უყვარს განსჯა, ანალიზი.
იგი მტკიცედ მისდევს თავისი გამზრდელის თამარ ზარანდიას შეგონებას: „სანამ იტყო-
დე რამეს, სანამ გადადგამდე ნაბიჯს — იფიქრე, თუ გამოადგება ის ერს, მამულს, მოყ-
ვას“. ასე რომ მოიქცე, ყოველი ფაქტი, მოვლენა გულდასმით უნდა გაჩხრიკო, გააან-
ალიზო, ასწონ-დასწონო და მხოლოდ შემდეგ დასდო მსჯავრი. ეს ადვილი საქმე არ
არის, ამიტომაც ასე ხშირად ვხედავთ ჩაფიქრებულ დათას, დაუინებით რომ ეძებს სწორ
გადაწყვეტილებას. „თვითონ არ ვიცი, სიმართლე რაშია და სადაა. ფიქრი და გამოცდი-
ლება სჭირდება ამას“, ამბობს ხოლმე იგი ასეთ შემთხვევაში.

მოვლენა, ფაქტი, ე. ი. სხვათა საქციელი რომ სწორად შეაფასო და მსჯავრი დას-
დო, უბირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა შეიცნო, ანუ, როგორც დიდი ილია
ბრძანებდა, უნდა „კაცმა თვალი შიგნით ჩაიბრუნოს და თავის გულში დაიწყოს იმის
პასუხის ძებნა, თუ რისთვისა ვარ? რა ვამიკეთებია? რით მომიგონოს ჩემმა შემდეგ-
მა?“ ეს აუცილებელია არა მარტო საკუთარი თავის შესაცნობად, არამედ იმიტომაც,
რომ იცოდნენ, გაქვს თუ არა უფლება სხვათა საქმეში ჩაერო, თუნდაც უმაღლესი სიყე-
თის სახელით და ბოროტების დასაბრუნად. შეგიძლია თუ არა, მევანის საქციელი სწო-
რად შეაფასო და განსაჯო, იკისრო განმკითხველის როლი, რასაც ხშირად მოითხოვს ჩვე-
ნი ყოველდღიური ცხოვრება. „რაკი აღამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ
იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, — წერდა ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე, — რაკი
ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითოეულს ჩვენგანს — გვინდა თუ არა — სხვის გამ-
კითხველად ჰქდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება,
აქედამ ცხადია — რა დიდძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას
კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი
თავისი-თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს და სწორედ აქ არის სათავეც ყოვე-
ლის უბედურობისა, იმიტომ რომ მაშინ მართალი აღარ ჰქრიალებს საზოგადოებაში და
ყოველივე უბედურობა ზომ უმართლობისაგან არის წარმომდგარი“.

თქმა არ უნდა, ყველაზე ძნელი ამქვეყნად საკუთარი თავის სწორად შეცნობა და
ზნეობრივი სრულყოფისათვის მასთან ჰიდილია, იგი დიდ სულიერ ძალასა და მტკიცე
ნებისყოფას მოითხოვს, რადგან ადვილი როდია ისე იცხოვრო, როგორც ნამდვილ ადამიანს
შეეფერება, არავითარ შემთხვევაში არ აპყვე რაიმე ცდუნებას, არ იყო უსამართ-
ლო და მით უფრო — ბოროტი, საბედნიეროდ, დათა თუთაშხიას აღმოაჩნდა ეს თვის-
ებები და მიაღწია ზნეობრივ უმწიკველობას. სავსებით მართალი იყო მუშნი ზარანდია,
როცა თავის შეფს გრაფ სეგედის უთხრა: „მე ვიცი, რომ სრულქმნილი ადამიანი არ არ-
სებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ახლოს
არიან“.

თუ ზნემაღალი ხარ. არ სჩადიხარ ბოროტებას, არ აკეთებ ავ საქმეს, თითქოსდა
მეტი რაღაა საჭირო, რომ თავი ნამდვილ ადამიანად ჩათვალო? მაგრამ ასე არ ფიქრობდა
დათა თუთაშხია. მას მიაჩნდა, რომ სრულებითაც არ კმარა თვითონ იყო უცოდველი,
კეთილი და სათნო. „ყველაზე კარგი ის კაცი კი არ არის, ვინც მოქმედებს სათნოების
შესაბამისად თავისთავისთვის, არამედ ის, ვინც ასე იქცევა სხვებისთვისაც, ეს კი ძნელი
საქმეა“, ამბობდა არისტოტელე და სწორედ ამ ძნელ საქმეს შეეჭიდა დათა თუთაშხია.
მას სწამდა, რომ კაცური კაცი მაშინ გეტქმის, თუ ბოროტებას გზას უღობავ, სიხარბესა

და შურს, სხვა ზნეობრივ მანკიერებას ებრძვი. თითოეულის უბრალო ადამიანური მოვალეობაა ხელი გაუწოდოს ჭირში ჩავარდნილს, უსამართლოდ დაჩაგრულს, მაშასადამე, მთავარია მადლი ქმნა, იცოდე, რომ ბედნიერი ვერ იქნები, თუ სხვები უბედურია და სხვათა ბედნიერებასა და სიხარულში ეძიებდე და პოებდე პირად ბედნიერებასა და სიხარულს. ერთი სიტყვით, დათა თუთაშხიას თამამად შეეძლო გაემეორებინა დიდი აკაკის სიტყვები: „ყველასათვის კარგი მსურს, ბოროტების მტერი ვარ“.

სრულიად აშკარაა, რომ დათა თუთაშხიას ზნეობრივი პოზიცია ემთხვევა ყველა წესიერი, ღირსეული ადამიანის გულისტემას. იგი ეფუძნება სხვა ადამიანების, მთელი საზოგადოების წინაშე ზნეობრივი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. „იყო ადამიანი, — შენიშნავდა ფრანგი მწერალი ეკზიუპერი, — ნიშნავს, გრძნობდე პასუხისმგებლობას“. ეს იმიტომ, რომ გარკვეულ სიტუაციაში ადამიანი თვითონ ახდენს ზნეობრივ არჩევანს, თვითონ არის მოქმედების სუბიექტი და, მაშასადამე, თავისი ქცევით, ვისაც უშუალო პასუხისმგებელი. და როცა პასუხისმგებლობა (ან მისი მორალური ანტიპოდი გულგრილობა) ფეხს იკიდებს ადამიანის ცნობიერებაში, იგი ხდება მისი ხასიათის ნიშან-თვისება. აი რატომ იყო, რომ დათა თუთაშხიას არ შეეძლო ხელი არ გაეწოდებინა ჭირში მყოფისათვის, გულგრილად გვერდი აევლო უსამართლობისა და ბოროტებისათვის. „დათა თუთაშხია ისეთი კაცი იყო, უმსგავსობას ვერ მოითმენდა, ჩაერეოდა უსათუოდ, — ასე დახასიათა იგი ერთ-ერთმა ნაცნობმა და საესეებით სწორადაც.

მაგრამ ცხოვრება რთულია, მიხვეულ-მოხვეული, უსწორმასწორო და დათა თუთაშხიას მწარე გაკვეთილი ავება. ხელისუფლებისაგან დევნილს ყუბანის ტყეში რომ მოუხდა ზღისტებთან ურთიერთობა, მან თავისი ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად ხელი გაუმართა არაფრისმქონე ნასაღდათარ ბუღარას და მის მეუღლეს ბუღარისას. სოფელს თითქმის უნდა გახარებოდა, რომ კიდევ ერთი შეძლებული ოჯახი შეემატებოდა, პირიქით კი მოხდა. დათა გააოცა ზღისტების საქციელმა, შურმა და სიხარბემ. „ასეთი უგუნური და ბოროტი ხალხი თუ გინახავს სადმე! — უთხრა მან თიყვას, ვისთანაც ერთად მოუშობდა ყუბანის ტყეში, — რამდენი მეტი მდიდარი მეზობელი ეყოლებათ, უკეთესი არ არის მაგათთვის: თუ? გაგიჭირდება რამე, მიხვალ შეძლებულ მეზობელთან, დაგეხმარება და გაგიმართავს ხელს“.

ცდებოდა თურმე დათა და მერე როგორ! სანამ არაფერი ებადათ, ბუღარა და ბუღარისა სხვას უყოფდნენ ლუკმას. სული რომ მოითქვეს, გამოძნენ და გაძლიდნენ, ბუღარა წეკოს არ მოაწევინებდა არავის, ბუღარისა კი მშობელ დედას არ მისცემდა კვერცხს ორ შატრზე ნაკლებ. რა მართალი ყოფილა დიდი ფრანგი მწერალი ბალზაკი, როცა განაცხადა, სიძუნწე იქ იწყება, სადაც სიღარიბე მთავრდება. შურიც იქვე იღებს თურმე სათავეს. აქი თიყვა ზღისტების დახასიათებისას სწორედ ამ ფაქტს გაუსვა ხაზი: „ლაქმული ყავდათ ერთმანეთი, შურით აღარ იყო არც ერთი. ლატაკი რომ გამდიდრდება, ასე იცის“.

და რა გასაკვირია, თუ დათამ ვერ გაძლო ამ ხალხში. იგი მტკივნეულად განიცდიდა, რომ მისმა ალტრუიზმმა სასტიკი მარცხი განიცადა. „არ გამოვიდა სიკეთე ბუღარების ხელიდან“, — გულისტკივლით უთხრა თიყვას გამომშვიდობებისას და სტანიცაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მის ზნეობრივ პრინციპს ახალი მძიმე გამოცდა ელოდა. სულ მალე გამოირკვა, რომ ანგელოსები არც აქ ცხოვრობდნენ და დათას კვლავ მოუხდა სხვათა საქმეში ჩარევა — ყალთაბანდობაში ამხილა ჯერ სელიმა, მერე მარუდა, რომელიც ამტკიცებდა, „ქვეყანაზე ყველა ერთმანეთს ატყუებს“. განაწყენებულმა სელიმამ დათას საქციელი ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით ანახა, „ჩემისთანები ბევრია, — უთხრა მან დათას, — ჩემისთანებისა მთელი ჩვენი ქვეყანა. შენი ხნისა მეც შენისთანა, იქნებ, ცოტა უარესი, ვიყავი. დრომ გაიარა, ქვეყნის გასწორებაზე ხელი ავიღე“.

მერე, როცა დათა აიძულეს ამ სტანიციდანაც აბარებულყო, სეღიმამ შეაჩერა და სთქვა მას: „ეს ქვეყანა უკვე გასწორა. ახლა სხვა ქვეყნის გასასწორებლად შენაა მოწოდებული“.

სეღიმას ამ დაცინვას, სამწუხაროდ, რეალური საფუძველი ჰქონდა. სხვათა საქმეში ჩარევით დათა თუთაშხიამ მიზანს აქაც ვერ მიაღწია, სიკეთეს ვერ გაამარჯვებინა, პირიქით, საწინააღმდეგო შედეგი მიიღო, „არ გამოვიდა ჩემი მოქმედებიდან არაფერი“, თავად აღიარა დათამ. ახალმა მარცხმა, ნახულმა და განცდილმა, ბუნებრივია, დააქეპა იგი, ბზარი გაუჩინა მის ზნეობრივ პოზიციას. იქნებ ისე არ ცხოვრობს, როგორც საჭიროა, იქნებ მართალი იყო ერთი ქართველი, რომელმაც არ მოუწონა დათას საქციელი, სხვის საქმეში ჩარევა, „კაცმა რომ იფიქროს, რა მაგის საქმეა, ატყუებს თუ რას აკეთებსო“. დათას ეს რებელია არ მოუხმენია, მაგრამ თავისი საქციელი და მისი შედეგები რომ გაანალიზა, დაახლოებით ამავე დასკვნამდე მივიდა: „წაიკითხე მამკეს ბევრგან და კიდევ ენახე ზოგიერთი კაცები, ასე რომ ამბობენ: ვინმეს გასაჭირს ან ცუდ საქციელს თუ დაინახავ, გულმა როგორც გითხრას, ისე მოიქეცი და შენი საქციელი რასაც მოიტანს, მისი უკმაყოფილო ნუ იქნებო. შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ისიც საფიქრალია, რომ იქნებ არ ღირდეს ადამიანის მოდგმა წესიერი კაცის ზრუნვად და ქვეყნის არეულ-დარეულ საქმეებში ჩარევა. ვინ იცის?...“

„ვინ იცისო“, ჯერ კიდევ ექვობდა დათა, მაგრამ საირმეში დატრიალებულმა ამბებმა იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ არ ღირს სხვათა საქმეში ჩარევა. მისი მასპინძელი არქიფო-აბელი აღმოჩნდა ნამდვილი ტირანი, რომელსაც მორჩილ ჯოგად გადაუქცევია ადამიანები, ჩაუგონებია მათთვის ის აზრი, რომ ექსპლუატატორი კი არ არის, არამედ მათი მარჩენალი, მამა, დედა და ღმერთიც კი. ასეც ხდება — ჩვეულებრივი ტირანი სიკეთის განსახიერებად, მხსნელად და მზრუნველად მიაჩნიათ, ზოლო მისი მტრები — საკუთარ მტრებად და მზად არიან თავიც კი გასწირონ მისთვის. ბუნებრივია, დათა შეაძრწუნა საირმეში გამეფებულმა ვითარებამ, გულმა არ მოუთმინა და კვლავ ჩაერია სხვათა საქმეში — ამ დამონებული და უბედური ხალხის გამოფხაზლება, თვალის ახელა გადაწყვიტა. „რას შვრებით, ხალხო, რას გავხართ, თუ ხედავთ ამას! — მიმართა მან მუშებს. — ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ! რა გიყოთ და რას დავამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და, აგერ, ამ მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ? ვერ ხედავთ ამას?“ — ხალხი ჯერ გაინაბა, გაოცდა, ეს რა გაბედა ამ უცხო კაცმა, მამაძაღლი როგორ უწოდა ჩვენს მარჩენალსო, შემდეგ კი ეცნენ დათასა და მის მეგობარს მოსე ზამთარაძეს და ისე დაბეგვეს, ისე დალევწეს, ცხენებზე ძლივს აფორთხდნენ, იქაურობას რომ გასცლოდნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ სხვა რაღა დარჩენოდა დათა თუთაშხიას, თუ არა, გადაეფასებინა თავისი ზნეობრივი პოზიცია, უარი ეთქვა სხვის საქმეში ჩარევაზე. „მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, მოსე ბატონო, — უთხრა თავის მეგობარს დათამ, — ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს, და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა შეუშალოს ხელი. შენ გატანჯული გგონია და მას უხარია და მოსწონს, თურმე, თავისი დღე და ხვედრი. ჩემი ბრალაა ყველაფერი. იქ რომ მითხარი, უნდა, ალბათ, მაგ ხალხს ყმობა და მონობაო, მასე ყოფილა მართლაც. აგერ შენ, აგერ მე და იქ, მაღლა ღმერთი — ფიცი დამიდვია, აღაო ჩვევრევი აღარავის საქმეში, სანამდე არ დავრწმუნდები, ჩარევა ჯობს თუ ჩაურევლობა. მგონია, არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევის და დახმარების ღირსი რომ იყოს“.

ხედავთ, სანამდე მიიყვანა დათა თუთაშხია იმ ადამიანთა უზნეობამ, რომლებსაც მხარში ამოუდგა, ხელი ააღებინა, თუნდაც ღრობებით, უბრალო ადამიანურ მოვალეობაზე — დახმარებოდა ჭირში მყოფს, დაეცვა სამართლიანობა, შებრძოლებოდა ბოროტებას. უკვე მურმან თორიას ლაზარეთში, სადაც ნაცემ-ნაბეგვი თავის მეგობარ მოსე ზამ-

უთარაძესთან ერთად მკურნალობდა, იგი „ნეიტრალურ“ პოზიციას დაიღვა. ამ ლაზარეთში მესულ ოთხი ავადმყოფი იწვა და, თიყვას არ იყოს, „დაცმული ყავდათ ენდახეთი“. და მათ ხედავდა ამას, მაგრამ ვანზე გადგომა ამჯობინა, „თავისით უნდა გაირკვეს და ჩადგას სესეს საქმე კალაპოტში“, განაცხადა და ასეც მოხდა. „მაინც შენ გამოდექი მართლმადიდებელი, უთხრა ამის გამო მოსე ზამთარაძემ მეგობარს, — თავისით ჩადგა წყალი კალაპოტში, ასე მუნდა მომხდარიყო და ასეც არის ეს“. დათა თითქოს უნდა გაეხარებინა ამ სიტყვებს, რვაგრამ სინანულით თქვა: „ასე რომ არის, ეგ სხვაა, მაგრამ ასე თუ უნდა იყოს, ეს არის გსაკითხავი, რომ დაქამეს ერთმანეთი და აღარც ერთი აღარაა ადამიანი მაგათში?“

რ „ასე თუ უნდა იყოსო“... ეს კითხვა თითქოს დათა თუთაშხიას მერყეობას მოწმობს, იმავრამ დურუ ძიკუას დუქანში მომხდარმა ტრაგედიამ ცხადყო, რომ დათა „ნეიტრალურ-ჩრდი“ პოზიციის ერთგული დარჩა. მის თვალწინ მზადდებოდა შემზარავი დანაშაული, მაგრამ არ ისურვა მისი აღკვეთა. „არაა ჩემი საქმე, — უპასუხა მან გიგო ტატიშვილს, ბრომელმაც უსაყვედურა, „ამ ბოროტებაზე რად გაჩუმებულხარო, ხომ ხედავთ ადამიანი სილუბება!“ — აღარაფერი არაა ჩემი საქმე, მე თუ არ მეხება, მე! ეგენი არც ერთი არაა ჩემი ჩარევის ღირსი!... მოვათვე ეგენი მე“. გული ვერ მოუბრუნა დათას ვერც ისე ბერმა, თუმცა უშიშარ აბრაგს ლაჩარი უწოდა და შეარცხინა. „ვინც ღმერთს განუდგა, ვინც კაცთათვის არ აღასრულა ის, რის აღსრულებაც ძალუძდა, ვინც ღვთის შვილს განსაცდელში ხელი არ გაუწოდა — იგი ლაჩარია, მან თავისი თავი მარტოობისათვის გასწირა. თუ შენ არ გინდა კაცნი, არც კაცთა უნდობარ შენ და ზევდრი შენი — მიმწყვდე-ული ნადირის ხვედრი არის“.

რა იცოდა ისე ბერმა, თუ ქრისტიანულ მორალს, რომელსაც იგი ქადაგებდა, და მის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას „ვიყვარდეს მოყვასი შენი“ დათა მასზე ნაკლებ არ იცნობდა, სცადა კიდევ მის შესაბამისად ეცხოვრა, მაგრამ სიკეთემ რომ სიკეთე არ შვა, პრინციპულად უარი თქვა მის აღსრულებაზე. ამიტომ იყო, ბერს კი მოუსმინა, მაგრამ მის სიტყვებზე მხოლოდ ჩაიციხა და გზა განაგრძო. თუმცა კარებთან რომ მივიდა და დურუს ბიჭის ძობას ვედრება მოესმა: „ნუ წახვალ, დათა-ბიძია, დავიდუბებითო“, დათა გაქვავდა. მიხვდა, უკან თუ მიიხედავდა და ბიჭის ცრემლიან თვალებს წააწყდებოდა, ცდუნებას ვერ გაუძლებდა, თავის ზნეობრივ პრინციპს უღალატებდა და სძლია შებრალების გრძნობას, უკან არ მიიხედა, რაღაც ჯიბრით, ზიზლით თქვა: „უნდა წავიდე აქედან მე“, და დუქნიდან გავიდა.

დურუს დუქანში დატრიალებულმა ტრაგედიამ დათა ღრმად ჩააფიქრა, საგონებელში ჩაადგო, დააბნია — ბოლოს და ბოლოს, როგორ უნდა მოიქცეს წესიერი კაცი, ჩაერიოს თუ არ ჩაერიოს სხვათა საქმეში, რა უნდა ქნას, თუ სიკეთე არც ერთს მოაქვს და არც მეორეს, სად არის სიმართლე, რას ნიშნავს კაცური კაცობა? ხომ უნდა იცოდეს, რისთვის ცოცხლობ, რა უნდა აკეთო, ხალხს რომ რითიმე არგო, უნაყოფოდ და უსარგებლოდ არ გალიო დღენი შენი? ერთი კი ამკარა გახდა დათასათვის — უთუოდ უნდა შეეცევა ცხოვრების ნირი, ახალი ცხოვრება დაეწყო თბილისში. „მორღუხა-ბატონო, — უთხრა მან თავის ძველ ნაცნობს, მოხუც ებრაელს, რომელსაც თბილისში საცხოვრებელ ფულს დაესესხა, — როგორ მოიქცეს კაცი, როცა აღარ იცის, რა ქნას და რა აკეთოს? რას მეტყვი შენ?“ მორღუხამ პასუხი არ დაუყოვნა: „მასეთი კაცებისათვის თქვენს სარწმუნოებას სხვაზე უკეთესი სამკურნალო აქვს -- მონასტერი!“ ამას სხვებიც ურჩევდნენ დათას, მაგრამ მას ხალხისაგან განდგომა და ბერის სენაქში ჩაკეტვა კი არ უნდოდა, არამედ აქტიურ მოღვაწეობას ესწრაფოდა, ცხოვრების მორევი იზიდავდა და არა ნაწრეტი, მაღალი ადამიანური მიზნები და იდეალები უხმობდა. უბრველეს ყოვლისა, სწორედ ამის გამო უარყო მორღუხანისა და სხვათა რჩევა დათამ. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ „კაი საქმის საკეთებლად ერისკაცობა ჯობს, ნამდვილია ეს“.

მაშასადამე, როგორც ვთქვით, დარჩა ერთადერთი გამოსავალი — ცხოვრების ჩირის შეცვლა. საამისოდ კი აუცილებელი იყო სხვაგან წასვლა, ეგებ ანაღ ადვილზე ეპოვა ასპარეზიც და საჩილდაო ქვაც. „ისეთი და იმდენი მოხდა ჩემს ახლომასლობაში, — უთხრა ბოლო ხანებშიც, რომ ვერ გამოვიტანე აზრი, რა ვქნა და როგორ ვიყო ძეგლი. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შემიძლია სხვაფრად. წავალ, გული უნდა გადავაციო რამეს, — უთხრა დათამ მორღუხაის, — სათქმელი რაც არის და რასაც ვეძებ, ის, იქნებ, მე რომ მინდა ვქნა, იმაშია სწორედ? ნახვა უნდა ამას“. დიახ, ნახვა უნდოდა ამას. თუ არ ეცოდინებოდა, რისთვის ეცოცხლა, რა ეკეთებინა და როგორ, არსებობასაც აზრი ეკარგებოდა. ისეთ ადამიანებს, როგორიც დათაა, „სხვაფრად“ არ შეუძლიათ.

შეიძლება ითქვას, ამით დამთავრდა დათა თუთაშხაის აბრაგობისა და ზნეობრივი ძიების, სიცოცხლის აზრის ძიების, მორალური თვითსრულყოფისათვის ზრუნვის ერთი მონაკვეთი. დაიწყო მეორე, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხანა მისი ცხოვრებისა, როცა ამ მაძიებელი ინტელექტუალური აბრაგის წინაშე დადგა ბნელი ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემები.

პ ე ლ ო ც ა ვ თ

შოთა ქურიძეს — ჩვენი ჟურნალის პირველ რედაქტორს, ცნობილ კრიტიკოსსა და ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს — დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგია, მისი მკითხველები გულითადად ულოცავენ იუბილარს ამ ღირსსახსოვარ თარიღს. უსურვებენ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის საკეთილდღეოდ.

მიხეილ მახარაძე

ქართული რენესანსის საკითხები უახლეს გამოკვლევებში

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგება და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ევრეთწოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკ. დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა“.1

XI-XII საუკუნეების ქართული კულტურის რენესანსული ხასიათის შესახებ აღნიშნავდნენ მკვლევარები — ა. მილერ-ბუდნიცკია, ვ. შიშმარევი, მწერალი კ. გამსახურდია და სხვები. ა. მილერ-ბუდნიცკია იმასაც კი სწერდა, რომ დასავლეთის რენესანსის ძირები იტალიაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საქართველოშიო.² გადაჭარბების მიუხედავად, ავტორის თვალსაზრისი ყურადღების ღირსი და გასათვალისწინებელია. მაგრამ ქართული რენესანსის თეორია სისტემატური სახით და არგუმენტირებულად პირველად აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა.

ბუნებრივია, რომ როდესაც საუბარი ეხება რენესანსს, შუა საუკუნეების რენესანსულ კულტურას, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რა იგულისხმება რენესანსის ცნებაში. შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ ამ საკითხების კვლევისას ბევრი გაუგებრობა განპირობებულია სწორედ რენესანსის ცნების სხვადასხვანაირი გაგებით. ამაზე მოწმობს ტერმინ — რენესანსის განსხვავებული, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი განმარტება. ასე, მაგალითად, მკვლევართა ერთი ნაწილი რენესანსის არსებით ნიშნებად მიიჩნევს ანტიკურობის აღორძინებას და ხილული სინამდვილის ღირებულად გამოცხადებას; მეორენი რენესანსს უკავშირებენ რელიგიურ მსოფლმხედველობას.³ ზოგიერთი მკვლევარი კი რენესანსის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევს შუა საუკუნეებში ქალაქური ცხოვრების დონის განსაკუთრებულ აღმავლობასა და კულტურის ყველა სფეროების განვითარებას. არსებობს რენესანსის ცნების სხვა განმარტებებიც.

საბჭოთა მეცნიერებაში დადგენილია რენესანსის ცნების ფილოსოფიური და კულტურული შინაარსი, რომელიც შემდეგს გულისხმობს: რენესანსი — ეს არის თავისებური, შუა საუკუნეებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკურობისადმი, კერძოდ, აღამიანის შესახებ ანტიკური ჰუმანისტური წარმოდგენის აღდგენა. რენესანსი გულისხმობს აგრეთვე ერთოდოქსალური ქრისტიანობის დაძლევის და ამის საფუძველზე შესაბამისი მხატვრული ლიტერატურის წარმოშობას.⁴

რენესანსის შესახებ ზემოთაღნიშნული თვალსაზრისი ძირითადად გაზიარებულია ქართველი მკვლევარების მიერ. შ. ნუცუბიძემ ეს თვალსაზრისი პირველად წარმოადგინა

1940 წელს (იხ. მისი „აღმოსავლური რენესანსი და ევროპოცენტრული რუსული ენაზე“) და საბოლოოდ ჩამოაყალიბა წიგნში — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, თბ.; 1947 (რუსულ ენაზე). შ. ნუცუბიძემ თავისი თვალსაზრისი ძირითადად შეიმუშავა დასავლეთის ცნობილ მეცნიერებთან კამათში (ბურღაზი, ბურკჰარდტი, კასირერი, ჰენინგი...).

შ. ნუცუბიძის მიხედვით, შუა საუკუნეები წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ანტიკურობასა და რენესანსს შორის. რენესანსის საკითხების კვლევისას შ. ნუცუბიძე ამოდის ენგელსის დებულებიდან, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეები არ ყოფილა უბრალო გაჩერება, როგორც ეს წარმოედგინათ რენესანსის ეპოქის მოღვაწეებს — პეტრარკას, ლორენცო ვალას, ლეონარდ ბრუნს და სხვ.

„აღმოსავლური რენესანსის“ თეორიის შექმნისას შ. ნუცუბიძე დიდ ყურადღებას აქცევდა მისტიციზმსა და ერესებს აღმოსავლეთში. ყველა ერესის წყაროდ კი იგი მიაჩნევდა მანიქეიზმს, რომელიც, შ. ნუცუბიძის აზრით, მართალია, ვერ მივიდა მიწიერისა და ზეციერის დუალიზმის გაუქმებამდე, მაგრამ მოგვცა მათი ერთიანობის იდეა. ეს კი უკვე ნიშნავდა ზეციერის პრიორიტეტის გაუქმებას მიწიერისადმი.

რენესანსული კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლმხედველობრივ, ე. ი. ფილოსოფიურ საფუძველს. რენესანსის მსოფლმხედველობრივ საფუძველად შ. ნუცუბიძე მიიჩნევდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას, კერძოდ, მის ქრისტიანულ ვარიანტს — არეოპაგიტეიკას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თვალსაზრისი ნეოპლატონიზმის, როგორც რენესანსის იდეური საფუძვლის შესახებ, აღიარებულია მრავალი მეცლევარის მიერ. აქვე შეიძლება ითქვას, რომ შ. ნუცუბიძე, როცა საუბრობს „აღმოსავლურ რენესანსზე“, გულისხმობს არა საერთოდ აღმოსავლეთს, არამედ ქრისტიანულ აღმოსავლეთს.

შ. ნუცუბიძის „აღმოსავლური რენესანსის“ თეორიას დიდი რეზონანსი ჰქონდა, გამოქვეყნდა მრავალი გამოხატულება, რეცენზია, რომლებშიც გამოთქმული იყო განსხვავებული შეფასებანი შ. ნუცუბიძის თეორიისა. ერთნი საერთოდ უარყოფენ რენესანსის არსებობას აღმოსავლეთში (ბ. გორუნგი, ა. გორდუნკელი, ვ. რუტენბურგი, ვ. შტეინი და სხვ.), სხვები აღიარებენ აღმოსავლური რენესანსის ფაქტს, მაგრამ უარყოფენ ამგვარ მოვლენას XI-XII საუკუნეების საქართველოში (მაგ. ვ. ჟირმუნსკი). ბევრი ავტორი აღიარებს როგორც აღმოსავლური რენესანსის იდეას საერთოდ, ისე ქართულისას კერძოდ (ნ. კონრადი, ა. ლოსევი, ბ. ბრაგინსკი, მ. კაპუსტინი...). ქართული რენესანსის იდეას მხარს უჭერენ და ახალი საბუთებით ამაგრებენ მას ქართველი მეცნიერები — შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, რ. სირაძე, ე. ხინთიბიძე, გ. ყორანაშვილი...

ჩვენ არ შევეცებით იმ ავტორთა თვალსაზრისებს, რომლებიც საყოველთაოდ აცნობილი ძველი პუბლიკაციებით (მაგ. ტ. მილერ-ბუდნიცკაიას, ს. დანელიას, კ. კეკელიძის, ვ. ჟირმუნსკის, ნ. კონრადის და სხვათა ნაშრომებს).

ვ. შტეინს საგანგებოდ არ განუხილავს ქართული რენესანსის საკითხები, მაგრამ მისი უარყოფითი დამოკიდებულება „აღმოსავლური რენესანსის“ იდეისადმი საერთოდ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ქართულ რენესანსზეც ვრცელდება. მისი შენიშვნით „...აღმოსავლეთში ფართო გაგებით რენესანსი არ ყოფილა, იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით — აღმოსავლეთის ქვეყნებში ადგილი არ ჰქონია კულტურის დაცემასა და გადაგვარებას, რომელმაც ასე ცხადი გამოხატულება ჰპოვა ევროპულ სქოლასტიკაში“.

ვ. რუტენბურგი თავის სტატიაში მიმოიხილავს სწავდასხვა თვალსაზრისებს რენესანსის ცნების შესახებ და ამის საფუძველზე გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებას იტალიურ აღორძინებაზე: „ამრიგად, იტალიური აღორძინება წარმოადგენს ერთობ რთულ, მაგრამ

სრულიად კონკრეტულ, ისტორიულად განპირობებულ პროცესს, რომელიც მოიცავს სოფადობის განვითარების ყველა მხარეს⁷. რაც შეეხება აღმოსავლურ რენესანსს, ვ. რუტენბურგი უარყოფს ამგვარი მოვლენის არსებობას შუა საუკუნეების აღმოსავლეთში. ამასთანავე იგი იზიარებს ვ. ჟირმუნსკის მოსაზრებას ქართული რენესანსის არსებობის შესახებ. ასევე ეპყობს ვ. რუტენბურგი სომხური რენესანსის არსებობაზე შუა საუკუნეებში. სტატიის დასასრულს ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებას რენესანსის მნიშვნელობაზე ამა თუ იმ ქვეყნის კულტურისათვის, რაც ჩვენ მცდარად მიგვაჩნია: „მაგრამ აღორძინების განხილვა როგორც ტიტულისა, რომელიც საფუძველს იძლევა ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის მაღალი შეფასებისათვის, შორსაა მეცნიერული მიდგომისაგან“ (ოქვე, გვ. 108). თუკი „ტიტულეს“ ჩამოვაცილებთ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აღორძინება — „ამა თუ იმ ქვეყნის“ კულტურის განსაკუთრებული დონის მაჩვენებელია.

ბ. გორნუნგი სპეციალურად იხილავს შ. ნუცუბიძის გამოკვლევას — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. შ. ნუცუბიძის ბევრ მოსაზრებას სადავოდ მიიჩნევს, თუმცა წიგნში, — მისი აზრით, — გვხვდება „ძალზე ღირებული“ დასკვნებიც. ბ. გორნუნგის საბოლოო დასკვნა ასეთია: „თვლიან, რომ ბიზანტიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, საქართველოში და ა. შ. ნაკლებ ხელსაყრელი ისტორიული პირობების გამო ამ კლასიკურ საფეხურამდე ამაღლება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო“⁸.

განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, ტენდენციური დამოკიდებულება გამოამჟღავნა ქართული რენესანსის იდეის მიმართ ცნობილმა მეკლევარმა — ი. გოლენიშევ-კუტუზოვმა. ავტორი შუა საუკუნეებს უპირისპირებს რენესანსს და უკანასკნელს მიიჩნევს რევოლუციად. ეს თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ქართველი მეკლევარების თვალსაზრისისაგან, რომლებიც, პირიქით, — რენესანსს არ წყვეტენ შუა საუკუნეებისაგან. ი. გოლენიშევ-კუტუზოვი წიგნში — „დანტეს შემოქმედება და მსოფლიო კულტურა“ (მოსკოვი, 1971), წერს, რომ ქართველი მეკლევარები და ლიტერატორები (შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, კ. კაპანელი, ო. ჯინორია) ცდილობენ ერთ — ქრისტიანული ცივილიზაციის კომპლექსში წარმოადგინონ დასავლეთისა და IX-XIII საუკუნეების კავკასიის კულტურა. ამის შესახებ ლაპარაკობს კ. გამსახურდია დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მისეული ქართული თარგმანის შესავალ წერილში, შ. ნუცუბიძე, წიგნში — „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, და აგრეთვე კ. კაპანელი და ო. ჯინორია თავიანთ ნაშრომებში. ყველა ამ ავტორთან საუბარია დანტესა და რუსთაველის სიახლოვეზე (გვ. 510). ამავე წიგნში ავტორი ირონიით ლაპარაკობს ფსევდო-ლიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის თეორიაზე, ხოლო რაც შეეხება დანტესა და რუსთაველის სიახლოვეს, ეს, ი. გოლენიშევ-კუტუზოვის მართებული შენიშვნით, — შეიძლება განპირობებული იყოს ერთი და იგივე წყაროს გამოყენებით, კერძოდ, კი „ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის ნეოპლატონური თხზულებებით“, რადგანაც „არეოპაგელის ნეოპლატონური იდეები უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ მაღალ შუა საუკუნეების ლიტერატურაზე კავკასიიდან ესპანეთამდე“ (გვ. 125. ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.).

ი. გოლენიშევ-კუტუზოვის განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება ქართული რენესანსის იდეისადმი ცხადადა გამოხატული მის გამოკვლევაში — „რომანული ლიტერატორები“ (მოსკოვი, 1975). ავტორი შ. ნუცუბიძის „ქართული რენესანსისა“ და ვ. ჩალოიანის „სომხური რენესანსის“ განხილვისას ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს: — თუკი IX და X საუკუნეების აღმოსავლეთის კულტურა მიჩნეულია „რენესანსულად“, მაშინ ამავე ეპოქის ფრანგულ კულტურას რატომ უნდა ეწოდოს შუა საუკუნეებისა? თუკი რუსთაველი „აღორძინების პოეტი“, მაშინ კრეტიენ დე ტრუა რატომია „შუა საუკუნეების“ პოეტი? (გვ. 33). აქ ძნელია დაეთანხმო ავტორს, რადგანაც ქართული რენესანსის

არც ერთ მკვლევარს არ უცდია დაცხადებუბინა, რომ რენესანსი დასავლეთსა და საქართველოში ერთსა და იმავე დროს იყო. რაც შეეხება რუსთაველისა და კრიტიკულ ტრუას შედარებას, აქ მთავარია არა ამ ნაწარმოებების შექმნის თანადროულობა, არამედ მათი ხასიათი. ი. გოლენიშევი-კუტუზოვის ტენდენციურობაზე მიუთითებს ამ გამოკვლევის შემდეგი აღდგილი: „გამოდის, რომ, რამდენადაც ფსევდოდოქმისე არეობა გელი ქართული უფლისწულის პეტრე იბერიის იდეტური — ის პროგრესული მოაზროვნეა, რომელიც ამზადებს აღორძინებას“, ზოლოთუი დავეთანხმებით იმას, რომ ის სირიელია ან (დასავლეთის ლეგენდის მიხედვით) გალიელ-რომაელი, მაშინ ის „ბნელი საუკუნეების“ ტიპური წარმომადგენელი და თითქმის რეაქციონერია“ (გვ. 33. ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.). ჩვენთვის უცნობია ვის გული-სხმობს აქ ავტორი, მაგრამ არც შ. ნუტუბიძესთან და არც ქართული რენესანსის სხვა მკვლევარებთან მსგავსი თვალსაზრისი არ გვხვდება.

ქართული რენესანსის საკითხები ვრცლად განიხილა ე. მელეტინსკიმ წიგნში — „შუა საუკუნეების რომანი“ (მოსკოვი, 1983, განყოფილება — „XII ს. ქართული რომანული ეპოსი“). ავტორი აღნიშნავს, რომ შ. ნუტუბიძე და სხვა ქართველი მკვლევარები „გეფხისტყაოსანში“ ხედავენ არა რომანულ ეპოსს, არამედ ფილოსოფიურ პოემას, რენესანსულ ძეგლს, რომელიც წინ უსწრებს დასავლურ რენესანსს. მისივე შენიშვნით, „შ. ნუტუბიძის მხრიდან აღმოსავლური რენესანსის და მისი ბირთვის — ქართული რენესანსის გაზვიადება ბევრად არის განპირობებული მის მიერ აღორძინებითი ჰუმანიზმის ნეოპლატონიზმზე, კერძოდ მის არეოპაგიტულ რედაქციაზე ცალმხრივი დაყვანით“ (გვ. 216). უნდა აღინიშნოს, რომ ე. მელეტინსკიმ შ. ნუტუბიძის მოსაზრებებში აღმოაჩინა ზოგიერთი წინააღმდეგობა, კერძოდ, მსჯელობებში, რომლებიც ეხებიან მიწიერი-სა და ზეციერის მიმართებას არეოპაგიტულ მოძღვრებაში.

ე. მელეტინსკი კრიტიკულად იხილავს ქართველი მკვლევარების — შ. ხიდაშელის, ე. ხინთიბიძის და ა. ბარამიძის თვალსაზრისებს და ამის საფუძველზე უარყოფს აღმოსავლური რენესანსის იდეას და რუსთაველის მიჩნევას რენესანსის მოღვაწედ. მისი საბოლოო დასკვნა ასეთია „რუსთაველის ჩათვლა რენესანსის მოღვაწედ, ისევე როგორც აღმოსავლური რენესანსის თეორია — რუსთაველისა და აღმოსავლეთის ზოგიერთი სხვა პოეტის გადაჭარბებული შეფასების რეზულტატი კი არაა, არამედ შუა საუკუნეების კულტურის შეუფასებლობისა, კერძოდ, ეს არის XII-XIII საუკუნეების კურტუაზული ლიტერატურის და მასში მოცემული ცნობილი „ჰუმანისტური საწყისის“ შეუფასებლობის შედეგი“. (გვ. 218).

ზემოთაღნიშნულის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ სამწუხაროდ, ე. მელეტინსკის თვალსაზრისიც არაა დაზღვეული ტენდენციურობისაგან. მოვიყვანო ასეთ მაგალითს: ე. მელეტინსკი არაფერს ამბობს იმ არაქართველი მკვლევარების შესახებ, რომლებიც აღიარებენ რენესანსის არსებობას XI-XII საუკუნეების საქართველოში, მათი რიცხვი კი არც თუ ისე ცოტაა და ამასთანავე მათ შორის ბევრი აღიარებული მეცნიერია. (გ. შიშმარევი, ნ. კონრადი, ა. ლოსევი, ნ. ბრაგინსკი, მ. კაპუსტინი და სხვ.). მკითხველს, რომელიც არ იცნობს სპეციალურ ლიტერატურას ქართული რენესანსის შესახებ, ე. მელეტინსკის წიგნის გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, რომ თითქმისდა ქართული რენესანსის იდეა შ. ნუტუბიძის მოგონილია და მის შესახებ წერენ მხოლოდ ქართველი მკვლევარები; რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

ქართული რენესანსის პრობლემები განხილულია სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდა შ. ნუტუბიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში (თბ. 1980. რუსულ ენაზე). ამ სტატიების ავტორები (ნ. ბრაგინსკი, მ. კაპუსტინი, ზ. ყუ-

ლი-ზადე, ნ. ნათაძე, ი. კენჭოშვილი) ძირითადად იზიარებენ აღმოსავლური რენესანსის თეორიის და თავის მხრივ ამდიდრებენ მას ახალი იდეებით.

ნ. ბრაგინსკი სტატიაში — „აღმოსავლეთის რენესანსის კონცეფცია: მოწინააღმდეგეები“, ჩამოთვლის „აღმოსავლეთის რენესანსის“ ოპონენტების არგუმენტებს და აღნიშნავს: „ოპონენტების მიერ წამოყენებული იქნა მათი აზრით უდავო, სოციოლოგიური (უფრო სწორად, სოციოლოგიზატორული) ხასიათის შემდეგი სილოგიზმი: რენესანსი — კაპიტალიზმის გარიჟრაჟია.

IX-XV საუკუნეების აღმოსავლეთში კაპიტალიზმი არ ყოფილა, მაშასადამე აღმოსავლეთში აღნიშნული დროის მონაკვეთში არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო რენესანსი“ (გვ. 61). და იქვე სინანულით ამატებს ავტორი, რომ აღრე ამ თვალსაზრისზე იდგა თვითონაც. მაგრამ, შემდგომ, — ავტორებს ნ. ბრაგინსკი, — ამ სტრიქონების ავტორმა, შეისწავლა რა შესაბამისი ლიტერატურა რენესანსის შესახებ, კერძოდ, მის სადავო საკითხებზე, კრიტიკულად განიხილა აღმოსავლური რენესანსის კონცეფციის მომხრეთა არგუმენტები და ოპონენტების კონტრარგუმენტები. ყველაფერი ეს შეამოწმა კლასიკური ირანული (სპარსულ-ტაჯიკური) პოეზიის ისტორიიდან აღებულ ფაქტებზე და დარწმუნდა შ. ნუცუბიდისა და ნ. კონრადის სიმართლეში.

ნ. ბრაგინსკი მიიჩნევს, რომ აღმოსავლური რენესანსის თეორიის მოწინააღმდეგეებს არ მოეპოვებათ საფუძვლიანი არგუმენტები ამ თეორიის წინააღმდეგ: „სამწუხაროდ, ამ კონცეფციის მოწინააღმდეგეთა ნაწერებში შეიძლება ვნახოთ საწინააღმდეგო მოსაზრებანი, უსაფუძვლო უარყოფანი, ცალკეული შენიშვნები, მაგრამ არა არგუმენტების სისტემა, რომელიც დამყარებული იქნება ნამდვილი ლიტერატურული პროცესის კონკრეტულ ანალიზზე“ (გვ. 89. ხაზგასმა ავტორისა). ნ. ბრაგინსკის საბოლოო დასკვნა ასეთია: სანამ არ იქნება წამოყენებული ახალი არგუმენტები აღმოსავლური რენესანსის წინააღმდეგ, „დასახუთებულად რჩება აღმოსავლეთის ბევრ ლიტერატურებში რენესანსული ტენდენციისა და რენესანსის არსებობის შესახებ კონცეფცია“ (გვ. 101. ხაზგასმა ავტორისა).

აქ აღნიშნულს შეიძლება დავამატოთ, რომ ნ. ბრაგინსკის მიხედვით — რენესანსის თეორიულ-აბსტრაქტული მოდელი, რომელიც წმინდა სახით განხორციელდა იტალიაში, სხვადასხვა ქვეყნებში გვხვდება ადგილობრივ „ვარიანტებში“, რომელიც ემყარება საკუთარ ეროვნულ კულტურას.

მ. კაპუსტინი შ. ნუცუბიდის მიიჩნევს პიონერად საბჭოთა მეცნიერებაში „აღმოსავლური რენესანსის სფეროში (იხ. მისი სტატია — „აღმოსავლური რენესანსის იდეა და დასავლურ-აღმოსავლური სინთეზი“). ამასთანავე, ავტორი სამართლიანად აღნიშნავს ზოგიერთი გადაჭარბების შესახებ შ. ნუცუბიდისთან, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საუბარი ეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის მნიშვნელობაზე რენესანსისათვის. ამის მიუხედავად, მ. კაპუსტინი სათანადოდ მიაგებს შ. ნუცუბიდის დამსახურებაზე მსოფლიო რენესანსის პრობლემების კვლევის საქმეში. ავტორი ფიქრობს, რომ შ. ნუცუბიდემ პირველად მსოფლიო საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებაში, ფილოსოფიური და ფილოლოგიური ანალიზის მეშვეობით, კონკრეტული მასალის საფუძველზე აჩვენა, რომ აღმოსავლეთის რენესანსი წინ უსწრებდა დასავლურ-ევროპულ რენესანსს და აღმოსავლური რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს რუსთაველის შემოქმედება (გვ. 151). მ. კაპუსტინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღმოსავლური რენესანსის იდეას, რომელიც „...ასე დამაჯერებლად და არგუმენტირებულად პირველად იქნა გადმოცემული შესანიშნავი ქართველი მეცნიერის მიერ“ (იქვე).

ამავე კრებულში დაბეჭდილია ქართველი ავტორების — ნ. ნათაძის შვილის სტატიები.

ნ. ნათაძე სტატიაში — „შალვა ნუცუბიძე და რენესანსის პრობლემა“ აღნიშნავს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს აღმოსავლურ რენესანსზე შ. ნუცუბიძის თვალსაზრისსა და ნ. კონრადის, ვ. ჩალოიანისა და ვ. ჟირმუნსკის თვალსაზრისებს შორის. შემდგომ ავტორი აღაგებს დასავლური რენესანსის ძირითად პრინციპებს, რომელიც მდგომარეობს არა მხოლოდ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასა და ანტიდოგმატიზმში, არამედ აგრეთვე ახალი ადამიანის ფორმირებაში (გვ. 107). ნ. ნათაძე აჩვენებს ქრისტიანობის როლს რენესანსული კულტურის ჩამოყალიბებაში. ამიტომაც, შენიშნავს, ავტორი, — „...სწორედ ამის გამო რენესანსი არის არა აღორძინება, არამედ რაღაც გაცილებით მეტი“ (გვ. 109. ხაზგასმა ავტორისა). სტატიაში ნაჩვენებია და გაანალიზებულია ქართული რენესანსის პირობები. ავტორი იზიარებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს და რუსთაველის შემოქმედებას მიიჩნევს აღმოსავლური რენესანსის მწვერვალად.

ი. კენჭოშვილი სტატიაში — „ვეფხისტყაოსანი“ და რომანის ჟანრის ტრადიცია („აღმოსავლური რენესანსის საკითხისათვის“) ძირითადად იზიარებს შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს და ამასთან ერთად მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ სიახლოვეზე ბერძნულ რომანთან. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს XI-XII საუკუნის ქართულ არქიტექტურას და მასში ხედავს ახალი სტილის — ბაროკოს კვალს. აღნიშნულ საკითხში ავტორი ემყარება გამოჩენილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის — გიორგი ჩუბინაშვილის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც „ხელოვნების საერთო, კერძოდ, ელინიზმის, გოთიკის, ან XVII საუკუნის ევროპისათვის დამახასიათებელი ტენდენციები... დამახასიათებელია აგრეთვე ქართული ხელოვნებისათვის დაწყებული X საუკუნიდან“ (იხ. საიუბილეო კრებული, გვ. 155).

გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა, ანტიკური კულტურის აღიარებულმა სპეციალისტმა ალექსეი ლოსევმა თავის გამოკვლევაში — „აღორძინების ესთეტიკა“ (მოსკოვი, 1978), ბევრი საკითხი ახლებურად გააშუქა „აღმოსავლური რენესანსისა“ და ქართული რენესანსის პრობლემებთან დაკავშირებით. ამ გამოკვლევის შესავალ ნაწილში, რომელშიც აღმოსავლური რენესანსია განხილული, ნახევარზე მეტი ქართული რენესანსის საკითხებისადმი მიძღვნილი. ა. ლოსევის დაბადებიდან 90-ე წლისთავს მიეძღვნა თბილისში გამოსული საიუბილეო კრებული, სადაც მოთავსებულია ე. ხინთიბიძის სტატია — ა. ლოსევის აღორძინების ესთეტიკის კონცეფცია და ქართული რენესანსის პრობლემა.⁹

ე. ხინთიბიძე განიხილავს ა. ლოსევის წიგნის იმ ნაწილს, სადაც გაანალიზებულია ქართული რენესანსის საკითხები. იგი არ იზიარებს ა. ლოსევის თვალსაზრისს — რუსთაველის აღმოსავლეთის პოეტების გვერდით დაყენების თაობაზე, რადგანაც ქართველი პოეტი, — ე. ხინთიბიძის აზრით, — აგრძელებს ქართული საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრისა და მისი მსოფლმხედველობის ტრადიციებს, რომლის მსგავსიც დამახასიათებელი იყო უფრო გვიანდელი დროის ევროპისათვის (გვ. 129-130). მისივე აზრით — რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროებს წარმოადგენენ: ქრისტიანული ლიტერატურა, არისტოტელეს მეტაფიზიკურ-ლოგიკური აზროვნება და ნეოპლატონიზმი. აქ, ჩვენი აზრით, ზოგიერთი საკითხი დასაზუსტებელია. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ არისტოტელეს მსოფლმხედველობას ძირითადად ეფუძნებოდა შუა საუკუნეების სქოლასტიკა, ხოლო სქოლასტიკა რენესანსთან შეუთავსებელია. ამიტომაც, არისტოტელეს მსოფლმხედველობის გამოცხადება რუსთაველის, როგორც რენესანსული ყაიდის პოეტის ერთ-ერთ წყაროდ არ უნდა იყოს სწორი. საქმე ისაა, რომ არისტოტელეს მოძღვრების მოწინავე იდეები გადავიდა ნეოპლატონიზმში და ნეოპლატონიზმის მეშვეობით ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა შუა საუკუნეების რენესანსული კულტურის კუთვნილება

გახდა. სასაზღვრისწინეებელია ისიც, რომ ნეოპლატონიზმი არა მხოლოდ მსოფლიო
ტონიზმია, არამედ იგი ნეოპლატონიზმის ციკლია (ჰეგელი).

რ. სირაძე თავის წერილში — „ა. ლოსევის აღორძინების ესთეტიკა და ქართული
რენესანსის ზოგიერთი საკითხი“, ა. ლოსევის ძირითად დამსახურებას შემდეგში ხე-
დავს: „ნეოპლატონიზმი ადრეც იყო მიჩნეული რენესანსის საფუძვლად, მაგრამ მას იმ-
ვითად ეძლეოდა ისეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა, როგორც ეს ა. ლოსევის
წიგნში“.¹⁰ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ქართველ მკვლევართა წვლილი უმნიშვნელოვა-
ნისაა, რაზედაც საკუთრივ ა. ლოსევიც არაერთხელ აღნიშნავს ხსენებულ წიგნში.

ქართული რენესანსის თეორიის განმტკიცებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი
წვლილი მიუძღვის შალვა ხიდაშელს. იგი არაერთხელ შეეხო სპეციალურად ქართული
რენესანსის საკითხებს და ეს თეორია ახალი საბუთებითა და იდეებით გაამდიდრა. მის
მიერ კვლევის შედეგად მიღებული რეზოლუციები ავტორმა შემაჯამებელი სახით წარ-
მოადგინა გამოკვლევაში „ქართული რენესანსის საკითხები“ (თბილისი, 1984, რუსულ
ენაზე). ერთი თავისებურება შ. ხიდაშელის თვალსაზრისისა ისაა, რომ XI-XII საუკუ-
ნეების ქართულ კულტურას იგი იხილავს აქსიოლოგიის პოზიციიდან. ეს თვალსაზრისი
კი ავტორს შეუძღმავდა ჯერ კიდევ 50-იან წლებში.

საინტერესოა აგრეთვე შ. ხიდაშელის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ, მისი აზ-
რით, XI-XII საუკუნეების ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ჰუმანიტური
იდეები, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ არა მხოლოდ რუსთაველთან, არამედ
იმ ეპოქის ქართულ ხელოვნებაში.

შ. ხიდაშელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნეოპლატონურ ფილოსოფიას და მიიჩ-
ნევს მას რენესანსის ძირითად მსოფლმხედველობრივ წყაროდ. როგორც უკვე აღნიშ-
ნა, ნეოპლატონიზმის დიდ მნიშვნელობაზე რენესანსული კულტურისათვის არაერთი
მკვლევარი მიუთითებდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ შ. ხიდაშელმა ეს თვალსაზრ-
სი უფრო განავითარა და გააღრმავა. შ. ხიდაშელისათვის რენესანსის არსება გულის-
ხმობს მიწიერი ცხოვრების მიჩნევის ღირებულებად და ადამიანის ახლებურ გაგებას:
„როგორც ითქვა, რენესანსის და რენესანსული ჰუმანიზმის ძირითადი თავისებურება
მდგომარეობს ხილული სინამდვილისა და ამქვეყნიური ადამიანური არსებობის ღირე-
ბულებად აღიარებაში. აქედან — ახალი, შუა საუკუნეებისაგან განსხვავებული დამოკიდე-
ბულება ანტიურობისადმი, და ახალი, განსხვავებული გაგება ადამიანურისა“ (გვ. 35).

ავტორი იცავს აზრს რუსთაველის მსოფლმხედველობის ნეოპლატონური ხასიათის
შესახებ. ამის თაობაზე წიგნში აღნიშნულია: „თეზისი იმის შესახებ, რომ რენესანსის
(მათ შორის ქართულის) საფუძველს ნეოპლატონიზმი წარმოადგენს, ეკუთვნის შ. ი.
ნუცუბიძეს და ეს თვალსაზრისი ცნობილი გახდა 30-40-იან წლებში აღმოსავლური რე-
ნესანსის თეორიასთან ერთად“ (გვ. 48). შ. ხიდაშელი აკრიტიკებს თვალსაზრისს, რომე-
ლიც რენესანსს სწყევტს შუა საუკუნეებს (იქვე, გვ. 37).

შ. ხიდაშელი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს იმ თვალსაზრისის დასაბუთებას, რომ
რუსთაველისათვის ხილული სინამდვილე წარმოადგენს ღირებულს. წიგნის დასასრულს
ავტორი საუბრობს რუსთაველის პანთეიზმის შესახებ. ამ თვალსაზრისის დასაბუთებისას
ავტორი იქიდან ამოდის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური საფუძველი ნეოპლატონიზმია,
კერძოდ, მისი არეოპაგიტული რედაქცია, რომელიც პანთეისტური მოძღვრებაა. ეს მო-
საზრება ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია, რადგანაც ნეოპლატონიზმი (და არეოპაგიტია) ჯერ
კიდევ არაა პანთეიზმი, თუმცა ამ მოძღვრებაში არის „პანთეიზმში გადაზრდის ტენდე-
ცია“ (ა. ლოსევი). მსგავს ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე რუსთაველთანაც.

დასასრულს კი შეგვიხსენოთ ა. ლოსევის თვალსაზრისის ქართული რენესანსის შესახებ,
რომელიც ავტორის გადმოცემული აქვს წიგნში — „აღორძინების ესთეტიკა“. ამ მრავალ-
მხრივსა და ღრმასაფუძვლიან გამოკვლევაში ა. ლოსევი ვრცლად და კრიტიკულად იხი-

ლავს ქართული რენესანსის თეორიასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მკვლევარების თვალსაზრისებს (შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, ა. კეკელიძე, ი. ფანცხავა, შ. ხიდაშელი). ა. ლოსევი იზიარებს „ქართული რენესანსის“ თეორიის ყველა ძირითად პრინციპს და თავის დასკვნებს ოთხ ძირითად პუნქტად აყალიბებს:

„ჩერ ერთი, ამ გამოკვლევების შემდეგ [იგულისხმება ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები რენესანსის მიძღვნილ საკითხებზე — მ.მ.] დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართულ რენესანსს საფუძვლად უდევს ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი ზ მ ი, განსაკუთრებით კი პროკლეს ფილოსოფია. ეს უნდა ჩაითვალოს დიდად მნიშვნელოვან აღმოჩენად, რადგანაც იგი ჩვენ საშუალებას გვაძლევს უფრო მიეუხალოდეთ იტალიურ რენესანსს.

მეორე, საქართველოში ნეოპლატონიზმი, ათვისებული იქნა ა რ ე ო პ ა გ ი ტ ი კ ე ბ ის შუქზე, ე. ი. არა როგორც შიშველი წარმართული მსოფლმხედველობა, არამედ როგორც პროკლეს დიალექტიკის ქრისტიანულ-ათეისტური გადამუშავება და გასულიერება“ (გვ. 33).

მესამე, ქართული აღორძინების მკვლევარებმა არეოპაგეტიკებიდან პირდაპირ პანთეისტური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა კი არ დასაბუთეს უდავოდ (პრინციპულად არეოპაგეტიკებს ყოველგვარი პანთეიზმის უარყოფა შეუძლიათ მთლიანად), არამედ ის, რომ იგი შეიცავს გამოსნის ადამიანური გზის უფრო სრულ, უფრო საერო და უფრო მიწიერ იდეებს. ამიტომაც, აქ საჭიროა ვილაპარაკოთ რენესანსზე, ვინაიდან არეოპაგეტიკის განმარტებით, ადამიანის აქტიურობა შეუძლებელია, მისი მგრძნობიარობა ღრმავდებოდა და ადამიანური განცდა ღვთაებრივი შუქის „ოკეანეში“ უკვალოდ არ იძირებოდა. ზოგიერთს არეოპაგეტიკა უჩვენებდა ამ „ოკეანეს“, ხოლო დანარჩენებს წმინდა ადამიანური იდეის დამოუკიდებლობას, მგრძნობიარობას და პროგრესულობას“ (გვ. 34).

„დასასრულ მეოთხე ქართული აღორძინების მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები გამოდიოდნენ ნეოპლატონური და არეოპაგეტული რენესანსის წამომწყებებად ევროპაში. ამ მხრივ რომ მათ პრიორიტეტი ეკუთვნით და რამდენიმე საუკუნით ვაუსწრეს დასავლეთ ევროპას, კამათი ამის წინააღმდეგ შეუძლებელია, ისე როგორც შეუძლებელია არეოპაგეტული ნეოპლატონიზმი დაყვანილ იქნას წარმართობაზე, ერესზე, პანთეიზმზე და ოფიციალური ეკლესიის სრულ უარყოფამდე“ (გვ. 37).

რენესანსის სფეროში ქართველი მეცნიერების მოღვაწეობას ა. ლოსევი მიიჩნევს ნამდვილ „ისტორიულ-ფილოსოფიურ“ გმირობად, „რომელიც განახორციელეს ქართული რენესანსის ეპოქისა და მასთან ერთად საერთოდ მსოფლიო რენესანსის ისტორიის მკვლევარებმა“ (იქვე).

როგორც ვნახეთ, საბჭოთა მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ როგორც „აღმოსავლური რენესანსის“, ისე „ქართული რენესანსის თეორიის საკითხებს. ზემოთმოხმობილი თვალსაზრისების ანალიზმა ცხადი გახადა ამასთანავე ისიც, რომ საერთოდ რენესანსის, კერძოდ კი აღმოსავლურ და ქართულ რენესანსის თეორიებთან დაკავშირებული ბევრი ასპექტი შემდგომ გაღრმავებასა და დაზუსტებას საჭიროებს.

ქართული რენესანსის საკითხების შემდგომი კვლევისას, ყურადღება უნდა მიექცეს კულტურის საერთო აღმავლობას XI-XII საუკუნეების საქართველოში, ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ეპოქის პოლიტიკურ წყობას საქართველოში, კერძოდ, ანალიზს საჭიროებს ამ კუთხით ქართველი მეფის — დ ა ვ ი თ ა ლ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ის დემოკრატიული რეფორმები. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს XI-XII საუკუნეების საქართველოს ქალაქური ცხოვრების შესწავლას ქართული რენესანსის საკითხების კვლევისას.

ფიქრობთ, რომ ქართული კულტურის — ფრესკული მხატვრობის, ქართული ფი-

ლოსოფიის, ლიტერატურის, ქალაქური ცხოვრების, სახელმწიფოებრივი წყობისა და დემოკრატიული რეფორმების შემდგომი საფუძვლიანი შესწავლა უფრო ცნაურად განვიხილოთ რენესანსისა და რენესანსული კულტურის არსებობის ფაქტს XI-XII საუკუნეების საქართველოში.

შ ე ნ ი მ ზ ე ნ ე ბ ი

1. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1983, გვ. 301.
2. Т. Миллер-Будницкая — «Грузинский Данте», Литературный современник, № 12, 1937, с. 242.
3. Об этом см. М. А. Гуковский — «Новые работы по истории платонизма итальянского Возрождения» («Вопросы философии», 1958, № 10).
4. См. «Литературная энциклопедия», т. 1, с. 1009. Философская энциклопедия, т. 1, с.с. 272—276.
5. См. А. Лосев. Эстетика Возрождения, М., 1978, И. Медведев. «Византийский гуманизм XIV—XV в.в.», раздел — «Неоплотонизм как философская основа византийского гуманизма», Л., 1976. ზ. ვოლგასტი, „არსებობს კი ქართული რენესანსი?“ („მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, № 1, 1986) და სხვ.
6. В. М. Штейн — «Участие стран Востока в подготовке европейского Возрождения». Китай, Япония (к семидесятилетию академика Николая Иосифовича Конрада), М., 1961, с. 106.
7. В. И. Рутенбург — «Итальянское Возрождение и «Возрождение мировое» («Вопросы истории», № 11, М., 1969), с. 103.
8. Б. В. Горнунг — Существовал ли «Ренессанс XII века» Историко-филологические исследования (Сборник статей к 75-летию академика Конрада Н. И. М., 1967), с. 275.
9. А. Ф. Лосеву, к 90-летию со дня рождения, Тб., 1983.
10. Литературная Грузия, № 3, 1983, с. 153.



სულიერი კულტურის სათავე

წიგნი II

მამია ვარშანიძის შემოქმედებაში „ხიხანის არწივები“ მთავარი და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მასში ასახულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სისხლიანი ისტორიის ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი. იგი ეხება თურქების შემოსევას, სელიმ ხიმშიაშვილის ღალატით შეპყრობას და სიკვდილით დასჯას.

პოემაში უხვად არის გამოყენებული ფოლკლორული მასალები, ხალხური ლექსები და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა მასში ასახული საწესჩვეულებო მომენტები.

ხალხური წეს-ჩვეულებანი, მასთან დაკავშირებული სიტყვიერება, შესრულების ცერემონიალი და იმპროვიზაცია, მისი შემოქმედებითად გარდაქმნა და ასახვა მეტად მნიშვნელოვანია ლიტერატურის ფოლკლორისტული თვალსაზრისით კვლევაში, ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის შესწავლაში.

დასახელებულ პოემაში ერთ-ერთ ასეთ საწესჩვეულებო მომენტს წარმოადგენს ხალხის წინაშე სახალხო მთქმელის გამოსვლა საკრავით ხელში და განწყობილების შესაბამისად ან ახალი განწყობილების შესაქმნელად მასზე დამღერება. სახალხო მთქმელის — მეჭიბონეს გამოსვლის მიზანია სოციალური უსამართლობის არსში ჩაახედოს ხალხი და განაწყოს იგი მისდამი სიძულვილის გრძნობით. პოემაში ეს საპატიო მისია წილად ხდება სახალხო მთქმელს ხასანს.

ხასანს ხალხი შემოეხვია და თხოვს:

იმდერე წუთისოფლისა,

იმდერე, თორემ წუთია

სიცოცხლე კვლავ მოუსვდელი.

სახალხო მომღერალი ხალხს დათანხმდა: „ჩაპბერა და ჭიბონს ენა ჩაუდგა“. ხალხზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა სიმღერამ:

ბევრჯერ ჩვენს ბედზე ვიფიქრე,

ავტირებულვარ ჩვილივით.

ტანჯვაა, დამთუთქველია

საწყალი კაცის ჩივილი.

ეს თქვა და ოხვრა აღმოხდა.

ხევში ჩავარდა ტალღებად.

იმათ მდუღარე გულებში

რკინის ნაქერიც გაღღვება.

ყოველივე ეს პოეტს დასჭირდა სოციალურ უსამართლობაში ხალხის ჩახედვისათვის, საერთო მტრისა და სიღუბნის წინააღმდეგ ხალხის დარაზმვისათვის.

მოქმედების საერთო ფონზე საჭირო გახდა ხალხის გახალისება-გართობა. ამის შემდეგ იწყება მოცემული წესჩვეულებისათვის დამახასიათებელი ლექს-სიმღერების შესრულება.

საგულისხმოა, რომ ეს ლექს-სიმღერები ხალხურია. იგი ავტორმა პოემაში შეიტანა ერთგან სრულიად უცვლელი და მეორეგან ოდნავ შეცვლილი სახით:

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა
აღვის ხის ჩამონათალი,
დადექ, ნაფოტო, მიამბე
საყვარლის შემონათვალი.
ჰარინანა თინანო, თარინანა თინანო.

ეს არის ხალხური ლექსის ვარიანტი, მასში შეტანილია მხოლოდ მისამღერი.
პოემაში უცვლელადაა შეტანილი ხალხური ლექსი „გოგოვ, გოგოვ კისკისა“.

გოგოვ, გოგოვ კისკისა, აქ ჩამოდი წყლისპირსა.

წყალი მასვი კოკითა, გამაძღვევი კოცნითა.

ხალხის საკრებულოში იმპროვიზირებული გამოსვლის წეს-ჩვეულების კიდევ უფრო
მეტი ეფექტურობისათვის ავტორი არ ერიდება ხალხური ლექს-სიმღერების უცვლელად
მოტანას.

წუხელი სიზმარში გნახე
წარბი მაღლა ავეყარა.
ფანჯარაზე მომდგარიყავ.
ნაწნავი გადმოგეყარა.

ან კიდევ:

გაღმა ქათამი გავდენე,
გამოღმა გამოკაენებს.
ლამაჲ გოგონებს რომ ვხედავ.
წყალივით გამაკანკალებს.

ამას მოსდევს:

სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომივარდაო.
მე თუ ცძულვარ, სხვა თუ ვიყვარს
ფესვი ამოგივარდაო.

ავტორის მიზანია ხალხური ლექს-სიმღერების მეშვეობით უჩვენოს ხალხის საერთო
განწყობილება, რომელიმე მოვლენის ან სიტუაციის წინ, ხაზი გაუსვას მუსიკალური
ფოლკლორისა და პოეტური იმპროვიზაციის ტრადიციებს, მის შთამაგონებელ ძალასა
და ამით შექმნას პოემის არა მხოლოდ კოლორიტი, არამედ უჩვენოს აგრეთვე ხალხის
მისეების ერთსულოვნება საერთო ისტორიულ ფონზე.

* * *

კოკიანი ქალის მხატვრული სახე ქართულ ფოლკლორში არა მარტო ჯადოსნური,
არამედ რეალობად ქცეულ გარკვეულ მოვლენას უქვეშირდება, განსაკუთრებით კი —
კოკის გატეხვის მომენტი.

ქალი კოკით ხელში ამირანის ეპოსშიც გვხვდება: 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“
(№ 145-146) გამოქვეყნდა მთქმელი ვანო ჩინჩალაძის გადმოცემა ამირანზე, სადაც ვკი-
თხულობთ: „ერთხელ ამირანმა კოშკიდან გადმოიხედა და დაინახა დედაკაცი, რომელსაც
კოკით წყალი მიჰქონდა. ამირანმა თავის დედას უთხრა: — დამენაძღვე, ა, იმ დედა-
კაცს კოკა გავუტეხო“. მართლაც გაუტეხა, რის შემდეგაც გაიგო საიდუმლოება მამის
ვინაობის შესახებ.

ცნობილ ხალხურ ლექსში „თებრონე მიდის წყალზედა“ კოკის გატეხვის შემდეგ
ვაჟმა თებრონე გადაკოცნა, რის შემდეგაც გაჩნდა სიყვარულის გრძნობა. ამის შემდეგ
თებრონე დანიშნულს დაპირდა, რომ მდინარესთან შეხვდებოდა.

თებრონე მიდის წყალზედა,
კოკა უდგია მხარზედა...
მიდის და თვალი შეასწრო
ქოჩორა ბიჭსა გზაზედა...
თებრონემ კოკა ჩამოღვა.
მანდილს იფარებს თავზედა...

ახლა ეს სტრიქონები მოვისმინოთ:

გოგოვ, გოგოვ, კისკისა,
აქ ჩამოდი წყლისპირსა,
წყალი მასვი კოჭითა,
გამაძღვეი კოცნითა.

გაშაირება-გალექების ეს შესანიშნავი ნიმუში მეტად პოპულარულია და ბევრი პოეტი მოუხიბლავს.

აი, რას ვკითხულობთ გიორგი სალუქვაძის ერთ ლექსში:

სურით ცივ წყალს მომიტან,
და რომ გზედავ სურიანს,
სიყვარული მომიწადა,
სიყვარული მწყურია.

ციტირებული სტრიქონები შექმნილია აჭარის საწესჩვეულებო სიტყვიერების შესანიშნავი ნიმუშის პოეტური განწყობილებით.

* * *

ნანა გვარიშვილის საბავშვო პოემა „თითისტოლა“ საწესჩვეულებო სიტყვიერების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მასში ლაპარაკია ერთ მოხუცებულ ქალზე, რომელსაც შვილები გარდაეცვალა. ამის გამო „აუტირდა დედას გული, წასკდა ცრემლის ნაკადული“. ტიროდა ქალი. ნატრობდა: „ერთი შვილი მაინც მყავდეს, რომ ეს ქოხი ამიყვადეს“. რამდენიმე ხნის შემდეგ, საბედნიეროდ,

ერთ სადამოს ასე მოხდა —	უგალობოს სიომ ნანა,
ბერიკაცი გაჩნდა ქოხთან.	არვინ იყოს იმისთანა.
ანათებდა მისი წვერი,	ეგა თქვა და ბერიკაცი
თეთრი, პირველ თოვლისფერი.	უცებ გაქრა ქალის თვალწინ.
მან ქალს ვაშლი მისცა წყნარად.	დაჭდა ქალი ტახტზე თავშლით,
უთხრა, ჭამე, დარდი კმარა.	მოკრძალებით ჭამა ვაშლი.
გაგიჩნდება ქალიშვილი, —	გარიჟრაჟზე ადრე დილით
პაწაწინა ია შლილი.	შეეძინა დედას შვილი.

ამ პოემაში ყურადღებას იპყრობს ვაშლის გადაცემის მომენტი, ვაშლს ფოლკლორში სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ადამისა და ევას ურთიერთობაში მისი ფუნქციაა ცდუნება, ჯადოსნურ ზღაპრებში ვაშლის ფუნქციაა უმანკოდ ჩასახვა-დაბადება, ახალგაზრდის მოხუცად ქცევა, სიკვდილის მოვლინება და სხვა. მას სხვა ფუნქციაც გააჩნია. ვაშლი აჭარაში ზოგჯერ სანიშნო ნიშნებთან ერთად იგზავნებოდა საცოლეს ოჯახში, რის შესახებაც მკვლევარი ალ. მსხალაძე შენიშნავს:

პოემის მიხედვით საქმე გვაქვს ვაშლთან, როგორც შვილის გამჩენსა და სიცოცხლის დამამკვიდრებელ ფენომენთან. იგი აქ საწესჩვეულებო ხასიათს ატარებს. მოხუცები

სიამოვნებით ყვებიან ამის შესახებ, თუ უშვილო ცოლ-ქმარს როგორ გაერცხდეთ მოხუცი, როგორი სიტყვებით მიაწოდა მათ ვაშლი და ამ ვაშლის მაგივრად ქაღალდის საფუძველზე როგორ შეეძინათ მათ ჩვეულებრივი ან ოქროსთმიანი ქალი ან ვაჟი.

აჭარაში ფართოდ არის გავრცელებული ერთი საინტერესო და მეტად ტევადი სიტყვა „დაადინეს“. იგი გულისხმობს მრავალ მიმართულებას, გავრცობას. ამბის ასეთ გავრცობასთან ვვაქვს საქმე ნ. გვარამიშვილის ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებში.

გველშაპმა დედისერთა გოგონა დედას „მოსტაცა და გააქროლა“. ეს ამბავი „ქვეყანაზე დაადინეს“. შეწუხდა მერცხალი და „იწყო გლოვა“, შეწუხდა ვარდი და დაიწყო ტირილი. არც წყარო დარჩა გულგრილი, „წვეთიც აღარ დაიტოვა, დაშრა, გახდა გულსაკლავი“. ეს სამწუხარო ამბავი გაიგო მწყემსის ქალმაც. ქალმა ამაზე უამბო ქმარს. ქმარმა აიღო სალამური, ჩაპბერა და დუჟკა. დიდ-პატარა შეკრიბა და უთხრა:

მეგობრებო, არას გვარგებს

უსარგებლო ცრემლთა თოვა.

მივეშველოთ იმ გლეხის ქალს,

გამოვიხსნათ თითისტოლა.

შეკრებილი ხალხის წრიდან გამოვიდა ერთი აბრეშუმისქოჩრიანი ყმაწვილი, მე შევეშრობ დედას ცრემლებსო, და გაეშურა ვეშაპისაკენ.

ქართულ ფოლკლორში ფართოდაა ცხოვრილი სამწუხარო ამბის გავრცელების მოტივი. საამისოდ სხვადასხვა ხალხური მხატვრული პოეტური საშუალებებია გამოყენებული, მათ შორის აღსანიშნავია ზარისცემით ან სალამურის ხმაზე ხალხის შეკრება და სამწუხარო (ზოგჯერ საბედნიეროც) ამბის შეტყობინება, ჩიტის და, საერთოდ, ფრთოსნების მეშვეობით ამბის შეტყობინება და მრავალი სხვა.

როგორც დავინახეთ, თითისტოლა, გოგონას ვეშაპისაგან მიტაცების სამწუხარო ამბავი „ქვეყანაზე დაადინეს“.

* * *

ფრიდონ ხალვაშისათვის ნაცნობია ზამთრის იდილია, ბავშვების რომანტიკა, ბუხრის წინ მორთბული „ძველი კაცი“ ანუ სასიამოვნოდ ამბის მთხრობელი პაპა, რომელიც ყვება „ძველ ამბავს“. ამ შემთხვევაში — ზღაპარს, თქმულებას, გადმოცემას და სხვა.

„ძველი ამბის“ მოყოლის ასეთი წეს-ჩვეულება ოდითგანვე დიდ პატივში იყო. ამ წეს-ჩვეულებას ეხმარება ფრ. ხალვაშის ერთ-ერთი უსათაურო ლექსი, სადაც ვკითხულობთ:

წავიდა პაპა, დაგვჩა ზღაპარი,

კვლავ ახრამუნებს ფიჩხებს ბუხარი,

მაგრამ ვინდა თქვას ძველი ამბავი,

ხან სახარხარო, ხან სამწუხარო.

ამ სტროფში არ არის რომელიმე ზღაპრის ან გადმოცემის ელემენტები, ეს უფრო მეტწილად იძლევა ასოციაციურ შეფასებას ხალხური ნიმუშებისას. მართალია, კვდება მთქმელი, ინფორმატორი, მაგრამ მთავარია, რომ ცოცხლობს ხალხი და მისი სულის ნათელი გამოსხივება, როგორიცაა ფოკლორი. ზემოთ მოტანილი სტროფი იმიტაც არის საინტერესო, რომ მასში გამოყენებულია პოპულარული ფოლკლორული ნიმუში „გამხი-ართული, ბუხარო“. მართალია, იგი ციტირებულ ლექსში შევიდა შეცვლილი სახით, მაგრამ მთავარია, რომ მას ეს ცვლილება შეეხო მხოლოდ გარეგნულად და არა განწყობილებას, რომელსაც ასოციაციურად ხალხურ ლექსთან მივყავართ.

აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ფართოდ არის ცნობილი

გალექსება-გაშიარების ტრადიცია. ეს ძლიერ ფეხმოკიდებული წეს-ჩვეულებები ირების დროს, ჩვეულებრივ, მიმართავენ ლექსად თქმის ორ ხერხს, ერთია, როდესაც მოპაექრე მიმართავს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფერისად მორგებულ ხალხური ლექსის სტროფს. მეორე შემთხვევაა, როცა შაირობის პროცესში ახალს ქმნის ან არსებულ ლექსს ან სტროფს გადააკეთებს და სიტუაციას მოხერხებულად მთარგმნის. აჭარული გაშიარება-გალექსების უმდიდრეს საწესჩვეულებო ტრადიციულ ნიმუშთან აღსანიშნავია ლექსი „გოგოვ, გოგოვ, კისკისა“. მასთან შემოქმედებით კავშირ-ურთიერთობაშია ფრ. ხალვაშის ლექსი „წყალი მასვი კოკითა“.

წყაროსთან ვარ, მწყურია,

სიყვარულის თოკითა.

წყალი მასვი კოკითა.

წყაროსთან ვარ, მწყურია.

განა დასაწყენია,

წყალი მასვი კოკითა,

თუ სიყვარულს მოგიტან?

გული გაბაწრულია

წყალი მასვი კოკითა.

ეს ლექსი მთლიანად ხალხურ-კილო-განწყობილებზეა შექმნილი, მაგრამ იგი კონკრეტულად ხალხური ლექსიდანვე იღებს შემოქმედებით სათავეს.

ფრ. ხალვაშის აქ განხილულ ლექსში არის ერთი ასეთი სტრიქონი: „შენი თხოვნა მწაღია“. იგი მტკიცე ლოგიკურ კავშირშია ისეთ ტრადიციულ შაირებთან, როგორიცაა:

მადლა სერზე ასვლა მინდა,

კვერცხის გულის ატანა,

ლამაზ გოგოს თხოვნა მინდა,

ყვითელ კაბის მიტანა.

აჭარაში თურქების სამასწლოვანი ბატონობის შედეგებს მათი ასიმილაციური პოლიტიკის გატარების ცდებსა და, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის საერთო განწყობილებას მიუძღვნა ფრ. ხალვაშმა ლექსი „ბალადა მეჩონგურეზე“. სახე-ები — „მოხუცი“, „ძველი კაცი“, „ჩონგური“, მასზე ძველი ამბის დამღერება ვ. წ. გა-ლექსება-მილექსების ტრადიციის არხებით ერთ ცნებაშია გაერთიანებული.

ლექსში „საღმერგძელო“ იგივე ცნებები შემოდის. ცნებები „მოხუცი“, „ღვინო“, „ჩონგური“ და „სიმღერა არდაჟანგული“ ფოლკლორული ლექსიკის საკუთრებაა. იგი, ჩვეულებრივ, ქმნის შესაბამის განწყობილებას:

მიეცით მოხუცს ღვინო და

მისი ქართული ჩონგური...

რომ გვითხრას ძველი სიმღერა,

სიმღერა არდაჟანგული.

ქართული საწესჩვეულებო სიტყვიერება ქართული ფოლკლორის ერთ-ერთ საინტერესო შენაკადს წარმოადგენს და მასთან ქართველ მწერალთა შემოქმედებითი დამრ-კიდებულება მეტად ორიგინალური და საინტერესოა.

* * *

როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, ასევე აჭარაში განსაკუთრებულ პატივშია ხალხური გადმოცემა — „ძალა ერთობაშია“, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ მიამა როგორ მოატანინა შვილებს ჯიხები: შეკრა კონად, თითოეულს შიაწოდა და უთხრა, გატეხო. შვილებმაც კონა, ცხადია, ვერ გატეხეს, მაგრამ თითო ჯიხი ადვილად დაამტ-ვრიეს.

შოთა როყვას ერთი უსათაურო ლექსი სწორედ ერთობის ძალისა და უძლეველ-

ბის აპოლოგეას წარმოდგენს და იგი ეძღვნება დიდი სამამულო ომის წლებში სსრკ-ის
ხალხის ძლევამოსილ გამარჯვებას:

რამდენჯერ გაბედეს რკენა,
ფიქრობდნენ, — დავშლით და წავშლით,
ცალკე-ცალკე მოგვსპობდნენ ყველას,
მაგრამ ვერ ძლია და ვერა
ბოროტმა გულმა და ხელმა
მტკიცეს და ერთიან კავშირს.

აჭარაში ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. დაცდის სიტყვაობა. მაგალითად, სკეინჩას „ძახილს“ ასე შეესიტყვებოდა, „მშვიდობა იყოს“, ხოლო მამლის მოულოდნელ შეიყვლებას — „კაი ამბავი მე, ოქროს ნისკარტი — შენ“. ყორანი მუდამ იყო უარყოფითი მხატვრული სახე, ეს ლიტერატურაშიც ასეა ცნობილი და ფოლკლორშიც.

შ. როყვას ქვემოთ დასახელებულ ლექსში მკაფიოდ გამოიკვეთა ჩიტის მიერ სამშვიდობო, კარგი ამბისა და ყორნის მიერ ცუდი ამბის მოტანის მომენტები. ლექსში ვკითხულობთ:

თუ შორსა ხარ, ჩიტს უთხარი
მომაწვდინოს ხმები.
ჩიტი იცნობს დედაშენის
გახუენებულ კაბას.

ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო,
შენ კი გენაცვლები.
ოღონდ ყორნის მეშინია.
ნუ მომიტანს ამბავს.

ეს ლექსი იმ დედის შინაგანი მონოლოგია, რომელიც ელოდება ფრონტელი შვილის წერილს. ამავე დროს, ეშინია, ვაი თუ ომიდან ცუდი ამბავი მომივიდესო. მას კეთილი ამბის მაუწყებლად ქვეყნად სიკეთის მაუწყებელი ფრთოსნები მიაჩნია, ხოლო უბედურების მაუწყებლად — ბოროტების ხალხური მხატვრული სახე, როგორიცაა ყორანი. ეს სიმბოლოები ფოლკლორიდან ლიტერატურაში ყველაზე დიდი პატივით გამოიკვეთა...

შ. როყვას ზემოთ დასახელებულ ლექსში ყორანი, ცხადია ბოროტ სულად არის წარმოდგენილი.

აჭარის საწესჩვეულებო სიტყვიერებასთან კონტაქტები გარდა დასახელებული ლექსებისა, შოთა როყვას სხვა ნაწარმოებებშიც აღინიშნება.

* * *

ხალხურ სიბრძნესთან, ფოლკლორთან მწერლის შემოქმედებითი სიახლოვე პირველი გარანტიაა ლიტერატურული ნაწარმოების პოპულარობისა, პოეტის მხატვრული აზროვნებისა და შეხედულებების სრული და შთამბეჭდავი რეალიზაციისა. ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ქსენია მყავიას ლექსს „საგაზაფხულო“.

იღიმება გაზაფხული,
გაუშლია სხივთა ბადე
და ალერსში გაწაფული
უნანავებს სიო ვარდებს,
პეპელა კი ფრთების გაშლით
იას დასწვდა საკოცნელად:
ეს ერთი და სხვა ათისი,
ჩამოსძახა ჩიტმა ჭრელმა.

ციტირებულ ლექსში „გაზაფხულის ღიმილი“, „სხივთა ბადის გაშლა“, „სიოს ალერსი“, „პეპელა“, „იას“ და სხვა დარჩებოდა პოეტურ პალიტრაზე განლაგებულ „უძრავ“ და თავის თავად ფერებად, მას ხალხური გამოთქმა რომ არ ანიჭებდეს ქმედითობას და არ აბამ-

დეს დროთა და მოვლენათა იმ ფერადოვან წრიულ მოძრაობაში, „კარტეზიანური“ კრულა პერანგებიანი ბავშვების ქრთლვას რომ წაავას. აქ ჩამოთვლილი ფიქციური მეხელ ფორმულად ეღერს ხალხური: „ეს ერთი და სხვა ათასი“, რომელიც ფოლკლორში ცნობილი ე. წ. დალოცვიდან მოდის.

მასწავლებლისადმი მიძღვნილ ლექსში „გულით ვლოცავ“ ვკითხულობთ:

მაგონდება ძველი სკოლა,
კიბეები დაბრეცილი,
ვარდისფერი ბილიკები
ფრენა-ფრენით დაკეცილი.

„ჰაჰაჰა, ჰაჰაჰა, ვერ დავკეცე“ არის ხალხური გამოცანა. გამოცანის პასუხია „გზა“. ქს. მეავია ციტირებულ ლექსში თვითონ ასახელებს „ბილიკს“ და ხალხური გამოცანა შემოჰყავს პოეტურ „ბრუნვაში“ („ვარდისფერი ბილიკებით ფრენა-ფრენით დაკეცილი“).

ქს. მეავია, მართალია, იშვიათად მიდის ფოლკლორულ სათავეებთან, მაგრამ სადაც მას იყენებს, როგორც შემოქმედების პირველწყაროს, ყველგან სასურველ ეფექტს აღწევს

* * *

ჯემალ ქათამაძის პოეზია მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო ქართული ხალხური პოეტური აზროვნების შინაგან ბუნებასთან, თვისებებთან და ინტონაციასთან, ჩვენი აზრით ჯ. ქათამაძის ლექსების მთავარ თვისებად სწორედ ფრაზის გამჭვირვალობა, უბრალოება და მოქნილობა უნდა ჩაითვალოს. ეს კი სათავეს, რა თქმა უნდა, ფოლკლორისაგან იღებს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოგვაქვს ერთი პატარა ლექსი:

ერთი გოგო დავლანდე,	დიდხანს ვიდექ ჩინართან,
მინდორ-მინდორ მიბრბოდა,	წყარო წყალი დიოდა.
ბიჭი ვიყავ, რა ბიჭი.	ციცა გაუჩინარდა.
სიყვარული მინდოდა.	ზღვაში მზე ჩაღიოდა.

ეს ლექსი ნასაზრდოებია ცნობილი ხალხური ლექსისაგან, როგორც გამოსახვის საშუალებებით, ასევე კილოთი და განწყობილებით:

მე რომ გოგო მინდოდა,
მინდორ-მინდორ მივდოდა.

საწესჩვეულებო სიტყვიერების შესანიშნავი მომენტია ზღაპრის თქმის ტრადიცია. ზღაპარს, ჩვეულებრივ, ძილისწინ მოუთხრობდნენ ბავშვებს. იყო ზღაპრის მოყოლა სხვა ვითარებაშიც. ყველა შემთხვევაში დიდი პატივით წარგებლობდა მშენებელს, რომელიც ოსტატურად ყვებოდა ზღაპარს — მშვენიერებისა და სიბრძნის ამბავს.

ჯ. ქათამაძის ლექსში „ზღაპარი იყო“ ვკითხულობთ:

ვერ მოასწრებდი სალამსა,	დააკლდა სოფელს დიმილი,
იცოდა ზღაპრის მოყოლა.	ხეებს ყვავილთა ფაფარი
მომიყვებოდა არაკებს	ზღაპარი იყო მოხუცი
ღევთა, ეშმაკთა, რაინდთა.	და გაქრა, როგორც ზღაპარი.
გააგრძელებდა თავიდან.	

ჯ. ქათამაძის ლექსების წიგნში „მიწის სიმღერა“ ვკითხულობთ:

„რატომ არ მოხველ პატარა სური
წყაროსთან ისევ, მარტო?“

თუ გსურს ბავშვობის სიზმარი ტკბილი
წყაროსთან მოდი სურით.

ქალიშვილი კოკით — ამ მეტად პოეტურ და ხალხურ მხატვრულ-პლასტიკურ სახეს
პოეტი ვერც სხვაგან შეელია. მომდევნო ლექსების კრებულში „რაც მინატრო“ ვკით-
ხულობთ:

წყაროსთან მოჩანს ლამაზი ქალი.	დიდი ხანია გაივსო კოკა,
ვარდის სინაზე უხდება ლოყას.	ღარიდან უხვად იღვრება წყალი.
ვიღაცას ეძებს ცისფერი თვალით.	ამბოჩი უნდა ყაყაჩოს ლოყას —
მხურვალე გული ტოკავს და ტოკავს.	არ გააწბილო, ვაჟაუ, ქალი.

ამ ლექსის მხატვრული დეტალები საინტერესოდ ესმინება ისეთ ხალხურ ლექსებ-
სა და მის ვარიანტებს, როგორიცაა „გოგო წყაროს მიდიოდა“, „ჩემო ხელის მომკი-
დვო“, „საწყალზედარ“, „აი, თინაო, თინაო“. ჯ, ქათამაძის ზემოთ ციტირებული ლე-
ქსები ამ ხალხურ ლექსებთან ორგანულ კავშირშია და უმეტესწილად მათგან გამომდი-
ნარობს, რაც საინტერესო შემოქმედებითი ფაქტია.

* * *

ზურაბ გორგილაძის მთელი რიგი ლექსები ორგანულად დაკავშირებულია აჭარის
საწესჩვეულებო სიტყვიერებასთან. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „იქ, არჩეის
ნახტომს“, „ხალხურ კილოზე“, „შენ ხარ ვენახი“, „მეთევზე ბიჟის ბაღადა“, „ჩაღმა ჩა-
ყრილო ვენახო“, „ვაშლოვანში“, „ჰოიდა ნანა“ და სხვ. ამ ლექსების პოპულარობა ფო-
ლოკლორიდან, ხალხური პოეტური ძირებიდან იღებს სათავეს.

აი, როგორ აქვს დაღის პლასტიკური მხატვრული სახე წარმოდგენილი პლეტს ლექ-
სში „იქ, არჩეის ნახტომს“:

წამოდი, მზისფერ ველის ორთქლში მოგნახავს დალი
და ნატიფ სულში ააყვავებს იდუმალ ფერებს.
შენს სუსტ სხეულში განათდება პირველი ქალი.
წამოდი,
მაგრამ ჩემთან ერთად დაბრუნდი მერე.

ან კიდევ:

ქალას ჩაღმა ჩავუყევი ბამბუკით და ანკესით,
ბიჟი ვიყავ მზეპერანგა, მოხეტიალი, ანგეში,
და იქ, სადაც შრიალი და ბინდი იცის წნორებმა,
დავინახე, ქერა ქალი დაღალეხს ისწორებდა.

აქ მითითებული ლექსები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ გავლენას ახ-
დენს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები პოეტზე, როგორ შემოჰყავს ავტორს მისი პერ-
სონაჟები და მათთან როგორ შემოქმედებით კონტაქტებს ამყარებს. ამას, როგორც გხე-
დავთ, დიდი ზნეობრივ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს.

აჭარის საწესჩვეულებო სიტყვიერებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ვაზის ტრა-
დიციული სიყვარული და მზრუნველობა. ამ მიმართებით ცნობილია ხალხური ლექს-
სიმღერები „შენ ხარ ვენახი“ და „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“.

ზ. გორგილაძემ ამავე სათაურზე შექმნა ლექსები და თავის წიგნს სათაურად მისცა.
ხალხური სტრიქონი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, რაც ფოლოკლორთან სიახლოვისა და
სიყვარულის მაუწყებელია.

ხალხური პოეზია ზ. გორგილაძემ გამოიყენა შემოქმედებითად და შექმნა შესანიშნავი ლექსი, რომლის მთავარი პათოსია სევდა ეაზის „ზედისა“ თუ „ქვეშისა“ აწიწილობის ბატონობის დროს აჭარაში.

საწესჩვეულებო სიტყვიერებათაგან აღსანიშნავია აჭარული შაირები და სხვა ხასიათის ლექს-სიმღერები, ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია სტრიქონის სიმსუბუქე და სილალე, ბოლო სიტყვის გავრცობა ემფატიკური ხმოვნით, ხალხური კილო, გამოსახვის თავისებური საშუალებანი.

სწორედ ამ მხატვრული კომპონენტების განმეორებას წარმოადგენს ზ. გორგილაძის ლექსი „პოიდა ნანა“.

მთები ვისთვის თვალსერიო
ვისთვის ჭავრი შიგნიდანა.

ქვეშა ჩუმაღ დაქვითინებს
ჩემი დიდი ნენეს ნანა.

დარდებს გულში ვიბექსნიდი
აჭარელი ვიყავ განა.

სწორედ ამ ლექსზე ითქმის შემდეგი: შეიძლება ამა თუ იმ ნაწარმოებში უშუალოდ არცერთი კონკრეტული ხალხური ნაწარმოების გავლენა არ იგრძნობოდეს, მაგრამ ემყარებოდეს ფოლკლორული ასოციაციების კრებითი სახის ფენომენს. ხალხურ კილოს, ტრადიციას და ხასიათს.

ასე საინტერესოა ტრადიციული ხალხური ძირების ზეგავლენით შექმნილი ნაწარმოებების თავისებურება და ხასიათი.

* * *

როდესაც შოთა შოიძის ლექსებს „ქართულ ზღაპარსა“ და „უჩინ-მაჩინის ქუდს“ გავეცნობით, ფოლკლორული მომენტები მათში ისე ოსტატურად, სიყვარულითა და საქმის ცოდნით არის რეალიზებული, რომ ავტორს ამ კონკრეტულ მაგალითზე თამამად შეიძლება ვუწოდოთ ზღაპარზე შეყვარებული პოეტი, უფრო სწორად კი — ჯანსაღი ფოლკლორისტული შეხედულებების პოეტი.

ზღაპარს, როგორც დასაწყისს, ასევე დასასრულს გააჩნია ტიპური, ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ ჩამოყალიბებული და თითქმის „გაქვავებული“ ფორმები, როგორცაა „იყო და არა იყო რა...“ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ზღაპრის დასაწყისი და ყურადღებასაც მასზე გაუმახვილებთ. „ქართულ ზღაპარში“ ვკითხულობთ:

იყო და არა იყო რა — ასე იწყება ზღაპარი,
ასე იწყება სოფელი, ასე იწყება მთა-ბარი.
ასე იწყება სიცოცხლე, სიკვდილიც ასე იწყება,
ასე იწყება ქართული ლექსი და თავდავიწყება.
ასე იწყება ქვეყანა, ასე იწყება სამყარო
და შენაც ასე იწყები, ჩემო ქართულო ზღაპარო.
და მეც ვარ ზღაპრის ნიშნში.
ზღაპარში დამტრეს, კრილობებს
ისევ ზღაპარში ვიშუშებ.

როგორც ლექსი, სიმღერა, მუსიკა, ასევე ზღაპრის პერსონაჟები მუდამ თან ახლავს ადამიანს. ისინი განუყრელად ადამიანებთან არიან. უფრო მეტიც, ისინი ცხოვრებაში პასიურნი—განყენებულნი და უსიცოცხლონი კი არა, არამედ ქმედითნი არიან. ზღაპრისა

და მისი პერსონაჟების გარეშე არ არსებობს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მომენტი ადამიანის ცხოვრებაში. დიდი სიყვარული ზღაპრებისადმი, მისი აქტიური და მარადიული მონაწილეობა ადამიანთა ცხოვრებაში ასე აქვს პოეტს გააზრებული:

ზღაპარი — ქართულ ქორწილში,
ქართულ ქელეზში — ზღაპარი...
ზღაპარში დაბერებულან
ეს ჩვენი მამა-პაპანი.
ზღაპარში დაბადებულან
ეს ჩვენი ჭინკა ბიჭები.
ღაღიან, კი არ ღაღიან,
ზღაპარში დაბიჭებენ.

ზღაპარში დაქალებულან
ჩვენი მზეთუნახავები:
ზღაპარში მოუპარიათ
ლამაზ-ლამაზი ხალხები.
მათი პატარა გულები.
ზღაპარმა გადაიყოლა.
ზღაპარმა გადაიყოლა,
იყო და არა იყო რა.

ზღაპრის ასეთი პოეტური შეფასება იმის გარანტიაა, რომ აქ ვილაპარაკოთ არა მარტო ფოლკლორთან შ. ზოიძის პოეტური ურთიერთობის საკითხზე, არამედ იმაზეც, რომ თუ რა შეხედულების არის პოეტი ფოლკლორის მიმართ. ამგვარი შეხედულების დასტურია სტრიქონები:

ზღაპარი იყო საგზალი,
როცა ქვეყანას უჭირდა.

აქ საინტერესოდ არის დანახული ზღაპრის როლი.
შ. ზოიძე ყველაზე დიდ იმედად და სიამაყედ ზღაპარს მიიჩნევს, რადგან პიროვნების უკვდავება ხალხის გენიალური შემოქმედებით არის განპირობებული:

შენ რომ არ იყო, ზღაპარო,
ღაღიშრიტები, ღაღიშრები.
ღაღიშრუდებიან მამები,
ღაღიშრუდებიან ბავშვები.
აკვანთან დედის ნამღერი
იავ-ნანა ხარ შენ ჩემი.
ვიცი მე მალე მოვკვდები,
შენ კი ქვეყანას შერჩები.

ამ ლექსის შინაგანი პათოსი მისი ესთეტიკურ-აღმზრდელობითი ფუნქციაა, რადგან ზღაპრის გარეშე „დაყრუდებიან მამები“, „ღაღიშრუდებიან ბავშვები“.

ასეთია ზღაპრის სოციალური, ზნეობრივი და ესთეტიკურ-აღმზრდელობითი ფუნქცია შოთა ზოიძის პოეტური გააზრებებით. ეს, ცხადია, მეტად საინტერესოა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ზემოთ განხილული ლექსი „ქართული ზღაპარი“ მთელი სისავსით ესადაგება ზღაპრის ხალხურ გაგებას და მის საწესჩვეულებო სიტყვიერებას.



მარტივი ტოპონიმები

მარტივი სახელების მეცნიერულ შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება. მკვლევართა დაკვირვებით ამ რიგის გეოგრაფიული სახელები უფრო მყარია.⁵ გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში მარტივფუძიანი სახელები უძველეს ფორმებს ინარჩუნებენ და ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. ამ სახის ტოპონიმები ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან გეოგრაფიულ სახელთა უძველესი ისტორიის შესახებ.

ძველ წერილობით წყაროებში, ლიტერატურულ ძეგლებში ტოპონიმთა დიდი ნაწილი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი, ასეთი ტოპონიმების სემანტიკური მხარე ზოგჯერ დაბნელებულია. ძნელი ხდება, ფუძეში მომხდარი ძირითადი ცვლილებები აიხსნას თანამედროვე ენის ნორმების მიხედვით. ხშირ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელია ძველი ქართული ენის თავისებურებათა მისადაგება და კონკრეტულ ისტორიულ ასპექტებში მათი განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ რიგის სახელები მკვეთრ ფონეტიკურ ცვლილებებს არ განიცდიან, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა დიალექტის ზეგავლენით სახელის ფუძეში საკმაო ცვლილებებია მომხდარი, მაგრამ ლოკალური თავისებურებანი ცალკე გამოკვეთის შესაძლებლობებს არ იძლევა, ქრთული ენის საერთო კანონზომიერებათა ფონზე მიმდინარეობს.

მარტივფუძიან გეოგრაფიულ სახელთა ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მათი დიდი უმრავლესობა წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით. მარტივფუძიანი ტოპონიმები გამოხატულია უმთავრესად არსებითი სახელით (კონცხი, მერე, მამული), ხოლო იშვიათად ზედსართავი სახელით (ღრმა, ობოლი). ზედსადრთავი სახელით გადმოცემული მარტივი ტოპონიმები საზღვრულდაკარგული გაარსებითებული გეოგრაფიული სახელებია.

აკადემიკოსი ა. შანიძე მიუთითებს, რომ ყოველგვარი საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად.⁴ ასეთი სახელები იშვიათია გა ძირითადად დაკავშირებულია პუნქტის ადგილმდებარეობასთან, რელიეფთან ან მეტეორობასთან.⁵

ქვემო აჭარის ტოპონიმურ მასალებში მარტივფუძიან სახელებს გარკვეული ადგილი უჭირავს: აგარა — სათესი (ზვარე), ავაზანი — სათესი (კვაშტა), ახო — სოფელი (ქედის რ.) აბანო — სათესი (ვარჯანისი), ბარი — სათესი (აქუცა), ბაღი — ხეხილი (დოხოძეები), ბაგა — სათესი (ნამონასტრევი), ბარაგა — სათესი (მახუნცეთი), ბეთლემი — ტყე (გულეები), გომი — ტყე (მალაკონი), გვირაბი — საძოვარი (ნამონასტრევი), გორი — სათესი (არსენაული), ლოდი — სათესი (ჩხუტუნეთი), დვიბე — სათესი (ჩხუტუნეთი), ეწერი — სათესი, ტყე (მარადიდი, საღორეთი), ვაკე — სათესი (მირვეთი, ჩიქუნეთი, კირნათი), ვენახი — ვენახის ბაღი (ტიბეთა, ვაიო), ვანი — სათესი (ვარჯანისი), ზეგანი — ტყე (კირნათი), ზვარე — სოფელი (ქედის რ.), კორდი — სათესი (ინაშარიძეები, ჭალახელა) კალო — საძოვარი (ტიბეთა), კონცხი — ტყე (მახუნცეთი), კოხი — ქვიანი ადგილი (ზუნდავა), კაპანი — უბანი (აღმართი), — ლარი — საძოვარი, ტყე (გორგივლი).

ლიე — სათესი (გეგელიძეები), ლაშე — მთა, საძოვარი (ნამონასტრევი),
სათესი (კვაშტა, ტიბეთა, კოკოტაური, სულ 9 ტობ.), მამული —
ზოზოფელი, აბუქეთა), მარანი — სათესი (ზენდიდი, დვეთი), მოდული — ტყე,
სათიბი (გობრონეთი, ტაქიძეები), მინდორი — სათესი (ყურაულა, კინჩხა, კოლოტა-
ური...), ოჯადი — ტყე (მირვეთი), ოფე — წყარო (დოხოძეები), ოროკი — ბუჩ-
ქნარი, (მახუნცეთი), როხი — სათესი (ორცვა), ტბა — ტყე (კინჩხა), უყვი —
ტყე (უჩხითი... სულ 14 ტობონიმი), ფერდი — სათესი (ჭანიერი), ფლატე — სა-
თესი (კაკაბაძეები, ჭანიერი), ფარეხი — ყანები (არძენაძეები), ქედი — შესასვე-
ნებელი ადგილი (ქედქედი), ქოხი — ქვიანი ადგილი (ბუბუზუ), ქაშანი — ტყე
(გოგინძეები), ღორდი — სათესი (ვაიო), ქეტო — ტყე (ქედა), ყელი — უბანი
(აბუქეთა), ყორი — ტყე (ზუნდავა), შტვირი — ტყე, სათესი (ჩხუტუნეთი), შარა
— სათესი (აბუქეთა), ჩხერი — ლეღე (ჩხუტუნეთი), ცარა — ტყე (მარადიდი, აჭუ-
ცა), წყარო — ტყე (კოკოტაური), ჭალა — სათესი (მერისი, კვაშტა).

ყურადღებას იწვევს უძველეს სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული
მარტივფუძიანი ტობონიმი ახო. თითქმის აჭარის ყველა სოფელმა შემოინახა ახოს
სახელწოდებით სავარგული მიწები, ტყეები, ბუჩქნარები და სხვა, რომელთაც ძველი
სახელი შერჩენიათ, ხოლო შინაარსით აღარ უპასუხებენ უძველეს ფორმას. ახოს სახე-
ლწოდებით არის ქედის რაიონში დიდი სოფელი. ახოების ქვეშ ივულისსება მიწათმო-
ქმედების გარკვეული სისტემა, რომელსაც საქართველოში დიდი წარსული აქვს. იგი
ითვისწინებდა, როგორც მუდმივად, ასევე პერიოდულად გამოყენებული სახნავ-სათესი
ფართობის შექმნას ტყის გაკაფვის ხარჯზე.⁸ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებ-
და, რომ თუ მოსახნავად განკუთვნილი ტყე — ჯანარს წარმოდგენდა და ბუჩქნარები-
საგან გაწმენდას საჭიროებდა, ასეთნაირად შემზადებულ სახნავს ან ნახნავს ძველად ახო
ეწოდებოდა.² საბას განმარტებით, ახო არის „საყანური გაკაფული“, ამ მიმართე-
ბით საინტერესო მონაცემებს შეიცავს ისტორიკოს დ. ბაქრაძის ცნობა, კინტრისის ხეო-
ბის მოსახლეობის შესახებ. „საბრალო მცხოვრებლები სიმინდის სათესად დიდი შრომის
ფასად კაფავენ ულრან ტყეებს მთის კალთებზე“.³

აჭარის ბუნებრივ სამეურნეო გარემომ, სახნავ-სათესი მიწების სიმცირემ დიდად შე-
ოწყო ხელი ტრადიციული ახოების უძველესი დროიდან დაწინაურებას. ამაზე ნათლად
მეტყველებს ტობონიმიკური მასალები და აჭარის მოსახლეობის ყოფაში დაცული მდი-
დარი მონაცემები.

მარტივფუძიან გეოგრაფიულ სახელებში გარკვეული ადგილი უჭირავს ჰიდრონი-
მებს ტბა, დილე, წყარო, ჭა, ჭაობი, ლია და სხვ. საინტერესოა
ტობონიმი ლიე||ლია — სათესი (გეგელიძეები). საბას მიხედვით ლია საფლობო ტალა-
ხის აღმნიშვნელია. გარკვეული ყურადღება მიუქცევია ამ სიტყვისათვის აკადემიკოს
ივ. ჯავახიშვილს, რომელსაც მოჰყავს სათანადო ადგილი ბერი ეგნატაშვილის ნაშრომი-
დან, როდესაც აღწერს სვიმონ მეფის ურუმთა ხელში ჩაყარვის ამბავს: სვიმონს ფარც-
ხისზე „მომავალს დახუდა ლია და დაეფლა ცხენი ლიაში გან“. მკვლევარი
დაასკვნის, რომ ლია მართლაც საფლობი ადგილი ყოფილა.¹

აჭარის ტობონიმიკური და ეთნოგრაფიული მასალები, მეტყველების თავისებურებანი
მიუთითებენ, რომ ტობონიმი ლია თავდაპირველად წყლიანი ადგილის აღმნიშვნელი
ყოფილა. რომ ლია წყალთან დაკავშირებული სიტყვაა, ამის შესახებ აჭარულში შე-
მოგვეჩინა გამოთქმა „წყლის დალივანება“ სიტყვაც „დალია“ უნდა უთქვამი-
რდებოდეს ლიას, რომლის მნიშვნელობაც დროთა განმავლობაში გაფართოებულა.

ამასთან დაკავშირებით სავარაუდოა, რომ საქართველოში ერთ-ერთი დიდი მდინარე

თედო სახოკიას უფრო ზუსტი ცნობით, პ. უვარვას საციხურის ეკლესიიდან წაღობილია „მინის ჭურჭლის ნამტვრევები, ღვთისმშობლის ხატი თხელი ბრინჯაოს, რკინის, რგოლები, სულ პატარა და ტლანქად ნაჭელი ჯვარი რკინისა, ორი ექვანი თითბრისა, რკინის გასაღები, რკინის დანა, რკინის და ბრინჯაოს ჩხირები, ვერცხლის ღილები, ნატეხი მინის ფიალასი, ნახატიანი და ნატეხი ქვის ხატისა, ხელოვნურად ნაჩუქრთმევი ქართულ-მხედრულწარწერიანი. ამ ქვის ხატზე გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და სხვა წმინდანები. იატაკზედ ნაპოვნია მრავალი ნატეხები თიხის ჭურჭლებისა. აგრეთვე უპოვნიათ რქები არჩვისა და წყვილი ირმის რქა, რომელსაც ორივე ბოლო განგევწაწვეტებული ჰქონია“ („მოგზაურობანი“. თბილისი. 1950. გვ. 138).

6. კავკასიის არმიის კორპუსის მეთაური, გენერალ-ადიუტანტი ივანე გიგის ძე ამილახვარი (1829-1905), ქართლის მსხვილ ფეოდალთა შთამომავალი, ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე.

1897 წელს გორის მაზრაში მონაწილეობს შავი ჭირის წინააღმდეგ მეზობელ კომისიაში, სოფელ ქვემო ჭალაში ხსნის სამედიცინო პუნქტს და მოსახლეობას უფასოდ ურიგებს წამლებს. აქვე გამართა საავარაკო ადგილი.

1898 წელს მასთან გორში სტუმრად ჩამოდიან ბარონი დე ბაი და გრაფტი. იმავე წელს შიმშილობის დროს სოფელ ალში გლეხებს ფქვილი დაურიგა. აღადგინა დანგრეული ხიდი გორში, პირველმა დადგა ელნათურა.

1899 წელს თავისი ხარჯით განიზრახა გორის ციხემდე წყლის გაყვანა და ბაღის გაშენება, გამოყო ფული ღარიბი ჯარისკაცებისათვის დასარიგებლად, ინიშნება სამრევლო სკოლების მზრუნველად; განაახლა გორის ციხე.

1901 წელს სტ. ჭრელაშვილთან ერთად მონაწილეობს რუსეთთან საქართველოს შეერთების საიუბილეო კომისიაში, ქაშვეთის ახალი ტაძრის აგებაში. ამავე წელს თავს ანებებს სამსახურს. 1902 წელს აღინიშნა ი. გ. ამილახვარის სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

7. 1893 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი იყო. გენერალ-მაიორი ლეიტენანტი მიხეილ იაკობის ძე შალიკაშვილი.



გასულ ორ თვეში

საიუბილეო პრონიკა

ქ. ბათუმის ცენტრალური საბიბლიო-თეკო სისტემის, საქართველოს ალკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის, აქარის სახელმწიფო მუზეუმისა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო გამგეობის ინიციატივით ი. ჭავჭავაძის ძეგლთან გაიმართა დიდი პოეტის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუშა და სტუდენტი ახალგაზრდობა.

საღამო გახსნა ბათუმის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორმა ნ. ჭყონიამ.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს დოცენტმა ე. ჭიჭიშვილმა, აქარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა ე. მუავიამ, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგმა ლ. ხარებავამ. ილიას ლექსზე შექმნილი სიმღერა შეასრულა № 4 საშუალო სკოლის გოგონათა ანსამბლმა.

საღამოზე გამოვიდნენ პოეტები მ. ვარშანიძე, ლ. სულაბერიძე, ჯ. ქათამაძე, ლექსები წაიკითხეს ნორჩმა დეკლამატორებმა ლ. ბორჩხაძემ და თ. თედორაძემ.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის № 4 საშუალო სკოლის ნორჩმა მომღერლებმა ც. მარდალავიშვილმა და თ. მაღუშაძემ შეასრულეს სიმღერები საქართველოზე, ხოლო № 14 საშუალო სკოლის მესამე კლასელებმა ნ. ხიმშიაშვილმა და გ. ხახნელიძემ წარმოადგინეს ინსცენირება ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“. ლიტერატურული მონათუი წარმოადგინეს № 2 სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა (პიონერხელმძღვანელი უ. ხალვაში). საღამოში მონაწილეობდნენ ბათუმის კულ-

ტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მოცეკვავეთა ჯგუფი, პროფკავშირების კულტურის სახლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლის წევრები. № 32 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა წაიკითხეს ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გააკეთა ე. ძიგუამ.

საღამოს უძღვებოდა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის № 16 საბავშვო ფილიალის გამგე რ. თალაკვაძე.

* * *

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კირანთის სასოფლო კლუბში გამართულ საიუბილეო საღამოზე შეიკრიბნენ კოლმეურნეები, სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, ახალგაზრდობა.

კირანთის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ე. წითელაძემ ისაუბრა ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, აღნიშნა ერის მამის დიდი როლი, რომელიც მან ითამაშა დედასამშობლოსთან დაბრუნებული ჩვენი კუთხის კულტურული და ეკონომიკური აღმავლობისათვის.

დამსწრეთა წინაშე გამოვიდნენ პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის მდივანი რ. ფაღავა, მწერლები: ფრ. ხალვაში, ა. ჩხანიძე, ზ. გორგილაძე, ქს. მუავია, ჯ. ჭაყელი, ჯ. ქათამაძე.

სოფლის აქტივისტებმა და მოსწავლეებმა თ. შალიკაძემ, ხ. აბაშიძემ, ვ. შუშანიძემ, მ. ცინცაძემ, ნ. კახაბერიძემ, დეზმა კურცხალიძეებმა, დ. წითელაძემ, ლ. პატარიძემ და სხვებმა შეასრულეს სიმღერები ი. ჭავჭავაძის ლექსებზე, წარმოადგინეს სცენები მწერლის ნაწარმოებებიდან. დამსწრეთ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ნორჩმა მოცეკვავეებმა და დელამატორებმა.

ორკმბრნი 10 წლისა

10 წელი შეუსრულდა აჭარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. ამ თარიღს კოლექტივმა საანგარიშო კონცერტი მიუძღვნა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში. აუღერდა რ. ვაგნერის, დ. შოსტაკოვიჩის, ა. ვივალდის, ი. ჰაიდნის, ო. თაქტაქიშვილის, ა. მაჭავარიანის საორკესტრო თუ საინსტრუმენტო ნაწარმოებები, არიები პ. ჩაიკოვსკის, ჯ. ვერდის, ჯ. პუჩინის, ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან „ევგენი ონეგინი“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „აბესალომ და ეთერი“. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტების ა. ხომერიკის, ჯ. მდივნის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების ზ. ცისკარიძის, თ. გუგუშვილის, ლ. ჩივაძის გამოსვლებს, მევიოლინეთა ტრიოს მ. დუგლადის, ი. დან. იაშვილის შემადგენლობით.

შემდეგ გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ორკესტრს მიესალმა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. დუმბაძე.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი, ხელოვნებათმცოდნე მ. ახმეტელი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი გ. ყანჩელი, კომპოზიტორი შ. დავიდოვი.

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ტ. დუგლადემ მადლობა გადაიხადა როგორც თანადგომის, ისე კეთილი სურვილებისათვის, შეკრებილთ აღუთქვა, რომ კოლექტივის თითოეული

წევრი ყოველ ღონეს იხმარს გაზღეს კლასიკური მუსიკალური მემკვიდრეობის მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტი, აქტიურად ემსახუროს ხალხს.

მამია ვარშანიძის საიუბილეო საღამო

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მამია ვარშანიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ღარაზში შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ იუბილარი პოეტის სცენაზე გამოჩენას.

მწერლისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება წაიკითხა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ. მანვე გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ 70 წლისთავთან დაკავშირებით მ. ვარშანიძე დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მ. ვარშანიძის მისალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ხ. ბერულავა, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის სახელით — მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ო. ხალვაში, პოეტის მშობლიური სოფლის ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. დიასამიძე, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ნ. დუმბაძე, პარტიის ხულოს რაიკომის მდივანი ე. დევანაძე, პარტიის შუახევის რაიკომის მეორე მდივანი ა. ჭიბლაძე, სახალხო დეპუტატთა ქედის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. გოგიაშვი-

ლი, მწერლები ი. რურუა და ლ. სულაბე-
რიძე, საქართველოს კომკავშირის ქობულ-
ეთის რაიკომის პირველი მდივანი გ.
მუჟაფანაძე, საქართველოს სსრ სახალხო
არტისტი ნ. საკანდელიძე, საქართველოს
კომპარტიის საქართველოს საზღვაო სანა-
ოსნოს პარტიული კომიტეტის მდივ-
ნის მოადგილე ე. ბაჟინოვი. პოეტები
ც. ანთაძე, ჯ. ქათამაძე, შ. როყვა, შ.
ზოიძე, აჭარის ასსრ განათლების მინისტ-
რი ა. ტაყიძე.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ აჭა-
რის მუსიკალური საზოგადოების ანსამბ-
ლი „ხიზანი“, ბათუმის № 6 და შუახე-
ვის საშუალო სკოლების ანსამბლები, ბა-
თუმის პედინსტიტუტის ქალთა ტრიო,
ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარ-
ხნის კულტურის ქალთა ანსამბლი და
მომღერალთა ჯგუფი ქობულეთის რაიო-
ნიდან.

საღამოს უძღვებოდნენ და მ. ვარშა-
ნიძის ლექსებს კითხულობდნენ აჭარის
ასსრ დამსახურებული არტისტები თ. მე-
იშვილი, მ. ხუხუნიშვილი, ა. ქარჩავა,
მსახიობი ნ. მშველიძე.

დასასრულ იუბილარმა გულითადად მა-
ღლობა გადაიხადა.

ტანკარი „მხატვარი ფიროსმანაშვილი“

ბათუმის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კიდევ
ერთმა გემმა — „მხატვარმა ფიროსმანა-
შვილმა“. მისი საერთო ტვირთამწეობა
22,6 ათასი ტონაა. ამასთან ტანკერი ისეა
მოწყობილი, რომ ოცამდე სხვადასხვა
საზის ტვირთის გადაზიდვა შეუძლია,
მათ შორის საკვები და მცენარეული ზე-
თების და ა. შ.

„მხატვარმა ფიროსმანაშვილმა“ ბათუ-
მის ნავსადგურში მიიღო ტვირთი და
პირველ რიგში გავიდა.

საიუბილეო ქრონიკა

აქ. წერეთლის სახელობის აჭარის ასსრ
რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამკითხ-
ველო დარბაზში გაიმართა მკითხველთა

კონფერენცია დევიზით „მარად და ყველ-
გან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა-
მოდენილი ილია ქავჭავაძის დაბადების
150 წლისთავისადმი.“

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახ-
სნა ბიბლიოთეკასთან არსებული წიგნის
მოყვარულთა კლუბის „ტალღის“ თავმ-
ჯდომარემ მ. ბოლქვაძემ, მოხსენება თე-
მაზე „ილია ქავჭავაძის ცხოვრება და მო-
ღვაწეობა“ წაიკითხა მასწავლებელთა და
ხელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტმა
ჟ. ცირეკიძემ, თემაზე „ილია და აჭარა“
ისაუბრეს მწერალმა დ. ნაცვალაძემ, ხე-
ლოვნებათმცოდნე ლ. შარაშიძემ. ნაწყ-
ვეტი იაკო მანსვეტაშვილის წიგნიდან
წაიკითხა მ. ბოლქვაძემ.

მკითხველთა კონფერენცია შეაჯამა ბი-
ბლიოთეკის დირექტორმა ე. ცივაძემ.

* * *

ბათუმის № 24 რუსულ საშუალო სკო-
ლაში მოეწყო ლიტერატურულ-მუსიკა-
ლური კომპოზიცია, რომელიც მიემდგნა
ილია ქავჭავაძის დაბადების 150 წლის-
თავს. (ხელმძღვანელები პედაგოგები ნ.
გავაშელაშვილი და ნ. ცინცაძე).

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენი-
რება პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ
ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ — კა-
კოსა და ჯაქროს შეხვედრა, ჯაქროს მა-
მისა და ბაკონის საუბარი. ილიასა და
ეკატერინე ქავჭავაძის შეხვედრა 1858
წელს პეტერბურგში და სხვ.

მოეწყო ვიქტორინა — ვინ მეტი იცის
ილიას შესახებ. გამარჯვებულებს საზეი-
მოდ გადაეცათ ილიას წიგნები.

* * *

სალიბაურის № 2 სკოლა-ინტერნატის
სააქტო დარბაზში დიდი ქართველი მწე-
რლის ილია ქავჭავაძის დაბადების 150
წლისთავთან დაკავშირებით ი. გოგება-
შვილის სახელობის აჭარის რესპუბლი-
კურმა საბავშვო ბიბლიოთეკამ, წიგნის
მოყვარულთა საზოგადოების გამგეობამ,
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მცუ-

რავთა კომიტეტის ბიბლიოთეკამ, სალი-
ბაურის № 2 სკოლა-ინტერნატის მოსწავ-
ლეებმა მოაწვეს ლიტერატურული სა-
დამო. ბავშვებმა წარმოადგინეს ლიტერა-
ტურულ-მუსიკალური კომპოზიცია.

ილია ქავჭავაძის ცხოვრებისა და შე-
მოქმედების შესახებ ისაუბრეს და ლექ-
სები წაიკითხეს მწერლებმა ფ. ხალვაშმა,
ქ. მუხიამ, ჯ. ჯაყელმა, ც. ანთაძემ, ზ.
გორგილაძემ, უ. ხაჩიშვილმა.

* * *

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბ-
ლიკური სასახლის სააქტო დარბაზი ბა-
თუმის შოთა რუსთაველის სახელობის
№ 2 საშუალო სკოლის III-ბ კლასის
მოსწავლეებსა და სტუმრებს დაეთმოთ,
წარმოადგინეს მონტაჟი „იკაშკაშე ჩირა-
ლდანი“. როგორც ცნობილია № 2 სკო-
ლა აქარაში პირველი ქართული სკოლაა,
რომელიც დიდი ილიას თაოსნობით დაა-
რსდა.

სცენაზეა მთელი კლასი. პატარებს
მწერლის მრავალი მოთხრობა თუ ლექსი
შეუსწავლიათ, და არა მარტო ილიას
ლექსები.

— ცოდნა სიმდიდრეა, იგი სანთელი-
ვით გინათებს გზას ბნელეთში, — იწყებს
პატარა ი. ქემხაძე და სცენაზე აციმციმი-
დებიან სანთლები. მოსწავლეები კითხუ-
ლობენ აკაკი წერეთლის, დავით გურა-
მიშვილისა და სხვა ქართველი პოეტების
ლექსებს სწავლაზე, შრომაზე.

მესამეკლასელებმა ხ. ქორიძემ, კ. მეგ-
რელიშვილმა, ბ. კაკაურიძემ, ა. კეჭაყმა-
ძემ, ნ. ჭოსაძემ, თ. კერესელიძემ, მ. გუ-
ჩაბიძემ, ი. გოგეშვილმა და სხვებმა წარ-
მოადგინეს სცენები ილია ქავჭავაძის ნა-
წარმოებებიდან „ოთარანთ ქვრივი“ და

„რამდენიმე სურათი ანუ უპიზონო უაჩა-
ლის ცხოვრებიდან“. შენარჩუნებული
რები ილიას ლექსებზე.

„საბჭოთა აპარატ“ გამოსცა

გამოვიდა გიორგი ლორთქიფანიძის
ორნაწილიანი რომანი „კაცი იმედით ცო-
ცხლობს“. იგი პირველად ორმოცდაათიან
წლებში დაიბეჭდა და იმთავითვე მიიქცია
ყურადღება თავისი აქტიური ცხოვრები-
სეული პოზიციით. მისი თემა სიკეთისა
და ბოროტების ბრძოლა და კონფლიქტია.

ერთ მხარეზე დგანან პატიოსანი მშრო-
მელი ადამიანები, რომლებსაც უშიშრის-
პირდებიან თაღლითი მედროვეები, რომ-
ლებიც პირადი კეთილდღეობისათვის
არაფერს არ ერიდებიან.

წიგნის ანოტაცია გვაუწყებს, რომ „კა-
ცი იმედით ცოცხლობს“ არის რომანი
ადამიანებზე, რომლებმაც ომისა და ცხო-
ვრების რთული და მძიმე გზა გაწვდეს,
იციან სიყვარულიცა და სიძულვილიც,
სწამთ, რომ ყველაზე დიდი ჯანში გუ-
ლის სითბო, პატიოსნება, მერმისისათვის
ბრძოლა, თავდადება და შეუპოვრობაა“.

რომანი თავისი პრობლემებით ხაში
ათეული წლის შემდეგაც აქტუალურია
და მძლავრად ეხმიანება ჩვენი პარტიის
მიერ დასმულ გარდაქმნისა და დაჩქა-
რების სტრატეგიას, პატიოსანი მშრომე-
ლი ადამიანის ჯანსაღი ატიმოსფეროს შე-
ქმნას.

რომანის სიუჟეტი ვითარდება დიდი
სამამულო ომის შემდგომი წლების ქარ-
თული სოფლის ფონზე და ყურადღებას
იქცევს რთული კომპოზიციით, მრავალ-
კვანძიანი ხასიათებით.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხა-
ტვარი ა. გიორგაძე.

გარეკანის 1-ლ გვერდზე ალექსანდრე პუშკინის ძველი ბათუმის
ზღვისპირა პარკში.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

6117/187
3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118